# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 4 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 206 (6064)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## ვინ გრძნობს თავს ლაღად „ხელმწიფის“ კარზე? 4

**როგორი იყო და როგორი გახდა სახელისუფლებო ბალანსი?**

# 2007 წლის 2-7 ნოემბერი

## ქართული ტრაგედია 3





ლადო პაპავა:

## გამოყოფილი თანხების ასათვისებლად მთავრობამ შუამავლები არ უნდა გამოიყენოს 2



## კიდევ უფრო დაპატარავებული სამშობლო 8

## ვინ დაიწყო ომი, სააკაშვილმა? 6



## სიმართლე სამხრეთ ოსეთის შესახებ 10






## „ობამა - მამა“, „სარა - დივა“, სოციალიზმი და ჯო მეწყალსადენე 7

## ისე დავსისხლიანდი, ვეღარავინ მცნობდა 14



ინფორმაცია

## რა უნდოდათ „ნაციონალებს" საარჩევნო უბნებში?

**„სამართლიანმა არჩევნებმა" აჭარაში მიმდინარე უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, ცამეტი საჩივარის დაწერა მოასწრეს.**

ცამეტიდან თერთმეტი საჩივარი უბნებზე დაიწერა, ხოლო ორ უბანზე საჩივარი არ მიიღეს, ამიტომ ისინი საოლქო კომისიებში გააგზავნეს.

„სამართალიანი არჩევნების" ინფორმაციით, ბათუმის 79-ე საარჩევნო ოლქის ორ უბანზე მე-10 და 29-ზე მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული რაოდენობა არ ემთხვეოდა საარჩევნო უბანზე მიღებული ბიულეტენების რაოდენობას.

ბათუმის 79-ე ოლქის 70-ე საარჩევნო უბანზე დამკვირვებელს მოსთხოვეს საარჩევნო უბნის დატოვება. 79-ე ბათუმის საარჩევნო ოლქის 55-ე საარჩევნო უბანზე უბნის გახსნის დროს იმყოფებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამი წარმომადგენელი, ხოლო 75-ე საარჩევნო უბანზე — „ნაციონალური მოძრაობის" ორი წარმომადგენელი. მითითების შემდეგ მათ უბნები დატოვეს.

ბათუმის 79-ე ოლქის მე-2 საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმს კომისიის წევრები ფანქრით ავსებდნენ. ამავე ოლქის 55-ე უბანზე საკონტროლო ფურცელზე არ დაფიქსირდა პირველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობის რეკვიზიტები.



## არჩევნებს კვლავ აყალბებენ

**„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე პარლამენტის შუალედურ არჩევნებს სიყალბისა და ძალადობის გაგრძელებად აფასებს. გამყრელიძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მასშტაბურად გააყალბა და ვაკესა და დიდუბეში შუალედური არჩევნების დანიშვნით ამ დანაშაულს ვერ გამოასწორებს. „მემარჯვენეების" ლიდერი მიიჩნევს, რომ ისინი ვინც შუალედურ არჩევნებში მონაწილეობენ სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებების თანამონაწილეები ხდებიან.**

საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთი გუნდია. დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ეს ე.წ. ოპოზიცია მერაბიშვილის მიერ იმართება. შუალედური არჩევნებით ამ სიყალბისა და დანაშაულებრივი ქმედებების შემოქმედებს კიდევ ორი კაცი შეემატებათ, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

## ჯონდი ბაღათურია ეჭვობს?

**„ქართული დასის" ლიდერი ჯონდო ბაღათურია დიდუბის და ვაკის საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებს გულისხმიერებისა და ყურადღებისკენ მოუწოდებს, რათა არ მოხდეს შუალედური არჩევნების გაყალბება.**

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე ბაღათურიამ განაცხადა, 11 საათამდე საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა დაბალი რაოდენობა იყო ფიქსირებული, მაგრამ ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ამომრჩეველთა რაოდენობამ არაბუნებრივად იმატა.

— არჩევნები, შესაძლოა, ყალბდება. კერძოდ დიდუბის მე-7 და მე-9 უბნებზე ათი-თოთხმეტი ამომრჩეველი იყო მისული, მაგრამ ნახევარი საათის განმავლობაში უბნებზე 30 ამომრჩეველი მივიდა. აღნიშნულ პერიოდში საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები 30 ამომრჩევლის რეგისტრაციას ვერ მოახერხებდნენ, — აღნიშნა ბაღათურიამ.

რაც შეეხება 56 და 57-ე სპეცუბნებს, სადაც შს და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები აძლევენ ხმას, „ქართული დასის" ლიდერის ინფორმაციით, აღნიშნულ უბნებში ხუთასი ამომრჩეველია უკვე დაფიქსირებული, რაც გარკვეული ეჭვის საბაბია.

„ქართული დასის" ლიდერის განცხადებით, ამ არჩევნების გაყალბებით ხელისუფლება დაინტერესებული არ არის. აქედან გამომდინარე, ჯონდო ბაღათურია მოუწოდებს საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებს, კეთილსინდისიერად და გაყალბების გარეშე წარმართონ საარჩევნო პროცესი.

## რატომ დაჩაგრეს „მრეწველები"?

**„მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე წინასაარჩევნო პროცესის დროს არსებულ დარღვევებზე საუბრობს.**

როგორც ტყემალაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მის პოლიტიკურ ძალას, როგორც კვალიფიციურ სუბიექტს, ეკუთვნის უფასო საეთერო დრო, თუმცა ამით „მრეწველები" ერთი წუთითაც არ ასარგებლეს.

— საეთერო დროით არ გვასარგებლა არც აჭარის ტელევიზიამ, არც ტელეკომპანია „იმედმა", არც „რუსთავი 2"-მა და სხვა ტელევიზიებმა. ამის უფლება მათ არ ჰქონდათ. ჩვენ აჭარის უმაღლეს საარჩვენო კომისიას, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პარლამენტის თავმჯდომარეს, იურიდიულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს და სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მივმართეთ, — აცხადებს ტყემალაძემ.

მისივე თქმით, ეს არის საკმაოდ სერიოზული დარღვევა, რამაც, შეიძლება, საბოლოო შედეგზე გავლენა იქონიოს.

„მრეწეველთა" ლიდერი მიიჩნევს, რომ ამ წინაპირობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარ არის განსაზღვრული აჭარაში რომელმა პოლიტიკურმა ძალამ რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს.



## სად დაიკარგა ექვსი ადამიანი?

**გორის რაიონის სოფელ კირბალის 6 მკვიდრს მეორე დღეა ეძებენ.**

ტყეში, შეშის საჭრელად გასული ადამიანები მეორე დღეა არ გამოჩენილან.. მათი კუთვნილი სამუშაო იარაღი ოჯახის წევრებმა ტყეში მიტოვებული იპოვეს.

ოჯახის წევრთა ვარაუდით, დაკარგულები ოსმა სეპარატისტებმა გაიტაცეს.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

გუშინდელი ფოსტიდან

## ამერიკაში, აჭარაში, ვაკესა და დიდუბეში... თითქმის ერთდროულად

**ცხოვრება რომ წინ მიდის და თანაც კიდევ პროამერიკულად, იქიდანაც ჩანს, რომ თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეს ტარდება პრეზიდენტის არჩევნები, სამაგიეროდ აჭარაში, ვაკესა და დიდუბეში ერთი დღით ადრე, გუშინ გაიმართა... ხოლო თუ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აჭარაში არჩევნების დღეები დასვენების დღეებად გამოცხადდა, ვაკესა და დიდუბეში ამომრჩეველს არ დაუსვენია, რაც, ალბათ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით უნდა ავხსნათ (რა დროს დასვენებააო!)...**

**ბევრის აზრით, სულაც კვირას შეიძლებოდა რომ გამართულიყო არჩევნები აჭარაში, ვაკესა და დიდუბეში. მაგრამ ორშაბათი რახან მძიმე დღედ ითვლება, ბარემ არჩევნებითაც დაამძიმეს, რათა ერთ დღეს დასწოლოდა მთელი სიმძიმე, რა არი კვირის სხვა დღეებში მეტ-ნაკლებად მსუბუქად ეგრძნო თავი სიღატაკის ზღვარს იქით მოლასლასე ამომრჩეველს.**

**თუმცა, ამდენი უმუშევარი ამომრჩევლისთვის სულ ერთია, როდის მივა საარჩევნო უბანში და, თვით ჯიბეგამოფხეკილი, ვის, რომელ ენად გაკრეფილ პოლიტიკოსს დაასაქმებს ორი ათასიანი ხელფასით ჩვენს ისედაც სალაყბოდ ქცეულ პარლამენტში.**

**აი სწორედ ამაზეა ნათქვამი, სხვისი მაზიარებელი მოკვდა უზიარებელიო...**

**გიგლა ტიტინაშვილი,**
**გაბითურებული ამომრჩეველი**
**ქ. თბილისი, დიდუბელი**

კითხული კაცის აზრი

## ლადო პაპავა: გამოყოფილი თანხების ასათვისებლად მთავრობამ შუამავლები არ უნდა გამოიყენოს

**დონორი ორგანიზაციების საქმიანობის შედეგებსა და დანგრეული ინფრასტრუქტურისა და სოციალური სფეროს აღსადგენად საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი აშშ დოლარის გამოყენების პერსპექტივებზე ინტერპრესნიუსი ეკონომიკურ ექსპერტს ლადო პაპავას ესაუბრა.**

**— ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების ოდენობას?**

— უწინარეს ყოვლისა, ეს არა მარტო ეკონომიკური დახმარება კი არა, იმ პოლიტიკური მხარდაჭერის გაგრძელებაც არის, რაც ევროკავშირმა და არა მარტო ევროპამ, საერთოდ დასავლეთმა გამოხატა საქართველოში რუსული ოკუპაციის დაწყებისთანავე.

არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ შედგებოდა დონორთა კონფერენცია, რომელზეც განიხილებოდა, თუ კონკრეტულად რა რაოდენობის დახმარება რა ვადებში გამოეყოფოდა საქართველოს. დონორთა კონფერენცია შედგა და ქვეყნისთვის საკმაოდ სერიოზული დახმარების გამოყოფა გადაწყდა.

დონორთა კონფერენციის შედეგები ეკონომიკური დახმარების გარდა დადებითი შეტყობინებაა ყველა უცხოელი ინვესტორისთვის. საქართველოსადმი დასავლეთის ასეთი თანადგომა ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიციების განხორციელება შეიძლება. ასე რომ, ამ კუთხითაც დონორთა კონფერენციის შედეგები მნიშვნელოვანია.

**— მთავრობას თუ აქვს გაწერილი გეგმა იმისა, როგორ და რაში უნდა გამოიყენოს ის დახმარება, რომელიც საქართველოსათვის დონორმა ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა გამოჰყვეს?**

— დონორთა კონფერენციის წინ მომზადებული იყო მასალა კონკრეტულად იმ ეკონომიკურ დანაკარგებზე, რაც ქვეყანას რუსული ოკუპაციის შედეგად ჰქონდა და რა პრიორიტეტებია ქვეყანაში. ეს დოკუმენტი მომზადდა მსოფლიო ბანკის ეგიდით და მასალა დღევანდელ დღემდე სარგებლობისთვის დახურული იყო. მას შემდეგ, რაც



დონორებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ვიმედოვნებ, რომ ეს დახურული მასალა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება.

აქ არის გარკვეული თანხები, რომელთა მიზნობრიობა ერთმნიშვნელოვანია, მაგალითად, სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი 750 მილიონი დოლარი პირდაპირ მიდის ეროვნული ბანკის რეზერვებში და აქ არანაირი კითხვის ნიშნები არ იბადება. დარწმუნებლი ვარ, ეს თანხები გამოყენებული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ისე არავინ გამოყოფდა დახმარებას, რომ საკმაოდ დეტალურად არ ყოფილიყო გაწერილი, თუ რაში სჭირდება ქვეყანას დახმარება და რა მიმართულებით უნდა გამოიყენოს იგი.

**— რა უნდა გაკეთდეს თანხების მიზანმიმართულად გამოყენებებისთვის?**

— სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილ თანხებზე უკვე მოგახსენეთ, რაც შეეხება სხვა თანხებს, ეს წავა ბიუჯეტში და, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მონიტორინგის განხორციელება თავად უცხოელი პარტნიორების მხრიდან. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი საჯაროობაა საჭირო ქართული მხრიდანაც. აქ საკმარისი არ არის, რომ მარტო კონტროლის პალატამ პოსტფაქტუმ შეამოწმოს თანხების ხარჯვა.

**— რა მექანიზმები შეიძლება იყოს ეფექტური საიმისოდ, რომ გამოყოფილი თანხების ყოველი ცენტი მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული?**

— ქვეყანაში არსებობს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ამიტომ ყველაფერი, რაც ბიუჯეტიდან ფინანსდება, შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად უნდა იყოს დაფინანსებული. პრაქტიკულად, ეს მექანიზმი არსებობს, მთავარია კანონი იყოს გამოყენებული და დარღვევების გარეშე განხორციელდეს შესყიდვები. სამწუხაროდ, ბიუჯეტიდან დაფინანსებული შესყიდვების საქმეში სერიოზული დარღვევები არსებობდა.

**— ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამგვარი სახით გამოყოფილი თანხების ათვისებისას შუალედური რგოლების საქმიანობა საქმეს ნამდვილად არ ადგება. არ შეიძლება, რომ ქართულმა მხარემ შუამავალი ორგანიზაციების მომსახურებაზე საერთოდ უარი თქვას?..**

— შუალედური ორგანიზაციების მომსახურების აუცილებლობა საერთოდ არ არის და ამიტომ გამოყოფილი თანხების ასათვისებლად შესყიდვები მთავრობამ ყოველგვარი შუამავლების გარეშე უნდა განახორციელოს. ვფიქრობ, ასეც იქნება. ძალიან არ მინდა ვიფიქრო, რომ საქართველოს მთავრობა გამოყოფილი თანხების ეტაპობრივ ათვისებას შუამავალი ორგანიზაციების მომსახურების საშუალებით განახორციელებს.

**კობა ბენდელიანი**

## დაღდასმული ქვეყანა






**2007 წლის ნოემბერი.... ზუსტად ერთი წლის წინათ საქართველოში პოლიტიკური პროცესები უკიდურესად დაიძაბა. ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია ერთ გუნდად, ერთიან ეროვნულ საბჭოში გაერთიანდა და ხელისუფლებას ერთიანი მოთხოვნები წარუდგინა.**

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და პოლიტპატიმრების გათავისუფლება — ამ თითქოს ერთი შეხედვით უწყინარი მოთხოვნებით, რუსთაველის გამზირზე გაერთიანებული ოპოზიციის მრავალათასიანი მიტინგი დაიწყო.

საპროტესტო აქცია 2 ნოემბერს, 14:00 საათისთვის დაიგეგმა. თუმცა მომიტინგეებმა პარლამენტის წინ შეკრება ჯერ კიდევ პირველ ნოემბერს საღამოს 22:00 საათიდან დაიწყო. მათი უმეტესობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსულნი.

2 ნოემბერს, ოპოზიციამ პარლამენტის შენობასთან 100 ათასზე მეტი ადამიანის მობილიზება შეძლო. მიტინგი ზუსტად 14:00 საათზე „მრავალჟამიერით" დაიწყო. საპატრულო პოლიციამ კი, პარლამენტის ახლომდებარე ყველა ქუჩა გადაკეტა.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნები ასეთი იყო: — საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართოს არაუგვიანეს 2008 წლის გაზაფხულისა; არჩევნები ჩაატაროს ადმინისტრაციამ, რომელიც პარიტეტის საფუძველზე დაკომპლექტდება; მრავალმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მანდატები განაწილდეს თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების საფუძველზე; გათავისუფლდნენ სინდისისა და პოლიტიკური პატიმრები.

ოპოზიციის ლიდერები რუსთაველზე შეკრებილ აქციის მონაწილეებს სიტყვით რიგ-რიგობით მიმართავდნენ. მიტინგზე მალე ულტიმატუმიც გახმიანდა.

კერძოდ, ოპოზიციამ ხელისუფლებას პარლამენტის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ვადა 18:00 საათამდე მისცა.

გახმიანდა ისიც, რომ, თუ ხელისუფლება მომიტინგეთა მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, საპროტესტო განწყობის მქონე ელექტორატის მოთხოვნებს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაც დაემატებოდა, საპროტესტო აქციები კი, პერმანენტულ ხასიათს მიიღებდა და გაგრძელდებოდა მანამ, ვიდრე ხელისუფლება დათმობაზე არ წავიდოდა.

ოპოზიცია პარლამენტს გარეთ „ნაციონალური მოძრაობის" გარდაცვალებასა და ქართველი ხალხის გამარჯვების დაწყების შესახებ იუწყებოდა.

„ოთხწლიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტია „ნაციონალური მოძრაობა". დაკრძალვის ცერემონიალი საქართველოს პარლამენტის წინ დღეს დაიწყო და რამდენიმე დღეს გაგრძელდება", — აცხადებდა „კონსერვატიული პარტიის" ლიდერი, იმჟამად პარლამენტის წევრი ზვიად ძიძიგური.

პარლამენტის შენობის შიგნით კი, მიმდინარე მოვლენებზე კომენტარს მმართველი პარტიის მხოლოდ „გამოკვეთილი" სახეები აკეთებდნენ. ირონიული ღიმილით მიანიშნებდნენ, რომ „ოპოზიცია სუსტია", თორემ — საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს და ხელისუფლება მიტინგის მონაწილეებს არ დააბრკოლებს.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნების ხელისუფლებისთვის გასაცნობად, პარლამენტის თავმჯდომარეს ოპოზიციური გაერთიანების ხუთი ლიდერი: სალომე ზურაბიშვილი, თინა ხიდაშელი,

# 2007 წლის 2-7 ნოემბერი ქართული ტრაგედია

კახა კუკავა, დავით ბერძენიშვილი და ლევან გაჩეჩილაძე შეხვდნენ.

მათ ნინო ბურჯანაძეს ოპოზიციის მოთხოვნები, რომელსაც ხელს 10 პოლიტიკური პარტია აწერდა, წერილობით გადასცეს. შეხვედრას უმრავლესობის ლიდერები — მაია ნადირაძე, მიხეილ მაჭავარიანი და გიგა ბოკერიაც ესწრებოდნენ.

მოგვიანებით ირკვევა, რომ ხელისუფლება აქციის მონაწილეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულისთვის დანიშვნას არ აპირებდა და მის გამართვას მიზანშეწონილად შემოდგომისთვის მიიჩნევს.

ხელისუფლებას საკუთარი პოზიციის გასამყარებლად რამდენიმე არგუმენტი მოჰყავდა. მათ შორის — 2008 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები და გაეროს წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარება. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ასეთ პირობებში საქართველოში საპარლამენტო არჩევნების გამართვა ქვეყნისთვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. ამიტომ, საპარლამენტო არჩევნების ვადის შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულზე გამართვის საკითხი დღის წესრიგიდან უნდა მოხსნილიყო. რაც შეეხება ოპოზიციის სხვა მოთხოვნებს, ხელისუფლების წარმომადგენლები მათზე მსჯელობას შესაძლებლად მიიჩნევდნენ.

2 ნოემბერს კულმინაცია მიტინგზე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გამოჩენა იყო. პატარკაციშვილი მომიტინგეებს 18:00 საათზე შეუერთდა. მას ხალხი ოვაციებით და შეძახილით შეხვდა.

„გთხოვთ, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხელისუფლება დიალოგზე წამოვიდეს და მოვიდეს ის ძალა, რომელსაც ხალხის ხელისუფლება ჰქვია.

დღეს ყველაზე ნაკლებად გვჭირდება ბელადები. მე ვუერთდები მოთხოვნას, რომელიც კონსტიტუციურ ვადებში არჩევნების დანიშვნას ითხოვს.

მე, დღეს მოვედი იმიტომ, რომ მეთქვა, თუკი ბადრი პატარკაციშვილს აქვს რაიმე ამბიცია, ეს არის ის, რომ ვიყო ამ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც გაბრწყინებულ და აღორძინებულ საქართველოში ცხოვრობს. მიმაჩნია, რომ გვეყოფა სიბრძნე, რომ პოლიტიკურად მოვაგვაროთ ყველაფერი", — მიმართა მიტინგზე შეკრებილ ხალხს ბადრი პატარკაციშვილმა, რომელმაც დაადასტურა, რომ იმ ოპოზიციური პარტიების დაფინანსებას გეგმავდა, რომელნიც ნოემბრის აქციებს უწევდნენ ორგანიზებას.

მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ აპირებდა, პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე რადიკალური მოთხოვნა გაისმა — დაუყოვნებლივ გადადგეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი!

ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა კი, შიმშილობა დაიწყო.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა. გამოითქვა ეჭვი, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები, პარლამენტის წინ შეკრებილი ათეულ ათასობით ადამიანის მართვის სადავეებს ხელიდან უშვებდნენ. რადგან საპროტესტო ელექტორატი გაცილებით რადიკალურად იყო განწყობილი და გაცილებით რადიკალურ ნაბიჯებს მოითხოვდა, ვიდრე ამას ოპოზიციის ლიდერები ვარაუდობდნენ.

ამან ჩანს ხელისუფლებაც სერიოზულად შეაშფოთა და „გადამწყვეტი ნახტომისთვის" მოემზადა. სულ მალე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა გაახმიანეს ვერსია, რომ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან ალიანსში მყოფი ოპოზიციის ლიდერები, რუსეთის კარნახით საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებას გეგმავდნენ.

მოშიმშილეების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა.. 3-4-5-6 ნოემბერს აქციები თითქმის უწყვეტ რეჟიმში იმართებოდა. თუმცა, მონაწილეთა რიცხვი მცირდებოდა.

7 ნოემბერს პარლამენტის შენობასთან მიტინგი 14:00 საათზე უნდა განახლებულიყო. ოპოზიციური პარტიების მოშიმშილე ლიდერებმა 7 ნოემბერს დილით საკანონმდებლო ორგანოს წინ კარვების გაშლა სცადეს, რათა შიმშილობა იქ გაეგრძელებინათ. თუმცა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათ, პარლამენტის წინ „კარვების ქალაქის" გაშლის საშუალება არ მისცეს და ძალის გამოყენებით აიძულეს ისინი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინათ.

ხელისუფლების ამ ნაბიჯმა თითქოს მინავლებული საპროტესტო ტალღის ახალი ძალით აგორება გამოიწვია. რადგან მოშიმშილეთა წინააღმდეგ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების შემდეგ, აქციის მონაწილეები ოპოზიციის მიტინგის შესაძლო დარბევაზე ალაპარაკდა, რის გამოც მოსახლეობამ პარლამენტის შენობასთან დათქმულ დროზე ადრე დაიწყო მისვლა.

მოშიმშილეთა დაშლიდან მალე, რუსთაველზე ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეებს ამჯერად მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჰქონდათ — დაუყოვნებლივ გადადგეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი!

ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მომიტინგეთაგან რუსთაველის პროსპექტის განთავისუფლების ბრძანება მიიღეს. მათ მიერ ბრძანების შესრულების მცდელობას პოლიციასა და მომიტინგეებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

პარლამენტის შენობას ამ დროისთვის უკვე საგანგებო დაცვა ამაგრებდა. რამდენიმე წუთში კი, რუსთაველის გამზირზე პირველი ნიღბიანი სპეცრაზმელებიც გამოჩნდნენ.

მომიტინგეებს სასტუმრო „თბილისი მარიოტის" მხრიდან წყლის ჭავლი მანქანა მიადგა. ძალოვანებმა მომიტინგეებს მიმართეს და მოუწოდეს — ნებაყოფლობით დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაშლას თავად უზრუნველყოფდნენ.

გაფრთხილების მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა დაშლა არ ისურვეს. პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის წვერები რუსთაველზე მყოფ მომიტინგეთა დაშლას ცრემლსადენი გაზით და წყლის ჭავლით შეეცადნენ, შემდეგ კი, მომიტინგეებზე „შეტევა" ხელკეტებით და რეზინის ტყვიებით მიიტანეს.

რუსთაველის გამზირზე სრული ქაოსი შეიქმნა. მიტინგის მონაწილეები ნებისმიერი მიმართულებით ცდილობდნენ გაქცევას. რამდენიმე წუთში რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი მთლიანად სპეცდანიშნულების რაზმმა დაიკავა.

მომიტინგეებმა რიყეზე გადაინაცვლეს, სადაც აქციის მონაწილეთა დარბევის მეორე რაუნდი დაიწყო.

სპეცრაზმმა მიიღო ბრძანება მიტინგი, რომელიც ახლა უკვე რიყეზე იმართებოდა, სასწრაფოდ დაეშალა. მათ წინააღმდეგ კვლავ რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და ხელკეტები გამოიყენეს.

ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა დარბევების სერია ტელეკომპანია „იმედში" პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის შეჭრის და მის მიერ ტელეკომპანიის დარბევა-დალეწვით დასრულდა, რომლის მფლობელიც, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან ერთად კომპანია News Corp-იც იყო.

მაუწყებლობა შეწყვიტა რადიო „იმედმაც".

ტელეკომპანიის დარბევის ფაქტით აღშფოთებული „იმედის" შენობასთან შეკრებილ მოსახლეობას კი, ძალოვანები ისეთივე სისასტიკით გაუსწორდნენ, როგორც რუსთაველის გამზირზე და რიყეზე.

7 ნოემბერს, პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმების მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დარბევის შედეგად საავადმყოფოებში 400-მდე ადამიანი აღმოჩნდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი მომიტინგეთა დაშლას „პროფესიული" უწოდა.

„არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელიც ძალას არ იყენებს, როცა სიტუაცია კონტროლიდან გამოდის? ჩვენს პოლიციას არავითარი პრაქტიკა არ გააჩნდა და, ამის მიუხედავად, ოპერაცია პროფესიულად ჩატარდა — მსხვერპლის და სერიოზული დაშავებების გარეშე.

როცა ხელისუფლებაში მოვედით, პოლიციას არანაირი შეიარაღება არ ჰქონდა, ახლა ჩვენ კარგად შეიარაღებულნი ვართ. დემონსტრაციის დასაშლელად კი თანამედროვე მეთოდები გამოვიყენეთ, მათ შორის — აკუსტიკური ტექნიკა. რა თქმა უნდა, ეს იყო ძალიან მძიმე გადაწყვეტილება. მაგრამ ჩვენ პროფესიონალურად მოვიქეცით. როცა ჩვენ ვყიდულობთ გაზს, მას კარგად ვამოწმებთ და, ამასთანავე, ყოველ წესს ვიცავთ", — აცხადებდნენ 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ შსს-ში.

ჯო-ეიბ-ენი





მთავრობა

**როგორ ჩანდა საქართველოს სამი პრემიერ-მინისტრი ციფრებში და პოლიტიკურ არენაზე? რითი ჰგავდნენ და განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ჟვანია, ნოლაიდელი და გურგენიძე? ვინ არის და რას ელიან ახალი, მეოთხე პრემიერისგან? როგორი იყო და გახდა სახელისუფლებო ბალანსი და ვინ, რას და როგორ აკონტროლებს ვერტიკალზე?**

ისინი ჩვენთვის მხოლოდ ნაცნობი ან უცნობი სახეები არიან. მათზე ან კარგი გვესმის ან ცუდი, მათი ან გვჯერა ან უკვე დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი ჩვენს იმედსა და მოლოდინს ვერ გაამართლებენ. თითოეულის უკან კი დიდი ინტერესები და გავლენები დგას.

ყველაზე დიდხანს ზურაბ ჟვანია ელოდა პრემიერის პორტფელს, მისი მმართველობა კი ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა. კანცელარიაში მან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო და ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა: ცარიელი ბიუჯეტი, საპენსიო და სახელფასო დავალიანებები. თუმცა, მეორე მხრივ, ამ გაპარტახებული ქვეყნის პოლიტიკური მმართველობისადმი დასავლეთს საკმაოდ მაღალი ნდობის ხარისხი ჰქონდა. ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური გუნდი იყო. შესაბამისად, ვერტიკალზე გავლენებიც მათ გადაინაწილეს. სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, ჟვანიამ მთავრობის დაკომპლექტების „უფლება“ მიიღო, ბურჯანაძეს „წილად“ პარლამენტი ხვდა.

შესაბამისად ჟვანიამ თავის გემოვნებით „ააწყო“ ეკონომიკური გუნდი, ძალოვან სტრუქტურებში გია ბარამიძის დანიშვნაც კი მოახერხა, თუმცა, კონსტიტუციით ძალოვანები მთლიანად პრეზიდენტს ემორჩილებოდნენ. მაშინდელი ეკონომიკური გუნდის წევრები იყვნენ: ზურაბ ნოლაიდელი, ლექსო ალექსიშვილი, სახმინისტრი კახა ბენდუქიძე. მაშინ ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა გილაური, ჯანდაცვის მინისტრად – გიგი წერეთელი, სოფლის მეურნეობის მინისტრად – შერვაშიძე. მოკლედ, ვერტიკალი ჟვანიამ თითქმის მთლიანად აითვისა.

სწორედ მაშინ, 2004 წელს განისაზღვრა ეკონომიკური პოლიტიკაც. აიწყო და მომზადდა საკანონმდებლო ბაზა. მაგრამ მოულოდნელად ის ტრაგიკულად დაიღუპა. ექსპერტები ამბობენ, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ რეფორმებს.

ჟვანიას გარდაცვალება ალბათ, მაინც პირველი სერიოზული კრიზისი იყო სააკაშვილისთვის. პრემიერის გარდაცვალებამ ბევრი კითხვა და ეჭვი გააჩინა. ჟვანიას ცოლი მეუღლის გუნდს თანამდებობების დატოვებასა და ოპოზიციაში გადასვლას თხოვდა, მაგრამ... მოგვიანებით მან თქვა: ზურას მეგობრები მზად არ აღმოჩნდნენ ქმედითი ნაბიჯებისთვისო.

სააკაშვილმა კი ეს პირველი კრიზისი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებით გადალახა. მან პრემიერის პორტფელი ზურაბ ნოლაიდელს ჩააბარა. მანვე პორტფელთან ერთად ჩაიბარა ეკონომიკური გუნდიც, სადაც ცვლილებები არ განუხორციელებია. ჟვანიას გუნდს დარჩა განცდა, რომ ისინი უბრალოდ ვალდებულები იყვნენ, გაეგრძელებინათ მეგობრისა და მასწავლებლის მიერ დაწყებული საქმე. მით უფრო, რომ სააკაშვილმა მათ ამისი საშუალება მისცა. ყველაზე კარგად სწორედ ნოლაიდელმა იცოდა, რისი გაკეთება უნდოდა ჟვანიას და როგორ. ამიტომაც მან იმის განხორციელება დაიწყო, რაც უკვე შემუშავებული და დაწერილი იყო. სწორედ მაშინ, 2005 წლიდან, დაიწყო ხელფასებისა და პენსიების მატება და დავალიანებების დაფარვა, შეიცვალა კანონმდებლობა, გამოვიდა ფინანსური ამნისტია...

ნოლაიდელმა ჩაანაცვლა ჟვანია პრემიერის პოსტზე. მაგრამ ქვეყნის პირველი პრემიერი უბრალოდ თანამდებობის პირი არ ყოფილა. ის, თავის მხრივ, იმ გუნდის წევრი იყო, სადაც ძირითად საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღებოდა. ჟვანიას პორტფელი თუ ზურაბ ნოლაიდელს მისცეს, მისი გავლენა კულისებში ირაკლი ოქრუაშვილმა „დაიკავა“. პირობითად რომ ვთქვათ, გავლენის ჯგუფში მაშინ ირაკლის გარდა ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ნოლაიდელი, გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და ზურაბ ადეიშვილი დაფიქსირდნენ. როგორც ხედავთ, ეს ჯგუფი მთლიანად ნაცნოძრაობის გავლენიანი ფიგურებით შეივსო.

ნოლაიდელი პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა. ვერტიკალზე ის ყველაზე აპოლიტიკურ ფიგურად ითვლებოდა. გარემოცვამ მაშინდელი პრემიერი იმაშიც ვერ დაარწმუნა, რომ საპარლამენტო სიებში საკუთარი ფიგურები ჩაესვა. მას არ ესმოდა, რისთვის სჭირდებოდა საპარლამენტო გავლენები. მის დროს ზრდა დაიწყო ბიუჯეტმა, გაიზარდა გადასახადების ამოღების დონე. თუმცა, ძალოვანების ჩარევის გარეშე, ექსპერტების აზრით, გადასახადების აკრეფა სერიოზულად გაჭირდებოდა.

ნოლაიდელი პრემიერის სავარძელში ორი წელიწადზე მეტ ხანს იჯდა. და თუმცა, გაიზარდა ეკონომიკური მაჩვენებლები, სამაგიეროდ დაიწია საგარეო ფაქტორმა. თუ ზურაბ ჟვანიას ყველასთან ჰქონდა ურთიერთობა: დასავლეთთან, აღმოსავლეთთან, მეზობელ ქვეყნებთან, ნატოსთან, ევროსაბჭოსთან, ევროკავშირთან, ნოლაიდელი გარკვეული წრით შემოიფარგლა. მას აინტერესებდა მხოლოდ მეზობლები და ევროგაერთიანება. აი, გურგენიძე საგარეო ფაქტორს თითქმის უგულებელყოფდა. ურთიერთობები თითქმის არავისთან არ ჰქონია ინვესტორების გარდა...

ლადო გურგენიძემ პრემიერის პორტფელი მხოლოდ ერთი წლითა და ოთხი თვით შეინარჩუნა. მის დროს უკვე ვერტიკალზე გავლენების სფეროები ძირითადად სამ ფიგურას შორის ნაწილდება. ესენი არიან: ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და ზურაბ ადეიშვილი.

გურგენიძის დროს პირველად იცვლება ჟვანიას მიერ დაკომპლექტებული ეკონომიკური გუნდიც. ვერტიკალს ტოვებს ლექსო ალექსიძე, გავლენებს კარგავს კახა ბენდუქიძე, რა თქმა უნდა, პოსტს ტოვებს ნოლაიდელიც.

გურგენიძე საკუთარი, ვიწრო „კუტოკით“ იფარგლება. ვერტიკალზე მას სულ რამდენიმე ნდობით აღჭურვილი პირი ჰყავს. მათ შორის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები. დანარჩენებს გურგენიძე უმეტეს შემთხვევაში არც კი ილებდა. ამბობენ, რომ გურგენიძე უკვე გადამდგარ ნოლაიდელსაც გადაელობა წინ.

ჟვანიას მისაღებში თუ ყველას ნახავდით, ნოლაიდელმა, ამ მხრივ, შეზღუდვები დააწესა. მხოლოდ იმათ ხვდებოდა, ვისი მიღებაც რაიმე კონკრეტულ საკითხს უკავშირდებოდა და ეს სკითხი თავის მხრივ მთავრობის სხდომაზეც შეიძლება გასულიყო, აი, გურგენიძეს კი მინისტრებისგანაც შორს ეჭირა თავი. ბევრი თემა მას უბრალოდ არ აინტერესებდა. მისი ხანმოკლე მმართველობა ძირითადად ეროვნულ ბანკზე „თავდასხმით“ შემოიფარგლა. და თუ ეროვნულმა ბანკმა ბოლომდე მაინც არ დაკარგა სახე, ეს, როგორც მიანიშნებენ, ზურაბ ადეიშვილის დამსახურებაა.



# ვინ გრძნობს თავს ლაღად „ხელმწიფის“ კარზე?

## როგორი იყო და როგორი გახდა სახელისუფლებო ბალანსი?

პრემიერები ციფრებში: 2003 წელს გადასახადების ამოღების დონე არ აღემატებოდა 13,5%, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 15% გაიზარდა, 2005 წლისთვის 20% გახდა, 2006 წელს – 23%, 2007 წელს – 25%.

მთლიანი შიდა პროდუქტი ჟვანიას დროს 5,6% გაიზარდა, ნოლაიდელის დროს 9,4 % გახდა და მისი პრემიერობის ბოლომდე ზრდის მაჩვენებელმა 12% მიაღწია. გურგენიძის დროს დაგეგმილი იყო კიდევ 8,5% გაზრდა... შემცირდა საგარეო ვალიც. წლიდან წლამდე მან 56%-დან 16%-მდე დაიწია.

ციფრების, გავლენებისა და ინტერესების მიღმა შეცდომებიც იყო. ჟვანიას შეცდომებზე ძნელია საუბარი. თუნდაც იმ მემკვიდრეობის გამო, რომელიც მაშინ ვარდების რევოლუციონერებმა ჩაიბარეს, დროის სიმცირეც აქ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეკონომიკური პოლიტიკის გამო უცხოელი ექსპერტები მას აქებდნენ, ქართველი ოპონენტები აძაგებდნენ კიდეც.

ნოლაიდელის მთავარი პლუსი ის არის, რომ მან თითქმის ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე, თუმცა, რიგით მეორე პრემიერი საკუთარ კაბინეტში ჩაიკეტა და ჟვანიასგან განსხვავებით არავის ხვდებოდა, თითქმის არავის. ლადო გურგენიძე კი მხოლოდ საკუთარი მცირერიცხოვანი გუნდით იყო დაკავებული.

თუმცა, განსხვავებული სიმძიმის, სერიოზულობისა თუ შეხედულებების მიუხედავად, წინამორბედებს ერთი საერთო მაინც ჰქონდათ. ეს ძალოვანი მინისტრების მათდამი დამოკიდებულება იყო. და აქ ჟვანია გამონაკლისი არ ყოფილა. როგორც წესი, ძალოვანი უწყების მინისტრები პრემიერების მიერ გამართულ მთავრობის სხდომებს არ ესწრებოდნენ. ირაკლი ოქრუაშვილი ჟვანიას სხდომებს არც ერთხელ არ დასწრებია, ვანო მერაბიშვილი იშვიათად ჩნდებოდა კანცელარიაში და ძირითადად პრემიერებს პირადად სტუმრობდა ხოლმე. ასევე იშვიათად ჩნდებოდა მერაბიშვილი პარლამენტში. თუმცა, უფრო ხშირად მას ნინო ბურჯანაძის მისაღებში ნახავდით. პარლამენტს ხშირ შემთხვევაში უკომენტაროდ ტოვებდა.

საქმე ის არის, რომ ნინო ბურჯანაძე ვერც თავის დროზე აკონტროლებდა პარლამენტს, აქ ძლიერი გავლენები აქვს ვანო მერაბიშვილს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ძირითად ფიგურას თავისი ნდობით აღჭურვილი პირი ჰყავს საარჩევნო სიებში ჩასმული. ალბათ, ამიტომაც უმრავლესობა დღემდე ერთიან ორგანიზმად რჩება. ყველა ემორჩილება ერთ პარტიულ ხაზს. ამბობენ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ფინანსთა სამინისტროსაც შს მინისტრი აკონტროლებს. თითქოს სწორედ ის (და არა გურგენიძეძ გილაურს პრემიერად ლობირებდა.

მაგრამ სააკაშვილმა პრემიერის პოსტი გიგი უგულავას დაუტოვა. უგულავა-ბოკერიას გუნდის წევრად მიიჩნევენ რიგით მეოთხე პრემიერს. მას აქებენ.

რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილს, მას იუსტიციისა და პროკურატურის გაერთიანებული უწყება ჩააბარეს.

სააკაშვილმა, როგორც ექსპერტებს უყვართ თქმა, ბალანსი დაიცვა. პარლამენტი თუ ადრე ნინო ბურჯანაძეს ჩააბარეს, ახლა მას თითქმის მთლიანად ვანო მერაბიშვილი აკონტროლებს, მთავრობას თუ ადრე ჟვანია აკონტროლებდა, ხოლო შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილი ცდილობდა ძირითადი ბერკეტების ხელში ჩაგდებას, საბოლოო ჯამში გიგი უგულავას ხელში აღმოჩნდა, ანუ ახალი პრემიერის ერთ-ერთი ფუნქცია ბალანსის შენარჩუნებაა.

თუმცა, გავლენების ასეთი დაყოფა არასწორია. სააკაშვილის კარზე „გავლენის ჯგუფი“ ერთმანეთს ღიად არ უპირისპირდება. ამიტომაც ისინი ერთმანეთის ინტერესებსაც ითვალისწინებენ.

ამ სამეულს – მერაბიშვილი, უგულავა, ადეიშვილი – შორისაც ბევრი მსგავსება-განსხვავებაა, თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა. და ამ ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი დაუსრულებელი თავია.

**ქეთი ხატიაშვილი**

**ХИ-ЭЙБ-ЭНИ**

სამეგრელოდან

# უპატრონობით გაპარტახებული სოფელი

**საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოს მხარეში თხილის ფასის მკვეთრმა დაცემამ (1კგ. – 1,40 ლარი) ჩვენს თანამემამულეებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა, არადა მათ მხოლოდ თხილი შემორჩათ ოჯახის რჩენის ერთადერთ საშუალებად.**

ამჟამად სამეგრელოში თხილის პლანტაციების გაშენების ბუმია. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ქართული ჩაის განადგურებისა და სიმინდის მარცვლის გაძვირებისა. თხილი შენდება ყველგან, ნაჩაიარ და სახნავ-სათეს ფართობებზე, რამაც გამოიწვია სიმინდის მარცვლის წარმოების შემცირება და შესაბამისად კატასტროფულად გადიდდა მისი საბაზრო ფასი. 1200 ჰექტარ ნაჩაიარზე ერთ-ერთმა იტალიურმა ფირმამ თხილი გააშენა.

დღეს, სამწუხაროდ, ჩაის კულტურაც განადგურებულია, ხოლო დღემდე დარჩენილი ფართობები მოუვლელობის გამო გაველურებულია. ეს დარგი დღეს არავის არ აინტერესებს, არადა მარტო ზუგდიდის რაიონში მთლიანი შემოსავლის 80 პროცენტი მეჩაიეობაზე მოდიოდა და ამ დარგში დასაქმებული იყო 25000-ზე მეტი ადამიანი. მეჩაიეობაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო ისინი უმუშევრები დარჩნენ.

ქართული ჩაის გადარჩენის პერსპექტივებზე თავიანთ მოსაზრებებს გვიზიარებენ ამ დარგის პროფესიონალი სპეციალისტები, ბატონები: ვაჟა ფიფია, გენო თოდუა და თამაზ ცანავა.

**ვაჟა ფიფია, ექსპერტი მეჩაიეობის დარგში:** მეჩაიეობაში და ჩაის მრეწველობაში განხორციელებულმა პრივატიზაციამ მოსალოდნელი შედეგი ვერ მოგვცა, რადგან მთლიანად მეჩაიეობის დარგის აღდგენა სახელმწიფოს მხრიდან მძლავრი ფინანსური დახმარების გარეშე შეუძლებელია. თურმე მეჩაიეობის არც ერთ ქვეყანაში ეს დარგი არ იმართება ლიბერალური საბაზრო პრინციპების გამოყენებით. ქვეყნის ბაზარი გაჯერებულია უცხოური დაბალი ხარისხის ჩაის პროდუქციით, ხოლო ჩვენი ფერმერები და ჩაის მეპატრონეები უსახსრობის გამო ვერაფერს ვერ აკეთებენ. ჯერ კიდევ სანამ არ გადაშენებულა ჩაის კულტურა, მეჩაიეობაში მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნება ნაწილობრივ მაინც შეიძლება, რისთვისაც აუცილებელია საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვენახთან ერთად ჩაის მიმართაც გამოიჩინონ სახელმწიფოებრივი პოზიცია და იგი მეჩაიეობის რაიონებისთვის პრიორიტეტად უნდა აღიარონ.

**გენო თოდუა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:** სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აუცილებელია, რომ მეჩაიეობა აღდგეს და დარგი გადარჩეს. სახელმწიფომ უნდა იტვირთოს ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაც, რათა ჩვენმა ჩაიმ დააკმაყოფილოს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილებები.

**თამაზ ცანავა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი:** ჩემი სამეცნიერო საქმიანობა დაკავშირებული იყო ჩაის კულტურასთან, მისი მექანიზაციის დონის ამაღლებასთან, მოსავლიანობის გაზრდასთან. ამჟამად ჩაი კერძო სექტორის საკუთრებაა, მაგრამ უსახსრობის გამო ძნელია მისი მოვლა-პატრონობა. ჩვენ, დარგის სპეციალისტებს, გვაქვს წინადადება, რომელიც შესაძლებელს გახდის მეჩაიეობის აღორძინებას. ჩაის ფართობი 3-დან 5-ჰექტარამდე უნდა გადაეცეთ ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც მოკრეფილი ჩაის ფოთოლს თავიანთ პლანტაციებთან ახლოს აგებულ ჩაის მინიფაბრიკებში გადაამუშავებენ. ასეთი მინიფაბრიკა დაჯდება 50 000 ლარამდე. ეს თანხა მათ 4-5-წლიანი კრედიტის სახით სახელმწიფომ უნდა გამოუყოს. ასევე ფერმერები გარკვეული ვადით უნდა გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან.

ერთი სიტყვით, ქართული ჩაი შველას ითხოვს!

**ლადო ქირია.**

**ზუგდიდიდან.**



ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

## თავი მეორე.
## აღმოსავლეთ საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობა სეფიანების დროს

### I.

### 1.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ეპოქაში სპარსეთი თავს საქართველოს, უფრო ზუსტად, ქართლ-კახეთის ჭეშმარიტ მბრძანებლად რაცხდა. მართალია, გულისტანის ტრაქტატის (1813 წ.ძ III მუხლით П.с. З. №25, 466 „მისი დიდებულება შაჰი... ამით საქვეყნოდ აცხადებს, რომ როგორც თავისი სახელით, ისე სპარსეთის ტახტის მაღალ მემკვიდრეთა სახელით ცნობს რუსეთის იმპერიის საკუთრებად... სახანოებს; აგრეთვე საქართველოს შურაგელის პროვინციით, გურია-იმერეთით და სამეგრელო-აფხაზეთითურთ და ა.შ. იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ უარს ამბობს აგრეთვე სამეგრელოზე, იმერეთზე — მაგრამ ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა, ვინაიდან ჯერ კიდევ ქუჩუქ-კაინარჯის ტრაქტატის მიხედვით ეს ქვეყნები ოსმალეთის ქვეშევრდომებად ითვლებიან. ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის (1774 წ.ძ 23 მუხ... „როგორც მოხსენიებული ხალხები არიან ქვეშევრდომნი ბრწყინვალე პორტისი“ etc. П.с. З. №14, 164.

მაინც, რა საფუძველი ჰქონდა სპარსეთის პრეტენზიებს? ფლობდა კია იგი საქართველოს; როდის დამყარდა ეს ქვეშევრდომობა და რით ვლინდებოდა იგი?

სანამ ყაჯართა დინასტიის შაჰების ძიებებს შევაფასებდეთ (რასაც თავის ადგილზე ვიზამთძ, აუცილებელია, ზოგადად მიმოვიხილოთ საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა წინა პერიოდებში. ეს ურთიერთობანი კი ისეა დახლართული, და ისეთი გრძელი ისტორია აქვთ, რომ მათი არცთუ დაწვრილებითი განხილვა მთელი გამოკვლევა გამოგვივიდოდა. ამიტომ, დუმილით ავუაროთ გვერდი მთელ დროს XV საუკუნის ბოლომდე, და მივმართოთ ამ ეპოქას — უშუალოდ რომ უძღვის წინ სეფიანთა დინასტიის გამეფებას. სწორედ ამ სახელგანთქმული დინასტიის ხელმწიფეთა მმართველობისას ამყარებს საქართველო უფრო მჭიდრო კავშირს სპარსეთთან.

საქართველოს უბედურების, ე. ი. „სპარსული“ ციკლის სათავეში ვხედავთ უზუნ-ჰასანს, ძლევამოსილი სულთნის მეჰმედ II-ს მოწინააღმდეგეს. უზუნ-ჰასანამდე, ვახუშტის თქმით, საქართველოს რიგზე ჰქონდა საგარეო საქმეები. შაჰები ჯერ არ ბატონობდნენ მთელ სპარსეთზე, ოსმალები ევროპელებთან ომით იყვნენ დაკავებულნი.

უზუნ-ჰასანი საქართველოში 1478 წელს შემოიჭრა. კონსტანტინე II მტერს მედგრად დაუხვდა; საბოლოოდ,საქმე საპატიო ზავითა და თბილისის ციტადელში გარნიზონის დატოვებით დასრულდა. (სხვათა შორის, XV ს.მე-2 ნახევარში დაწერილ ბარათში, რომელიც სავარაუდოდ კონსტანტინე II-მ გაუგზავნა იზაბელა კასტილიელს, ჩვენ უკვე ვხვდებით ფორმულირებას, რომლითაც ქართველები იძულებულნი იყვნენ, სამი საუკუნის მანძილზე მიემართათ ხოლმე სხვადასხვა მთავრობებისათვის, და ყოველთვის — უნაყოფოდ. „შენთვის ცნობილია, წერს მეფე, რომ უსჯულო სპარსელები სასტიკად გვაწამებენ,. მათ უამრავი ბოროტება მოგვიტანეს და ჩვენგან მოითხოვენ სამ რასმე: გვიხადეთო, გვეუბნებიან, უზარმაზარი ხარკი,იბრძოლეთო სულ მუდამ ჩვენს რიგებში, და ბოლოს, გადმოდითო ჩვენს სჯულზე. ისინი ბევრზე ბევრნი არიან. ჩვენ კი, კონსტანტინეპოლისა და ტრაპიზონის დაცემის შემდეგ, მარტოდ მარტონი დავრჩით). უზუნ-ჰასანის საქმე მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს — XV საუკუნის მიწურულში რამდენჯერმე შემოუსიეს ჯარი საქართველოს. ერთი ხანობა, ქართველები მარჯვედ უმკლავდებოდნენ მტერს, იგერიებდნენ თავდასხმებს და ანგრევდნენ ციხე-სიმაგრეებს, რომლებსაც მომხდურნი აშენებდნენ. მაგრამ მერე და მერე, სულ უფრო ძლიერდება დარტყმები, ამჯერად სეფიანების მხრივ.

XVI საუკუნის დამდეგს შაჰი ისმაილი უკვე სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია მიწა-წყლისა სპარსეთის ყურიდან კასპიის ზღვამდე. ოსმალეთთან ომები სულ უფრო ცხადად აყენებს სეფიანების წინაშე გადაუდებელ ამოცანას — დაიპყრონ ან ერთგულ ქვეშევრდომად მაინც გაიხადონ საქართველო. ამ ქვეყნის თავზე ცა ავისმომასწავებლად იქუფრება.

საქართველოს მიმართ შაჰ ისმაილის დამოკიდებულების ისტორია (XVI საუკუნის პირველი მეოთხედიძ უკვე მოიცავს ქართველ-სპარსელთა შუღლისა და კავშირის მთავარ მომენტებს. ერთის მხრივ, მორჩილების მოთხოვნა, წყალობის პირობა, გარნიზონების შეყვანა ციხეებში და სიმაგრეების აგება სტრატეგიულ პუნქტებში; მეორეს მხრივ — ბეწვის ხიდზე სიარული ოსმალებსა და სპარსელებს შუა, მზადყოფნა, ყოველ წუთს დაიბრუნონ წართმეული.

ისმაილის მემკვიდრემ შაჰ-თამაზმა (1624-86ძ, თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე, მთელი რიგი ლაშქრობები მოაწყო საქართველოში.

ამიერიდან, საქართველოსა და სპარსეთის საპოლიტიკო კავშირი თანდათან მტკიცდება. მალე დადგება მაჰმადიანი მეფეების ხანა.

ასე, თანდათან, მზადდება ეპოქა, სადაც არ არის სხვა არჩევანი: ან ურჩობა და ბრძოლა, ერთის მხრივ, ან მორჩილება, მაამებლობისაგან რომ არ განსხვავდება, და შედარებითი სიმშვიდე — მეორეს მხრივ. მაგრამ პირველი პოზიცია უსასოოა, მეორე — საეჭვო, რადგანაც სპარსეთს ჭირვეულობა სჩვევია, ხოლო საქართველოს — აბობოქრება. ორივე ტიპი ურთიერთობისა ჰყვაოდა საქართველოში, სხვადასხვა ხარისხითა და სხვადასხვა ვარიაციით. მშვიდობიანობა კი ვერ იქნებოდა, იმიტომ, რომ ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, დისჰარმონიული იყო.

ჭრელია ეპოქა, ძალიან ჭრელი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სპარსეთი ყოველი ღონით ეშურება, დაეპატრონოს ქვეყანას, ხოლო სამსხვერპლოდ განმზადებული ხალხი ყოველნაირად იცავს თავს.

### 2.

მაინც, რით დამთავრდა ეს საქმე საქართველოსა და სპარსეთისათვის?

ამ უკანასკნელმა საბოლოოდ ვერ მოახერხა, უვნებელ-ეყო თავისი ზურგი ამიერკავკასიის მხრიდან. საქართველო დაიღუპა, მაგრამ დაიღუპა ქრისტიანული ცივილიზაციის ინტერესებისათვის, და არა მაჰმადიანური აღმოსავლეთის წარმატებათა გულისათვის.

საკუთრივ სპარსეთისათვის საქართველოს აღსასრული იყო დასაწყისი საპოლიტიკო დამცირებისა და სრული დაქუცმაცებისა.

ის, რომ ირანის უმძიმეს უღელს შეეძლო, წელში გადაეტეხა ქვეყანა, ეს არ არის გასაკვირი. მარტო XVI საუკუნე ეყოფოდა იმას, რომ გაეცამტვერებინა ერის საისტორიო მოწოდება — არადა, საქართველომ, სანამ ამ ასწლეულში შემოდგამდა ფეხს, გადაიტანა არა ერთი და არა ორი შემოსევა და გაპარტახება — არაბების, სელჩუკების, ჩინგის-ხანის, თემურ-ლენგის და სხვათა და სხვათა — წინ კი ელოდა კიდევ შაჰ-აბას I-ის ეპოქა, მერმე ოსმალთაგან დაპყრობა XVIII საუკუნის მე-2 მეოთხედში, ნადირ-შაჰი, და ბოლოს, უკვე XVIII საუკუნის მიწურულამდე — უბედურებანი. დაუმატეთ ყოველივე ამას ისეთი ქრონიკული სნეულებანი, როგორიცაა გამუდმებული ლეკიანობა, ტყვეთსყიდვა, შინაომები.

რა ზღვა სისხლი დაიღვარა ამ ბრძოლაში — არსებობისათვის ბრძოლაში! ჯვარისმტვირთველთა სისხლის ნაკადულების გვერდით მოჩქეფს მოჯანყეების, სამშობლოს მოღალატეების სისხლი და შინაომებში დაღვრილი სის-


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ
КЪ
РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ
1901

ხლი. მაგრამ რა ცოტა რამ გადარჩა ამ მსხვერპლის ფასად!

მაშინ ვერ მოხერხდა მახვილითა და სისხლით გადაწყვეტილიყო კავკასიონისპირეთის საკითხები, თუმცა არც ერთს იშურებდა არავინ და არც მეორეს.

ირანს შეეძლო უვნებელ-ეყო თავისი ზურგი საქართველოს მხრიდან — მხოლოდ მაშინ, თუ ერთიანად ამოწყვეტდა მის მოსახლეობას. მაგრამ ეს თვით ირანსაც კი არ ხელეწიფებოდა. სპარსეთი საქართველოს მიმართ იყენებდა ზემოქმედების ყველა მეთოდს, დიპლომატიური ფერებით დაწყებული, არნახული სისხლისღვრითა და საკუთარი მიწა-წყლიდან აყრით დამთავრებული. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეს სპარსეთსაც ერთობ ძვირი უჯდებოდა, მიზანს მაინც ვერასგზით ვერ მიაღწია. ბევრჯერ მოუნდომა შთანთქმა, მაგრამ საქართველო ყოველ ჯერზე ყელზე ადგებოდა — ცოცხლად გადარჩენილები სულს მოითქვამდნენ, იარაღს აისხამდნენ, მტერს სისხლს სისხლითვე აზღვევინებდნენ, და მაინც არ იჩერებდნენ უღელს.

რა ადგილი ეჭირა მთელი ამ ბრძოლის მიმდინარეობას, სპარსეთისა და საქართველოსათვის მოტანილი შედეგების გაშუქებას! ეს იგივე იქნებოდა, რომ გვეამბნა აღმოსავლეთ საქართველოს ორ საუკუნე-ნახევრის ისტორია (ე. ი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდისძ.

ეს ისტორია აღსავსეა ტრაგიკული მომენტებით, მაგრამ ძაფი რელიგიური და ეროვნული ბრძოლისა არ არის არც ერთადერთი და არც დედაძაფი ამ ისტორიისა.

ჯვარისმტვირთველი საქართველო (მისი ჩრდილით ატაცება გამოსჭვივის არა მარტოდენ ქართველებში, არამედ აგრეთვე ზოგი რუსი და უცხოელი ავტორების ნაწერებშიც. გააზვიადო ქართველთა ქრისტესმოყვარეობა



ისეთივე ცალკერძოობაა, როგორც გააზვიადო მათი მანკიერებები, სხვათა შორის, დღესაც შეიძლება წააწყდე როგორც ქართული „ღირსებების“ უზომო ქებას, ისე შარდენისა და სხვა ნაკლებად ცნობილი მოგზაურების გულუბრყვილო ციტირებას იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ უზნეონი და გარყვნილნი ყოფილან ქართველები ძველად), გულად მეფეთა, სასიქადულო მღვდელმთავართა, განსწავლულ და მადლმოსილ ბერმონაზონთა, უშიშო ვითარ უხორცო რაინდთა, და, ბოლოს, იმ მიწათმოქმედთა საქართველო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ იცავდნენ მშობლიურ ველებს, — ეს არ არის სრულიად საქართველო, ეს მხოლოდ ერთი (თუმცა საუკეთესო) სტიქიონთაგანია მისი საისტორიო სიცოცხლისა.

არის მეორე საქართველოც, არა ნაკლებ — თუ არა უფრო მეტად — ნამდვილი, ვიდრე ის პირველი საქართველოა: სჯულგანდგომილი მეფეების, შაჰის ლაქუცა გოშიების, გამგელებული მოძღვრების, ტყვეთამსყიდველი თავადების, მძარცველი, მხდალი მხედრების საქართველო. ეს ორი საქართველო გვერდი-გვერდ ცხოვრობს, და ერთი არასდროს არ ითქვიფება მეორეში, მაგრამ ხშირად ერთი მათგანი წინა პლანზე გადმოდის, მეორე კი ბნელში რჩება.

### II.

ძნელია, ცხადად გამოჰკვეთო სპარსეთისა და საქართველოს საპოლიტიკო კავშირის არსი, იმიტომ, რომ ეს ურთიერთობა რაღაც მერყევს და უნდოს წარმოადგენდა; უნდო იყო სპარსეთი, უნდო იყო საქართველოც. კავშირის განმტკიცებას (ანუ საბოლოო ჩანთქმასძ ხელს უშლიდნენ რელიგია და ერის საპოლიტიკო სიცოცხლისუნარიანობა. მოცემულ მომენტში სპარსეთის ძლიერების ხარისხსა და იმ წინააღმდეგობის ძალაზე, რომელიც შეეძლოთ, გაეწიათ ქართველ ფეოდალებს, დამოკიდებული იყო თუ რა ყალიბი გამოკვეთდა საქართველოს (ქართლ-კახეთისძ მიმართებას ირანთან. ამიტომ, წინასწარვე შეიძლებოდა ამ ურთიერთობის სიჭრელის განჭვრეტა. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ გარემოებასაც: ქართლი და კახეთი სულ სხვადასხვაგვარად იქცეოდნენ სპარსეთის მიმართ. რამდენჯერ ყოფილა, რომ ერთი სამეფო ებრძოდა, მეორე კი თავის ვასალურ დამოკიდებულებას აღიარებდა. კახელ და ქართლელ ბაგრატოვანთა მეტოქეობას, თითოეულ სამეფოში ტახტის მემკვიდრეობის საკითხებს, რუსეთისაკენ მიდრეკას — ყოველივე ამას გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს და სათვალავში აგდებდნენ ირანის უცბიერესი მბრძანებლები. თავისთავად ცხადია, რომ მმართველთა სათავისო ვარაუდები ასევე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა. უცნაურიც იქნებოდა, გგონებოდა ან მოგეთხოვა, რომ მეფეები და ხალხები, გამარჯვების ყოველგვარი იმედი რომ ჰქონდათ გადაწურული, გამუდმებით იბრძოლებდნენ.

მოვიტანთ რამდენსამე მაგალითს. სანამ ქართლი კონსტანტინე II-ის წინამძღოლობით მარჯვედ უმკლავდებოდა უზუნ-ჰასანის შემოტევას, გიორგი I, კახეთის მეფე, შაჰის ჯარის სამეფოს ფარგლებში შემოსვლისთანავე უგზავნის მას მორჩილების ნიშნად მდიდრულ ძღვენს, და ამრიგად იცლენს უკვე მისთვის მოღერებულ იარაღს. ამიტომ, უარს ეუბნება კონსტანტინეს დახმარებაზე. გასაგებია, რომ ასეთ პოლიტიკას უნდა განემტკიცებინა მისი ძალაუფლება კახეთში.

საზოგადოდ, ოპორტუნიზმისა და შაჰის უზენაესობის აღიარების წყალობით, კახეთმა ერთხანს მოისვენა სპარსეთის შემოსევებისაგან.

ალექსანდრე I-მა, კახთა მეფემ, შაჰ ისმაილი რომ გაძლიერდა, შირვანში აახლა თავისი ვაჟი მორჩილების ნიშნებითურთ, მაშინ, როდესაც ქართლი ამ შაჰს ებრძოდა.

ლევან II (კახეთის მეფეძ მხარს უჭერდა ქართლის მეფეს დავითს სპარსელებთან ბრძოლაში, მაგრამ როდესაც შაჰ-თამაზმა თბილისი მოაოხრა, ლევანი მას ყარაბაღში ეახლა; იგი დიდის პატივით გამოუშვეს. ამან როდი შეუშალა ხელი ლევანს, სპარსელების შეურიგებელ მტერთან ლუარსაბ I ქართლის მეფესთან კავშირით, ეომა მოგვიანებით აზერბაიჯანში. მაგრამ შემდეგ ლევანი კვლავ შაჰ-თამაზის მხარეს გადავიდა.

აი, რატომ იყო, რომ როდესაც შაჰ-თამაზმა სამცხეში ახალი ლაშქრობა მოაწყო და ქართლი დაიპყრო, კახეთის სიმშვიდე არ დარღვეულა. როცა სვიმონი სპარსელებს ებრძოდა, ლევანი ახერხებდა ერთდროულად საჩუქრებით მოეგო შაჰის გული, რომელსაც ერთგულებას ეფიცებოდა, და — ეგზავნა დახმარება სვიმონისათვის.

უნდა ითქვას, რომ კახეთმა შეძლო, მთელი XVI საუკუნის განმავლობაში არ გადაეკიდებინა სპარსეთი (ვახუშტის თქმით, კახეთი ამ დროს ისე მჭიდროდ იყო დასახლებული, რომ აქ ძნელად თუ გადააწყდებოდი ნადირფრინველს. ალექსანდრე, კახეთის მეფე (XVI საუკუნის ბოლოსძ, ნადირობის მოტრფიალე, ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ნეტავ კახეთის გაპარტახებას მომასწრო, რომ ტყეში ნადირი ისევ გაჩნდესო. ეს სურვილი სიცოცხლეშივე აუხდა (როცა კახეთი გაუკაცრიელდაძ; მაგრამ, დასძენს ისტორიკოსი, სანადიროდ ვის ეცალაო). მთელი ამ დროის მანძილზე ქართლი და მისი მეფეები: კონსტანტინე, დავითი, ლუარსაბი - სარწმუნოებისა და დამოუკიდებლობის ნამდვილ ბურჯს წარმოადგენდნენ.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-205.

◎ არის ასეთი აზრი

# ვინ დაიწყო ომი, სააკაშვილმა?



**არ ვიცი და არც მაინტერესებს ვინ დაიწყო ომი, სააკაშვილმა თუ პუტინმა, მაგრამ ვიცი, ორივეს ადგილზე მე რომ ვყოფილიყავი, ომს აუცილებლად დავიწყებდი.**

სააკაშვილის ადგილზე იმიტომ, რომ იქნებ დაგვებრუნებინა ისედაც დაკარგული მიწები, თუნდაც სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთზე გავჩუმდებოდი. განა გუშინ არსებობდა რაიმე ალბათობა ომის გარეშე მიწების დაბრუნების? ან რა, ხვალ არსებობს? ასე რომ, ერთი ომისთვის ჩვენ კიდევ უნდა ვემზადოთ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით.

პუტინის ადგილზე იმიტომაც, რომ გაუშრო სისხლი ამ სააკაშვილმა, მაგრამ ამას კიდე აიტანდა, რომ ვერ ხედავდეს რა მოელის რუსეთს ნაზუკოს მილსადენის გაყვანის შემთხვევაში. არც ერთ ხელმძღვანელს არ სურს დაინახოს თავისი ქვეყანა დანგრეული და გალატაკებული და საქართველო კი შეიძლება გამხდარიყო და არ არის გამორიცხული ხვალაც გახდეს რუსეთის „წაფერდების“ მიზეზი. ასე რომ, ერთ ომს ყველა დღე უნდა ველოდოთ, ასე იოლად არ გაჩერდებიან.

მე რუსეთი და რუსი ხალხი უფრო მიყვარს, ვიდრე ამერიკელები. ამათ საერთოდ არ ვიცნობ და არავითარ ემოციებს არ მგვრიან, სამაგიეროდ ძალიან მომწონს ის, რასაც აკეთებენ ამერიკელები ჩვენთვის და, სამწუხაროდ, კატასტროფული შიშის და სიძულვილის გრძნობას მიქმნის ის, რასაც დღევანდელი რუსეთისგან მოველი.

ხშირად მიფიქრია, რატომ არ გვინდა მიშა და რატომ ვესხმით თავს მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, გასწორდა და გამოსწორდა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ ხომ არა, რომ ცდილობს, მეტ-ნაკლებად წესრიგი და კანონიერება დაამყაროს?

ჩვენი წარმოდგენით, ისეთი ხმაურიანი და მაფიოზური ქვეყანა, როგორიც იტალიაა, სინამდვილეში ძალიან მოწესრიგებულია, განსაკუთრებით მისი ჩრდილოეთი. ვირებივით მუშაობენ, პოლიციელებს დედ-მამას არ (ვერძ აგინებენ, წითელ შუქნიშანზე არ გადადიან და თქვენ წარმოიდგინეთ კლაქსონებსაც არ აყვირებენ. ახლა, როცა ბერლუსკონიმ გადაწყვიტა ზოგიერთი კანონის გამკაცრება ყველანი ერთიანად აყვირდნენ, იგი ისეთივე დიქტატორია და ცდილობს, ისეთივე დემოკრატია დაამყაროს როგორც მისმა ძმამ და მეგობარმა ვლადიმერ პუტინმა დაამყარაო!

გამოდის სააკაშვილი ამათთან შედარებით ანგელოზია? ჯერ კიდევ წითელ შუქნიშანზე გადავდივართ და პოლიციელებს კი არა, პრეზიდენტსაც არ ვაკლებთ ტკბილ სიტყვა-პასუხს (მარტო ბატონი ნათელაშვილია საკმარისიძ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმის შეგრძნება, რომ ეს შეიძლება წაგვართვან, ჭკუიდან გამოვყავართ. ასეთ გველეშაპობას და არაკაცობას მიშას კი არა არავის არ ვაპატიებთ. რეჟისორ დანელიას არ იყოს, ჩვენ თუ, სხვებისგან განსხვავებით, ჟოლოს ფერის შარვალი ვერ ჩავიცვით, რად გვინდა ასეთი ქვეყანა და რა აზრი აქვს ასეთ ცხოვრებას.

ჰოდა, გაიხარეთ!! ვისაც ჩვენი დღევანდელი რეალობა არ მოგწონთ, რუსი აუცილებლად დაგიბრუნებთ ყველაფერ ამას. მას ნამდვილად არ სჭირდება მდიდარი და მოწესრიგებული საქართველო, ურჩევნია ერთიმეორეს დამხოცი და მოქიშპე ქართველები, ქართველები, რომლებისთვისაც კანონი და სამართალი არ არსებობს. ასეთ ქვეყანას და ხალხს რასაც უნდა იმას უზამს, ასეთი ხალხის მანიპულებაზე იოლი რაა!!

ვინც არ უნდა მოიყვანოს და დასვას რუსმა – გიორგაძე თუ კილაძე (მე პირადად კილაძე მირჩევნიაძ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს როგორც არ გიბრუნებდა, ისევე არ დაგიბრუნებს არასოდეს!! ვინ იცის იქნებ იმ გიორგაძესაც კი ერთ მშვენიერ დღეს „მოუპრიანოს“ თავში და ატეხოს ყვირილი – მინდა დამოუკიდებელი ვიყოო! მაშინ სად წავიდეს? ამიტომაც მუდამ ეკავება ხელში უფრო, გახარებული კოკოითის სახით რომ თავში დაგვარტყას.

ღვინის ან მანდარინის ბაზრისთვის ღირს ამდენი „ბედნიერების“ თავზე დაყრა? სხვათა შორის, ელემენტარული ცხოვრების პირობები რომ გვქონდეს, რად გვინდა სხვისი ბაზარი ღვინისთვის, რას გვეყოფა ჩვენ კახელების „ორი კეკალი“ ყურძენი? მაგათ რომ ფართზე აქვთ გაშენებული ვენახი, ევროზონამ 10-ჯერ მეტი აჭრა გადაბერების გამო!!

სირცხვილი კია კახელები რომ წუწუნებენ, ცუდად ვართო. მათ ლობიოს, ღომის და მანდარინის ჭამა ყველა დღე შეუძლიათ. საწყალმა გურულმა და მეგრელმა ერთი ბოთლი მათი ღვინო რომ იყიდოს, ნახევარი პენსია უნდა დახარჯოს. მეგრელებს რა კლავს ვერ გეტყვით, გურულები კი დაწყვიტა მჟავე ადესის სმამ. უფულობას რა ვუთხრა თუ არა მაგას კაცი დალევდა? ისიც შაქარზე და წყალზე დაყენებულს!!! როგორც ჩანს, მსოფლიოში ყველაზე გაჭირვებული გურულებია, მაგათ გარდა ადესას ხომ არავინ არ აყენებს ?!

ბოდიში, ცოტა გადავუხვიე, ყველაფერი ადესის ბრალია. მე რუსის მეორე ომი იმდენად მაწუხებს რამდენადაც ვიცი, რომ ჩემი უნდა დავასწრო. იქამდე რუსეთი შეიძლება ისეთ დღეში ჩავარდეს, რომ სულ დაივიწყოს ბალაფშები და კოკოითები.

ამისი იმედი ნამდვილად მაქვს, პირველ რიგში იმიტომ, რომ მთელი რუსეთის მთავრობა და ხელმძღვანელობა, რეგიონებიდან დაწყებული კრემლით დამთავრებული, კომპარტიის შვილები არიან. მათ ბევრი კარგი თვისება აქვთ, მათგან ორი კი განსაკუთრებულად კარგი... ერთი, რომ ჯერ კომპარტიას ემსახურებოდნენ, რომელმაც ისინი გაზარდა, ფეხზე დააყენა, დედასავით ეპატრონა და გალლეტილ-გალატაკებულები და ორწიგნწაუკითხავები ქვეყნის მმართველები გახადა. მათ კი სამადლობელოდ დიდი წარმატებით გაყიდეს „მშობელი დედა“ და სიამოვნებით გადაბარგდნენ სხვადასხვა მმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციებში – „Наш дом Россия“, „Единная Россия“. პუტინმა რომ ერთ მშვენიერ დღეს რაიმე ფაშისტური ორგანიზაცია შექმნას, ისინი კისრისტეხით გაიქცევიან, ვინ პირველი ჩავეწერებითო. გაყიდვის და ღალატის დიდი გამოცდილება და ტალანტი გააჩნიათ.

მეორე კარგი თვისება არის ის, რომ ისინი მუდამ იტყუებიან. გახსოვთ, კომუნისტების დროს სულ ვიძახდით, ამდენი რძე და ყველი და ამდენი ხორბალი მოვიწიეთო ?! საჭმელად კი არც ერთი და არც მეორე არ გვქონდა, მაღაზიები ცარიელი იყო.

ისე კომუნისტების ეს ორი ძალიან კარგი თვისება დღევანდელი ჩვენი აწმყოდან რაიმეს ხომ არ გახსენებთ?? ეჭვი არ მეპარება რომ ბევრი ჩვენი მეთაურის მამას ედუარდი ერქვა და ვაითუ დედა კომპარტია იყო, დავღუპულვართ და ეგაა!

იმედს კიდევ უფრო მიღვივებს ამ ორი კარგი თვისების ფონზე რუსეთის ენერგეტიკის მომავალი პრობლემები. ცნობილია, რომ მათ ნავთობის მარაგი დაახლოებით 20 წელს ეყოფათ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ახალს ვერ ნახავენ, მაგრამ ხომ შეიძლება ვერ ნახონ? ან იქნებ მსოფლიომ ამ ათ წელიწადში რაიმე ალტერნატიული საწვავი გამოიგონოს? ან ნავთობის ფასი კიდევ უფრო დაეცეს?

საერთოდ ვინ იცის, იქნებ ნავთობის მარაგიც იმდენი აქვთ, რამდენიც რძე და ყველი ჰქონდათ?? ან ვინ იცის იმ კომუნისტებისგან დატოვებულ „ტრუბაში“, რომლითაც რუსეთმა მთელი ევროპა მუხლებზე დააჩოქა, რამდენია მისი წილი? ან რამდენია ყაზახების, უზბეკების და თურქმენების ნავთობი და გაზი? ან თუნდაც იმ ჩეჩნებისა, რომლებიც ხვალ ისევ შეიძლება აყვირდნენ თავის დამოუკიდებლობაზე?

ნეტავ რა მოხდებოდა, ნაბუკოს მილსადენს, ერთი ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ყველაფერ ამისთვის ფარდა რომ აეხადა და რუსეთი ხახამშრალი („ტრუბამშრალი“ძ დაეტოვებინა? ვინ შეასრულებდა დადებულ კონტრაქტებს?? მათ საკუთარი ენერგორესურსები იქნებ თავის გადასარჩენადაც (რომ არ გაიყინონძ ძლივს ეყოთ?! ასეთ დროს სხვისი გადარჩენისთვის ეცლებათ??

ათი წელი უცებ გავა და ამ ათი წლის მანძილზე ჩვენ ათჯერ უფრო მდიდარი და ძლიერი უნდა გავხდეთ, ებრაელებს ხომ ეყოთ ათი წელი და ჩვენც უნდა ვიყოფინოთ! მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ათი წლის უკან დაგვავალიანეს და ვალი უნდა გავისტუმროთ.

ნუთუ მართლა გაინტერესებთ, ვინ დაიწყო ომი? მე კი მაინტერესებს, მოვიგებ თუ არა მომავალ ომს და ვიცხოვრებ თუ არა გაერთიანებულ საქართველოში და სულაც არ მაინტერესებს, ვინ დაიწყო ეს ომი – მიშამ, პუტინმა და კიდევ სხვა ეშმაკმა. ერთი კი ვიცი, ეს ომი აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ისევე როგორც ერთი კიდევ მოხდება.



**თემურ კილაძე,**
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ოზურგეთი.

◎ გვეხმაურებიან

# რატომ მოგვივიდა ეს ყველაფერი

**„ვიდრე ჰხვალ, საქართველო“? – ასეთი ორმაგი სახელწოდებით „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 20 სექტემბრის ნომერში „ჯი-ეიჩ-ენის“ ანალიტიკური ჯგუფის ვრცელი წერილი გამოქვეყნდა. იგი საქართველოში აგვისტოს ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს ეხება; დაყენებულია კითხვები და მოცემულია პასუხები, რომლებიც ახალ კითხვებს ბადებენ.**

მიუხედავად ბევრი ჯანსაღი და ჭეშმარიტად მეცნიერული მოსაზრებისა, ანალიტიკური ჯგუფის წერილი პროამერიკული და პრონატოური აზროვნების არტახებით შებოჭვის გამო, მოვლენათა მნიშვნელოვანი ნაწილის ობიექტურ ახსნა-ანალიზს გაურბის, რაც თვალში საცემია.

ანალიტიკურ ჯგუფს თავდაპირველად უნდა დაესვა კითხვა – საიდან მოდიოდა აგვისტოს ტრაგედია, რა მოვლენებმა მოგვიმზადეს იგი? ამ კითხვის დაყენება მან ვერ გაბედა. რამეთუ ლოგიკის ძალით მაშინ სილა აშშ-ს გლობალისტური, მსოფლიოში „ახალი წესრიგის“ დამყარების ეგოისტური პოლიტიკისათვის უნდა გაეწნა.

ცხადია, რუსეთი ვერაგულად მოგვექცა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით ძალზე შორსაც შეტოპა; იქამდეც კი, რომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა; გამორიცხული არ არის, რომ მან სავალალო შედეგები მოიმკას, რაც რეალურია.

იბადება კითხვები: რამ გაალიზიანა და გააცოფა რუსეთი; რამ შეაგულიანა და რევანში ვისზე აიღო; ვის მაგალითს მიბაძა; ასე გამეტებით რატომ ჩაგვწიხლა? ანალიტიკურ ჯგუფს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ისევ და ისევ აშშ უნდა გაეკენწლა, რაც არ ქნა და ობიექტურ განსჯას უღალატა. ამდენად, ანალიტიკური ჯგუფის წერილს ცალმხრიობა, სუბიექტივისტურ-ტენდენციური მსჯელობა წითელ ზოლად გასდევს.

„მეექვსე წელია აშშ ერაყში სისხლს ღვრის; მისი პრეზიდენტი ჩამოახრჩო; სერბიას კოსოვო წაჰგლიჯა, იქ, ევროპაში, ყველაზე დიდი სამხედრო ბაზა ააგო; პრეზიდენტ მილოშევიჩს სული ციხეში ამოხადა; ავღანეთში სასაკლაო მოაწყო; ამის შემდეგ რა უფლება აქვს ბუშს ჩვენ რაიმე გვიკიჟინოს“? – აცხადებენ რუსეთის სახელისუფლებო წრეები, პოლიტოლოგები და ა. შ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: რომ არ ყოფილიყო კოსოვოს ე. წ. პრეცედენტი, მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება აშშ-ს მიერ; რომ არ ყოფილიყო საქართველოს ხელისუფალთა და ე. წ. ოპოზიციის **ნატო-ნატოს**-ს თავაწყვეტილი რიტორიკა და 7-8 აგვისტოს შეჩხიკინება ცხინვალში – რუსეთი ესოდენ თავხედურ აგრესიას ვერ გაბედავდა.

ანალიტიკური ჯგუფის წევრებს შევახსენებ: იტალიელი პოლიტოლოგი, ევროპარლამენტის წევრი ჯულიეტო კიეზა „ლიტერატურნაია გაზეტას“ 2008 წლის პირველ ნომერში წერდა: „კოსოვოს დამოუკიდებლობა აშშ-ს უნდა და არა ევროპასო“ (ქართული თარგმანი „საქართველოს რესპუბლიკა“ 15 იანვარის ნომერშიძ.

ობიექტური რეალობა ასეთია: რუსეთის წაქეზებასა და საქართველოს აგვისტოს ტრაგედიის მომწიფებაში ლომის წილი აშშ-ს გლობალისტურ პოლიტიკას მიუძღვის, ხოლო საქართველო რუსეთის მიერ დაგებულ ანკესს წამოეგო, რასაც თქვენც აღიარებთ, ბატონებო! აშშ, რომელმაც ყველაფერი იღონა სსრ კავშირის დაშლისთვის, იუგოსლავიის ექვს სახელმწიფოდ დაქუცმაცებისათვის, ჩეხოსლოვაკიის ჩეხეთად და სლოვაკეთად გათიშვისათვის, არ დაიჯეროთ, რომ სამ ნაწილად დაშლილი საქართველოს გამთლიანებისთვის თავს აიტკიებს.

ბატონო ანალიტიკოსებო! თქვენ წერთ: „საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთთან და თუნდაც ნატოში გაწევრება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება რუსი ხალხისა და სახელმწიფოს ჭეშმარიტ ინტერესებსო, და რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამაში რუსეთი დიპლომატიური მეთოდებით უნდა დაარწმუნოსო. დღეს რუსეთში პირველკლასელებმაც კი იციან, რომ **ნატო** მათი მტერია, მისი მახვილი რუსეთის დაშლისკენაა გამიზნული. ასეთ შემთხვევაში მეტი დიპლომატია მეტ სიცრუეს ნიშნავს, ბატონო ანალიტიკოსებო. გეკითხებით: რატომ გამორიცხა აშშ-მ რუსეთის **ნატოში** გაერთიანების შესაძლებლობა? პასუხი ზ. ბჟეზინსკის წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ იხილავთ; ერთხელ კიდევ წაიკითხეთ და გაიზიარეთ.

ობიექტურად მოაზროვნე გეოპოლიტიკოსი აუცილებლად იტყოდა: მთელი უბედურება, რაც თავს დაგვატყდა, იმის ბრალია, რომ ჩვენს ხელისუფალთ ქართული გეოპოლიტიკური ცნობიერების ნატამალიც არ გააჩნიათ. ქართული წარმოშობის ამერიკელმა გენერალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა ორგზის რომ გვითხრა, „აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს რუსეთთან კარგი ურთიერთობებით დაიბრუნებთო“, რატომ არ დავუჯერეთ? ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო ისე ვერ დაემყნობა **ნატოზე,** როგორც ლეღვი ტყემალზე. მექსიკამ რომ გადაწყვიტოს რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა, აშშ ამ ფაქტს გულარხეინად შეხვდება?

**ანტიგეოპოლიტიკამ, ანუ საქართველოს გეოგრაფიული სივრცის ობიექტურ კანონზომიერებათა საწინააღმდეგო ქმედებამ, რასაც აშშ-ს საამებლად ქვეყნის ხელისუფლება დაჟინებით ეწევა, ტრაგედიამდე მიგვიყვანა. უნდა შევიგნოთ, რომ ნატო საქართველოს გეოგრაფიული სივრცისთვის დამღუპველია. სწორედ რომ გეოპოლიტიკური მდებარეობის კარნახით თქვა უარი ფინეთმა ნატოში გაერთიანებაზე: მივბაძოთ მას.**

ბატონო ანალიტიკოსებო! 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის პოლიტიკური შედეგებიდან თავი, რომ დავაღწიოთ, მოდით, მოვუწოდოთ ჩვენს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ შეიტანოს კონსტიტუციაში მუხლი: **„გეოპოლიტიკური მდგომარეობის კარნახით საქართველო ნატოში და ნებისმიერ სხვა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში გაერთიანებაზე უარს ამბობს“.** ამით რუსეთის აგრესიულ ვნებებს მნიშვნელოვნად დავაცხრობთ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის ბედს ჩვენს სასიკეთოდ შემოვაბრუნებთ.

რუსეთის პოლიტიკის ძირითადად სწორი ანალიზისა და შეფასების ფონზე ანალიტიკოსთა ჯგუფი აშშ-ს გლობალისტურ-ეგოისტური პოლიტიკის შესახებ დუმს, რასაც პოლიტიკის ლოგიკა ვერა და ვერ ითმენს. მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის კანონზომიერებას ამერიკასთან მიმართებაში ანალიტიკოსები გვერდს შეგნებულად რომ უვლიან, ამით საღად მოაზროვნე ინტელექტუალთა ირონიულ ღიმილს იმსახურებენ. საქართველოს უახლესი ისტორია ასე ცალმხრივად არ უნდა იწერებოდეს, ბატონო ანალიტიკოსებო „ჯი-ეიჩ-ენის“ ანალიტიკური ჯგუფიდან!

თქვენდამი პატივისცემით

**გივი გურეშიძე,**
მეცნიერების დოქტორი, პოლიტოლოგი.
ქ. ქუთაისი

## არჩევნები ამერიკაში

**ამერიკული წინასაარჩევნო დღეები სულ უფრო მეტად ჰგავდა კარგად ორგანიზებულ სატელევიზიო, მაგრამ არა სახელგანთქმულ ბროდვეის შოუს, რომლის რეჟისორ-პროდიუსერების მოქნილობასა და პროფესიონალიზმზე ლამის 300 მლნ. ამერიკელის „ამერიკული ოცნების“ ხორცშესხმაა დამოკიდებული.** 4 ნოემბერს აშშ თავის მთავარ, ანუ „ტოფ“ მენეჯერს („სუპერტოფ“-ძ მენეჯერს ირჩევს, უფრო სწორად — ქირაობს. სულ რაღაც 4 წლით, ანდა, ვინ იცის, იქნებ 8 წლითაც. „ხმის მიცემა სექსუალურია“ — ასეთ მაისურებს სტაციონარულ და საინტერნეტო მაღაზიებში იპოვით. უკვე კარგა ხანია ობამასა და მაკქეინის სახეებიანი მაისურები „შირპოტრები“ გახდა. ახლა მათი ჰაბიტუსები ყვითელი ფერის ამერიკული ყველის ზედაპირზეც გაჩნდა, გაყინული სადილების კოლოფებზე, გოგრებსა (მადლიერების დღის აღმნიშვნელიძ და ჯოჯოხეთურ ნიღბებზე (ჰალოუინის დღესასწაულიძ. ეს უკანასკნელი ახლახანს დასრულდა. ჰოდა, ამბობენ ობამას ნიღაბი უფრო მეტი გაიყიდაო. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ობამას მომხრეთა რაოდენობა მაკქეინისას აჭარბებს. საპრეზიდენტო კანდიდატები ერთმანეთით თანამემამულეებს ისე აშინებენ, რომ ყველაზე სუპერმახინჯი ნიღბის არჩევისას 72 წლის რესპუბლიკელი სენატორის მომხრეს სავსებით შესაძლებელია 35 წლის დემოკრატის ნიღაბი ეყიდა. ნიუ-იორკის ქუჩებში შიგადაშიგ ყოველი შესავლის გარეშე გვერდით მომავალმა უცნობმა მამაკაცმა კი გვარი „ობამა“ ისე ხმამაღლა შეიძლება წამოიძახოს, რომ ქართულ ფიქრებში ჩაძირულს გვარიანად შეგაჩქვიფებს. როგორც წესი, ეს მოხალისეები შავკანიანნი, ანუ აფრო-ამერიკელები არიან. სამაგიეროდ, „მაკქეინის“ წამომძახებელს ვერსად წააწყდებით. ობამამანია სრულ ბრუნს იკრებს, თუმცა ბოლო დღეებში მაკქეინსა და მის გუნდს მეორე სუნთქვა გაეხსნა და ლამის უკვე კვალდაკვალ მისდევს ორჯერ უმცროს და უფრო „სექსუალურ“ მეტოქეს.

ამერიკა პრაგმატულად უყურებს მენეჯერის შერჩევის პროცესს. ამომრჩეველმა არჩევანი, უხეშად რომ ვთქვათ, მხოლოდ ორ პროდუქტს — მაკქეინსა და ობამას — შორის უნდა მოახდინოს. უფრო ქარიზმული და სახიერი ობამაა, რადგანაც მისი სისხლი შეზავებულია, იგი ამერიკაში არ დაბადებულა, აფრიკასთან გადებულ პირდაპირი ხიდის აღმნიშვნელია, მეტყველება უფრო გაწაფული აქვს, ხოლო იმიჯი უკეთესად ფინანსდება. როგორც ერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, თუ ამერიკელები ობამას აირჩევენ, ისინი ამით მონობის პერიოდში თეთრების მიერ ზანგებისადმი ჩადენილ დანაშაულს გამოისყიდიანო... მაკქეინი კი უფრო პროგნოზირებადია, ჯარისკაცის მუნდირივით ცხადი და პირდაპირი. ყოველ შემთხვევაში ვინ ვინ, მაგრამ კრემლს მაკქეინის გაპრეზიდენტებისას ზუსტად ეცოდინება პასუხები შემდეგ კითხვებზე: სად, როდის და რატომ — ობამას შემთხვევაში კი მოსკოვს შესაძლოა რთული წიაღსვლების გაკეთებას მოუხდეს. რესპუბლიკელი პრეზიდენტი ცივი ომის მაგალითის გამოცდილებით უცნობო განტოლებაა, დემოკრატთან ურთიერთობა კი — სახლაფორთო საქმედ ილანდება...

ამას წინათ ტრადიციულად „შავ ჰარლემში“ (ნიუ-იორკის უბანი, სადაც თეთრკანიანებს დღემდე დიდად არ სწყალობენძ, ჟურნალისტმა საკმაოდ სიმპტომატური გამოკითხვა ჩაატარა. იგი შემთხვევით შერჩეულ ჰარლემელებს ეკითხებოდა: მოგწონთ თუ არა ობამას მიერ ვიცე-პრეზიდენტად დასახელებული სარა პეილინიო (არადა სინამდვილეში იგი მაკქეინის კანდიდატურააძ? აფრო-ამერიკელები კი დაუფიქრებლად, მყისვე უპასუხებდნენ, რომ, რასაკვირველია, მხარს უჭერენ მას, რომ სარა კარგი ქალია, რომ ვიცე-პრეზიდენტის ტვირთს აუცილებლად გაართმევს თავს. მხარს უჭერთ თუ არა აბორტებისა და ღეროვან უჯრედებზე ექსპერიმენტების აკრძალვას, ერაყში ამერიკის ჯარების დატოვებას (რესპუბლიკელების პროგრამის პუნქტებიძ? — არ ეშვებოდა კორესპონდენტი. აფრო-ამერიკელები კი მაშინვე თანხმდებოდნენ, რასაკვირველია, მხარს ვუჭერთო... სახელი „ობამა“ იმდენად თვითკმარი, სამარკო, ქარიზმული და დიდი ცვლილებების აღმნიშვნელი გახდა, რომ დემოკრატიული პარტიის მომხრეები უკვე დიდად აღარ ეძიებენ თავიანთი რჩეულის პროგრამის „დეტალებს“. უკვე გაჩნდა სამკერდე ნიშნები წარწერებით „ობამა — მამა“. „მამა“ მოფერებით ინგლისურად „დედას“ ნიშნავს და ეს სიტყვა იგივე რიგისაა, როგორიც ფამილიარული „გაი“, “ბეიბი“, „მენ“ ... „მამას“ აფრო-ამერიკელები იმას უწოდებენ, ვინც ახლობელია და „შინაურ მღვდლადაა“ მიღებული. ობამა შინაური არა მარტო ამერიკისთვის, არამედ ევროპა-აფრიკისთვისაც გახდა. ამგვარი გულშემატკივრების შეძენას ერთი ძლიერი მიზეზი აქვს. დემოკრატმა სენატორმა თავის წინასაარჩევნო კამპანიისთვის უპრეცედენტოდ დიდი თანხა დახარჯა. უფრო სწორად — მას დაახარჯეს. ბარაკ ჰუსეინ ობამას დამფინანსებელთა შორისაა მულტიმილიონერი სატელევიზო დივა აფრო-ამერიკელი ოფრა უინფრი, ხოლო მხარდამჭერი დემოკრატი ტედ ტერნერი, რესპუბლიკელი კოლინ პაუელი, „ნეიტრალური“ ბრიუს სპრინგსტინი და ლამის მთელი ჰოლივუდი. მაკქეინს კი ცნობილთაგან მხარს უჭერენ ბენ ეფლეკი, სილვესტერ სტალონე და კალიფორნიის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი, რომელმაც განაცხადა, რომ ობამამ უფრო ნაკლები დრო სენატორად გაატარა, ვიდრე მაკქეინმა — ტყვეობაშიო. არჩევნებამდე 4 დღით ადრე „პრომოუშენის“ აგენტად დემოკრატებისა და ბარაკ ობამას მიერ ვიცე-პრეზიდენტის პოსტისთვის დაწუნებული ჰილარი კლინტონის მეუღლეც წარსდგა. ობამას მხარეს მძიმე არტილერიაა, მაკქეინის კი — ქვეითი ჯარი. ათასგვარი გამოკითხვები ობამას გამარჯვებას უქადიან, თუმცა ბოლო წუთამდე ვერავინ განსაზღვრავს ამომრჩევლის ხასიათის მერყეობის ამპლიტუდას. ექსპერტები ასევე ფიქრობენ, რომ გამორიცხული არაა ე.წ. „ბრედლის ეფექტის“ ამოქმედება. 1982 წელს ლოს ანჯელესის მერად 5-ჯერ არჩეულმა აფრო-ამერიკელმა ტომ ბრედლიმ კალიფორნიის გუბერნატორობას ვერ მიაღწია, არადა მანამდე ჩატარებული გამოკითხვები თეთრ კანდიდატთან მიმართებაში მის აშკარა უპირატესობას უჩვენებდა. საქმე ისაა, რომ სოციოლოგთან პირდაპირი კონტაქტის დროს ადამიანი არ ამჟღავნებს თავის რასობრივ უპირატესობებს, რადგანაც ამ საკითხში პოლიტკორექტულობა ამერიკის სავიზიტო ბარათია, მაგრამ საარჩევნო ურნასთან იგი საკუთარ თავთან უფრო გულახდილია, ვიდრე მაშინ, როცა მის აზრს ცოცხალი მოწმე აფიქსირებს.



# „ობამა - მამა“, „სარა - დივა“, სოციალიზმი და ჯო მეწყალსადენე

ექსპერტები ამბობენ, რომ ამერიკული მედია ამდაგვარად პოლიტიზებული ჯერ არასოდეს ყოფილა. ნიუ-იორკი ტრადიციულად ებრაელი ემიგრანტების, ექიმებისა და ადვოკატების ქალაქად ითვლება, რომლებიც თვიანთ სიმბოლოდ სამკერდე ნიშანს — ვირს ატარებენ. ივლისში „ნიუ-იორკ თაიმსმა“ არიზონას შტატის სენატორს ჯონ მაკქეინს სტატია არ დაუბეჭდა. ამ კვირის ბოლოს კი 6 ნაციონალურ ტელეარხზე პრაიმთაიმში, როცა სარეკლამო დრო ყველაზე ძვირი ღირს და მთელი ამერიკა „წმიდათაწმიდას“ — ბეისბოლს შესციცინებს, ცისფერ ეკრანზე ბარაკ ობამას ნახევარსაათიანი სარეკლამო კლიპი გამოჩნდა. მას ეს არაჰოლივუდური „შედევრი“ 4 მლნ. დოლარი დაუჯდა. ვიდეორგოლის ჩვენებაზე უარი მხოლოდ CNN-მა განაცხადა. კლიპის საპირწონედ კი ცნობილმა ტელეწამყვანმა ლარი კინგმა მაკქეინთან ინტერვიუს ახალი ჩანაწერი უჩვენა, სადაც ვიეტნამში 5 წელი ტყვედყოფილი გულისწყრომით აცხადებს, რომ გაცრუებულია მედიაკომპანიის აქცენტით მის ასაკზე, რომ სიკვდილს ჯერ სულაც არ აპირებს.

სარა პეილინის გამოჩენისთანავე მედიამ საბოლოოდ და უკანმოუხედავად აიწყვიტა. როცა საუბარი მიდიოდა დემოკრატების პარტიიდან ქალი ჰილარი კლინტონის არჩევაზე, აღმოჩნდა, რომ დემოკრატები მზად არ იყვნენ იმისთვის, რომ პრეზიდენტად „სუსტი სქესი“ აერჩიათ. მაგრამ ფერადკანიანი მამაკაცისთვის მზად აღმოჩნდნენ. პეილინის ფიგურაც არა იმდენად ქარიზმული, რამდენადაც ეგზოტიკურია. ყოფილი „ვიცე — მის ალიასკა“, ამჟამად ალიასკის გუბერნატორი, ახლა უფრო სერიოზული „ვიცეობისთვის“ ემზადება. მისი ნომინირების შემდეგ სარას იმიჯმეიკერებმა მისგან ისეთი უცნაური კანდიდატი შექმნეს, თითქოს მაკქეინის ჯარს სრული ბედნიერებისთვის სნაიპერი აკლდა და უხარიათ, რომ როგორც იქნა იგი იპოვეს. მის ოფისში დიდ ტახტზე მამამისის მიერ მოკლული დათვის ტყავია გადაფარებული. ფოტოზე დათვის ბუტაფორიას თავი აღმოსავლეთით აქვს მიმართული, „მიზანში მსროლელი“ სარა კი მშვიდად დასავლეთისკენ იყურება (ამგვარი ფოტოსესია პოლიტიკურ ქარაგმად არ მიიჩნიოთ, თუმცა ვინ იცის...ძ. სარას 5 შვილი ჰყავს, აქედან ერთი ერაყში მსახურობს. მეხუთეს შეძენამდე პეილინებმა იცოდნენ, რომ ნაბოლარა დაუნის სინდრომით დაიბადებოდა, სარას აბორტი არ გაუკეთებია და ავადმყოფი შვილის სამედიცინო საჭიროებებს წინასწარ სწავლობდა. პრესამ დიდი სკანდალი გააჩაღა, როცა აღმოაჩინა, რომ ალიასკის გუბერნატორის 17 წლის გოგონა ფეხმძიმედაა. მედიას ასევე არ მოსწონდა, რომ შეყვარებულები ქორწილს მხოლოდ 2009 წელს გადაიხდიან. მედიამ ჭორიც დააგდო, რომ ეს დაუნი ბავშვი მისი ქალიშვილის პირველი შვილია და ბებიამ დედობა თავის თავზე აიღოო. მერე ერთი ამბავი ატყდა იმის გამო, რომ თურმე სარა საარჩევნო კამპანიის დროს 150 000 დოლარის ღირებულების ტანსაცმელსა და სტილისტებს ყიდულობდა და ქირაობდა. პასუხად სარამ განაცხადა, რომ არჩევნების შემდგომ ამ ტანსაცმლის საქველმოქმედო მიზნებისთვის დარიგებას აპირებს და დასძინა, რომ ეს მისი საკუთარი ტანსაცმელია. „სარა-დივა“ ასე შეარქვეს მას მაყურებლებმა ჟურნალისტების ოსტატური მიწოდებით და ხალხიც დააეჭვეს: შეუძლია კი „დივას“ მართოს ქვეყანა თუ მაკქეინს ღმერთი დროზე ადრე წაიყვანს? ახლა პეილინის გრძელფეხება მაჩოს იმიჯი აქვს, ანუ უცნაური პოლიტიკური რეპუტაცია. დასანანია, რომ რატომღაც არავის გასჩენია იმის გარკვევის სურვილი, თუ რა ღირს მამაკაცი კანდიდატების ტანსაცმელი, ანდა ჰილარი კლინტონის სტილისტი. მერე გაჩნდა სარა პეილინის მოტივებზე შექმნილი პორნოფილმი, სადაც მივიწყებული პორნოვარსკვლავი თავის არც ისე ძველ პროფესიას დაუბრუნდა. პორნოში გამოჩნდნენ რუსი ჯარისკაცები, ხოლო ლესბოსურ სცენებში კონდოლიზა რაისი და ჰილარი კლინტონი. სარამ არც აცია და არც აცხელა და იერიში ობამაზე წელს ქვევით მიიტანა. მან დემოკრატ კანდიდატს ტერორისტების ძმაკაც ამერიკელებთან მეგობრობა დასწამა. დიდი ხნით ადრე კი თავად ობამამ გადადგა არასწორი ნაბიჯი, როცა სულიერ მამად და ოჯახის მეგობრად აღიარა რელიგიური მქადაგებელი, ფანატიკოსი, რომელიც ამერიკასა და სატანას შორის ტოლობის ნიშანს სვამდა. მაშინ მთელი ამერიკა აღშფოთდა, მაგრამ რადგანაც ეს 4 თვის წინანდელი ამბავია, ამერიკელ მომხმარებელ-ამომრჩეველს იგი აღარ ახსოვს. სამაგიეროდ 4-მილიონიანი კლიპი ახალი პროდუქტია და მას მეხსიერება ჯერ ვერ წაშლის. ყოველ შემთხვევაში 4 ნოემბრამდე.

იხ. 9 გვ.

## დედაქალაქი

***თუ რამდენად მისაღებია საზოგადოებრიობისთვის, რომ უახლესი ისტორიის არცთუ დიდი მონაკვეთის მანძილზე ყველა შიდა თუ გარე დაპირისპირების ჟამს ქვეყანა პერმანენტულად „ტაშ-ფანდურობდეს“, თითოეული მოქალაქის პირადი გადასაწყვეტია. თუმცა, ჩემი აზრით, თითოეულ ჩვენგანს, დიდსა თუ პატარას, მაინც მეტი თავშეკავებულობა გვმართებს. არავის ეგონოს, „თბილისობის“ მშვენიერი დღესასწაულის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ, აკი წეღანაც ვთქვი, მეტი მორიდებულობა გვმართებს, ვინაიდან დედაქალაქის ბიუჯეტი (რომელიც, უნდა შეგახსენოთ, პატივცემულო მკითხველო, თქვენი და ჩემი მძარცველური გადასახადების დაგროვების შედეგად იქმნება), ხშირად სრულიად აბსურდულ, ყოველ შემთხვევაში, ხალხისთვის ნამდვილად არაფრისმომტან ღონისძიებებზე იხარჯება, თუ, ცხადია, საქმითა და სწავლით ნაკლებად დასაქმებულ მოზარდთა ხალისობას მხედველობაში არ მივიღებთ.***

# ტაშ-ფანდური ჰილოის ქუდის თავზე

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დედაქალაქს აუარება სოციალური თუ ყოფითი სატკივარი აქვს, საკითხი — „ეს მომწონს, ეს — არა“ — თქმის ჩარჩოებს სცილდება.

რომ იტყვიან, ყველა ოჯახში თითო ქოთანი თუხთუხებსო, მეც ჩემი მშობლიური უბნის გასაჭირზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. ერთი დიდი გასაჭირია ფაქტობრივად, მთელი დღის განმავლობაში გაუთავებელი საცობი მარჯანიშვილის ქუჩაზე, რომელზეც, სხვა სატრანსპორტო საშუალებების გარდა, თბილისის სამარშრუტო ტაქსების ბარე მეოთხედი ნაწილი მოძრაობს. მძღოლები, ხშირად ჩამწკრივებული მაღაზიების მომმარაგებელ სატვირთო ავტომანქანებს რომ მართავენ, მათ ქუჩის ორივე მხარეს აყენებენ, მოძრავ ტრანსპორტს გზაზე გადამსვლელ-გადმომსვლელიც ხელს უშლის და... არის გაუთავებელი კამათი მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს შორის, სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების კივილი, საპატრულო ეკიპაჟების მკაცრი შეძახილები — დროზე გაიარეთ, გაიარეთო... არადა, განა არ შეიძლება საკითხი იმავე საპატრულო პოლიციამ გადაწყვიტოს და რამე ილონოს ისე, პროფესიონალებს რომ ეკადრებათ?

კიდევ ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო გარემოებაა მარჯანიშვილისა და წინამძღვრიშვილის კუთხეში ამავე სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მიერ შერჩეული გაჩერების ადგილი, რაც კიდევ დამატებით დაბრკოლებას უქმნის შეუფერხებელ მოძრაობას, რადგან ყველა ისე ჩასვამს-გადასვამს მგზავრებს, როგორც მოეპრიანება, თუნდაც შუაქუჩა იყოს პიკის საათებში.

საერთო სურათს ის გუბეც „ამშვენებს“, რომელიც არაერთი ათეული წელია, იმავე კუთხეში ყოველი წვიმის შემდეგ დგება, რასაც ვერც ერთმა რემონტმა ვერ უშველა და გამავალი მანქანების ბორბლებიდან გამოსროლილი ლაფით ყველას ერთიანად სვრის.

მარჯანიშვილის ქუჩა და მოედანი ადრეც არაერთგზის ყოფილა ჩვენი გაზეთის კრიტიკული პუბლიკაციების ობიექტი — შეგახსენებთ, ბატონებო, თუნდაც მეტროს სადგურის მიმდებარე ტერიტორიის ბაზრობად გადაქცევისადმი მიძღვნილ წერილებს, მაგრამ, რომ იტყვიან, ურემი ჯერაც იქ არის, სადაც უგულობის ჭაობში დიდი ხანია ჩაეფლო, ბოშათა ახალი ბაზრის პრობლემას კი საშველი არა და არ დაადგა.

კიდევ ერთი, და არა მხოლოდ ჩემი უბნის თითქოსდა არცთუ მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთიანად დედაქალაქის ფაქტობრივად ყველა უბნისთვის დამახასიათებელი პრობლემაა თავსახურახდილი (უფრო სწორად კი თავსახურმოპარულიძ სანიაღვრე თუ სხვა დანიშნულების ჭები. ერთი ასეთი ისევ წინამძღვრიშვილის ქუჩაზეა, იქ, სადაც მას კლდიაშვილის ქუჩა უერთდება — ამ ადგილზეც დღეში ათასობით ავტომანქანა გადის, არაერთმა მძღოლმა მწარედ ინანა ამ მარშრუტის არჩევა, როცა მანქანის თვალი ღია ჭაში ჩაუვარდა. მეორე ასეთია უკვე ერთი წლის მანძილზე ჯავახიშვილის ქუჩაზე (ატს-ის უკანძ ასევე პირდაფჩენილი, პლასტმასის ბოთლებით, ღორღით, ათასგვარი სხვა ნაგვით გამოტენილი სანიაღვრე ჭა, რომელიც პირამდე რომ აივსება, წყალს ველარ გაატარებს, უბანს წყალი წალეკავს და მერე მთელი ქუჩა იქნება გადასათხრელი. მას ხან ფიცრები გადავაფარეთ, ხანაც ბოძები ჩავარჭეთ, მაგრამ ამაოდ — ღამღამობით ხალხსაც უვარდება შიგნით ფეხი და ავტომანქანებსაც — თვლები.

ვითომ რა, კერძო პირთა, მოქალაქეთა მატერიალური თუ ფიზიკური ზარალი აღარავის ეკითხება? განა არ შეიძლება ფული თუნდაც ამ ჭების მოსავლელად დაიხარჯოს რომელთა მსგავსი თბილისში ასობითაა, ვიდრე უაზრო ცეკვა-თამაშის გასამართად მაშინ, როცა კედლებს უნდა ვახლიდეთ თავს?

**ოთარ ტურაბელიძე**

ახალი ჟამიანობა

# კიდევ უფრო დაპატარავებული სამშობლო...

*მთავრობა არის მოლაპარაკე კანონი, ხოლო კანონი – მუნჯი მთავრობა.*
*ციცერონი.*

**აგვისტოს გაუგებრობამ სამშობლო დაგვიპატარავა. „დემოკრატიული“ ხელისუფლება ძველებური შემართებით აგრძელებს დაპირებების ფრქვევას. ერი დუმს, მღვრიე ტალღები გორგორობენ, სამური ცხოვრების ნათელი შუქდღე იგვიანებს. კოლხ-იბერთა შთამომავლები, კი თანდათან ეჩვევიან მონის მონად ყოფნას!**

საქართველოს ისტორიული ბედუკუღმართობა XXI საუკუნეშიც გრძელდება. წარსულში მეფეებს უმეტესად სხვები გვინიშნავდნენ. ბიზანტიონსან ბიზანტიელებს ანტიოქია, რომი და კონსტანტინოპოლი, ბაღდადი, ისპაჰანი და სტამბოლი. ორი საუკუნე ქართული სახელმწიფო რუსეთის წყალობით არ არსებობდა. დღეს ამოგვიჩრდებოდნენ ახალი პარლამენტი, ფირთიანი ანგლოსაქსებით დასახლებული ვაშინგტონი.

ძველ საქართველოში უცხოელთა ნებით აღზევებული გამგებლები ეროვნული ინტერესების სამსახურში დგებოდნენ. სრულდებოდა ქართული საქმე და სულდგმულობდა დამოუკიდებლობის რწმენა. უკანასკნელი დამპყრობლის პოლიტიკურმა დახვეწილობამ ჩვენი სამშობლო უკიდურესი განსაცდელის წინაშე დააყენა. ოკეანისგაღმელმა „მოკეთეებმა“ ქართველთა მტერი ქართველებში მოძებნეს ანტიეროვნულად განწყობილი ახალგაზრდების სახით, დაარქვეს ნაციონალური მოძრაობა და დაავალეს ქვეყნის სულიერი ტრადიციების რბევა-აოხრება. ნაციონალების ხუთწლიან საქმიანობას სხვა სიტყვებით ვერ შეაფასებ. მათი სიტყვა და საქმე ისე დაცილებულია ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა.

„ვარდების რევოლუციის“ სიტყვამზეობა დემაგოგია გამოდგა. საქართველოს მომავალზე „ზრუნვით“ ანთებული ჭაბუკები და ქალიშვილები მუხლმოდრეკილი იფიცებოდნენ, რომ დააკანონებდნენ სამართლიანობას, წესრიგს, ბოლოს მოუღებდნენ განუკითხაობას, დადგებოდა სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის ხანა, აღდგებოდა ქვეყნის მთლიანობა, მოწესრიგდებოდა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. დაპირებები დაპირებებად დარჩა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა ახალგაზრდებმა, ბოროტი ძალების კარნახით, ყოველივე ეროვნულს დაუნდობელი ომი გამოუცხადეს. ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების იდეით ააგორეს ცრუ რეფორმათა ტალღა, რომელმაც ძირს დასცა ქართული განათლება, მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, უსერიოზულესი საფრთხე შეუქმნა სულიერ კულტურას.





უმწიფარმა ახალგაზრდებმა, ვიღაც ხილულის თუ უხილავის ხელშეწყობით, ამაყად მოირგეს ერის წინამძღოლის მოსასხამი და თავიანთი დაუკვირვებლობით ქვეყანა უფსკრულში გადაჩეხეს. რასაც აკეთებენ, კარგსაც და ცუდსაც, ყველაფერს დემოკრატიის სახელი დაარქვეს. სიტყვა – დემოკრატია არ არის ძნელი წარმოსათქმელი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში მისმა წაღმა-უკუღმა ხმარებამ, ბერძნული გენიის უდიდესი გამოგონება ქუჩის დონეზე დაიყვანა და გააუფასურა.

აგვისტო დარჩება ჩვენი ისტორიის მრავალრიცხოვანი შავი დღეების ერთ-ერთ ყველაზე ჯოჯოხეთურ მოგონებად. მტერი კარს კი არ მოადგა, სახლში შემოვიდა. ხელისუფლებაში ერთი კაციც კი არ აღმოჩნდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სინამდვილესთან მიახლოებული, განმარტება რომ მიეცა გაუბედურებული მოსახლეობისთვის. მთავრობის დანიშნულება მარტო ხალხის ყვლეფაა? ორი საუკუნე ბატონობდა რუსეთი საქართველოში, დამპყრობლისგან არაფერი გვისწავლია? ომი თავიდანვე უაზრობა იყო, მაგრამ რატომ არ გამოვიყენეთ რუსული სამხედრო ხელოვნების მცოდნე ქართველი ოფიცრები?

ყველაზე სავალალო ის არის, რომ საქართველოში საქვეყნო პოლიტიკა ხელმოცარულთა თავშესაფარი გახდა. აქტიურობენ საშუალო დონის სტუდენტის განათლების მქონენი, თანატოლთაგან არც ისე გამორჩეულნი, რომლებმაც სამ თუ ექვსთვიანი კურსები გაიარეს, უცხოური, ყველაფრის ცოდნის სერტიფიკატით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ და ძლიერ პატრონთა ხელდასმით შეუდგნენ ქვეყნის „შენებას“. შედეგი: სამშობლო გვიქციეს ყვავ-ყორნების სათარეშო ასპარეზად.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მტერი რამდენჯერმე იყო ერთდროულად (გნეუს პომპეუსი, მურვანყრუ, თემურ-ლენგი). ადრინდელი საომარი იარაღის პრიმიტიულობის გამო, ქართველები ახერხებდნენ პარტიზანულ წინააღმდეგობას და ბრძოლის ველს სამარცხვინოდ არ სტოვებდნენ. დღეს ტანკებსა და ავიაციას სანადირო თოფებით ვებრძოლოთ? კაცი, რომელიც ვერ მიხვდება, რომ რუსეთს იარაღით ვერ მოერევი, უნდა გამოეთხოვოს პოლიტიკას.

განათლებული, ოღონდ ჭაღაროსანი ოფიცრები არმიას ჩამოაშორეს. წერა-კითხვის უცოდინარობის შედეგი, ევროპულად განათლებული ახალგაზრდების წყალობით, წინ გვიდევს. ახალგაზრდებო! ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა უიარაღო ხალხის დარბევა ხომ არ გგონიათ? კარგად გვახსოვს, როგორი შეუდრეკელობით გამოირჩეოდა ალექსანდრე ლომაია, როდესაც უნივერსიტეტიდან პროფესორები პოლიციის დახმარებით გამოაძევა და იქ სამხედრო შტაბი მოაწყო. მინისტრის ხატოვანმა გამოთქმამ: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“, შეამზადა აგვისტოს ტრაგედია. უნივერსიტეტთან გამარჯვებული ლომაიას ქარავანი ვიხილეთ ცხინვალთან. ვაი ამ ხილვას. ქვეყნის აღმასვლა განათლებით იწყება. „ვარდოსნებმა“ პირველი დიდი დარტყმა ამ სფეროზე განახორციელეს და უბედურების სათავეც ეს გახდა.

შეიარაღებული სამხედრო შენაერთი, რომელიც უდანაშაულო თანამოძმეს არ დაინდობს (მხედველობაში მაქვს 2007 წლის 7 ნოემბერი), სერიოზული ბრძოლისათვის არასრულფასოვანი რომ იქნებოდა, საეჭვოდ მიაჩნდა ვინმეს? სიმღერა „მიშა მაგარია“ საკმარისია ომის მოსაგებად?

ჩვენ ერთი გუნდი ვართო, გუგუნებდნენ ნაციონალები. სინამდვილეში ერთი გუნდი კი არა, არის ერთი კაცის ნება. ყოფნა-არყოფნის კრიტიკულ მომენტში ვისმენთ მხოლოდ ერთი კაცის მონოლოგებს. დანარჩენები გაუბედავად ეთანხმებიან. მთავრობასა და პარლამენტს შევახსენებ: ალექსანდრე მაკედონელს, იულიუს ცეზარს, ნაპოლეონს, სტალინს, ჰიტლერს და უამრავ სხვა ტირანს ეკამათებოდნენ რანგით დაბლა მდგომი თანამებრძოლები. ერის მამებო და დედებო! თქვენი ბელადი რატომ მიგაჩნიათ ღვთაებრივ არსებად, რატომ გავიწყდებათ, რომ დამარცხებულ მთავარსარდალს ოვაციებით არ ხვდებიან? რატომ გეამაყებათ ის ფაქტი, რომ დიდ სახელმწიფოთა მეთაურები ზრუნავენ ჩვენს ბედზე, თქვენ კი თავს ირთობთ უნიჭო ენამზეობით. გისვამთ კითხვას: თუ მეტის თავი არ გქონდათ, რას ერჩოდით ქართველებს, რატომ მოევლინეთ ღვთის რისხვად. ქართულ მიწას აკლდა ქართველთა სისხლი? რას ერჩოდით შიდა ქართლის მოსახლეობას (თქვენ რომ სამხრეთ ოსეთი უწოდეთ), ისინი, ავად იყო თუ კარგად, ცხოვრობდნენ მამა-პაპისეულ სახლებში და უმკლავდებოდნენ ყოველდღიურ ჭირ-ვარამს. რატომ დაატოვებინეთ საუკუნოვანი სამკვიდრებელი კოდორის ხეობის ამაყ შვილებს, ახალგორელებს და აქციეთ ლტოლვილებად (თითქოს დიდი შეღავათია ლტოლვილს დევნილი რომ დაარქვით? სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ლტოლვა ნიშნავს გარდახვეწას. დღევანდელ საქართველოში დევნილები ყველანი ვართ, ნაციონალურ მოძრაობას მიტმასნილთა გარდა).

ხელისუფლებამ ნამდვილად უნდა იამაყოს! ასეთი კატასტროფის მიუხედავად, ტაშის დამკვრელები მრავლად ჰყავს, ბრმათა და ყრუთა სახით, რომლებიც დამარცხებასა და გამარჯვებას ვერ ანსხვავებენ. სად გაგონილა დამარცხება მთელი დღე და ღამე ეზეიმოთ. რატომ აქციეთ ერი უაზრო ბრბოდ? დამარცხების გამარჯვებად მიმღები ბნელი მასა იმსახურებს იმ მთავრობას, რომელიც ჰყავს. მკვდრეთით აღმდგარი ხელისუფლება ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული „სიმართლე“ და ჯოჯოხეთად ქცეულ ყოველდღიურობას აღორძინებისკენ მიმავალ გზად გვიხატავს. აღტაცებული მასა ბრმად ეგებება ახალ დაპირებებს და თუ სადმე თვალი მოჰკრა, ზეცას წვდება „მიშა, მიშას“ ძახილი. ასეთი ხალხის სიმრავლე რომ არის, იმიტომ მიდის საქართველოს საქმე წაღმა.

ადამიანებმა დაკარგეს ღირსების გრძნობა, სამშობლოს სიყვარულისა და მსახურების ნიჭი, პასუხისმგებლობა შთამომავლობის წინაშე. დაიკარგა პატრიოტული შემართება და მოვლენის გაანალიზების უნარი. შიშმა საზოგადოება ერთგვაროვნად უინტერესო გახადა. ერთეულების გარდა დადუმდნენ ადრე საოცრად აქტიური ოქროპირები. სულიერებას უტევს წყვდიადი. სანამდე ვაპირებთ სიბნელეში ყოფნას? სენეკა ამბობდა: „არ არსებობს სულიერ მონობაზე სამარცხვინო მონობა“. მონის მდგომარეობაში იმყოფება განათლებული საქართველოს დიდი ნაწილი. ვიდრე თვალს არ გავახელთ, სხვათა მოწყალების შემყურე ერად დავრჩებით, რომლითაც დიდად ამაყობს ამერიკის ფრთებს შეფარებული ცრუ რეფორმატორთა ძლევამოსილი გუნდი. ხაზგასასმელია, ამ გუნდმა აქამდე რასაც მოჰკიდა ხელი (უნდა ითქვას, ძალიან ბევრს), ყველაფერს ქვის ხანისკენ უქნა პირი. იმის დიდი იმედები არსებობდა, რომ სამხედრო-თავდაცვით სფეროში მაინც იქნებოდა წინსვლა, მაგრამ ყველაზე მძიმე სურათი აქ ვიხილეთ. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ ფართოდ რეკლამირებულმა ერთი გუნდის თეორიამ არ გაამართლა.

პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელმაც ისტორია ზოგადად მაინც არ იცის, სუსტი პოლიტიკოსია. მსოფლიო ისტორიას თავი რომ დავანებოთ, „ქართლის ცხოვრებაშიც“ უამრავი საყურადღებო ფაქტია დაცული, რომლის ცოდნაც არ აწყენდა პოლიტიკასთან ახლოს მდგომ განათლებულ ადამიანს. მხედველობაში მაქვს იმ რეალობის შეხსენება თუ რა დონეზე აგვარებდნენ ჩვენი წინაპრები ურთიერთობას აშკარა მტრულ ძალებთან. ნიმუშად მოვიტან III საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ მოვლენას.

ლეონტი მროველის თხრობის თანახმად, მტერი (სპარსელები) ქართლში შემოვიდა. საომარი სამზადისის დროს მეფე ასფაგური გარდაიცვალა. სპასპეტმა მაეჟანმა შეკრიბა ერისთავები, გააცნო ქვეყნის უიმედო მდგომარეობა და აუხსნა, რომ წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავდა თვითმკვლელობას (იგი აღნიშნავდა „დარჩომილ ვართ ჩუენ ობლად, ვითარცა, ცხოვარნი უმწყემსონი“). თუმცა არსებობს გამოსავალიცო და მაეჟანმა დიდებულებს წარუდგინა მოქმედების დიპლომატიური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მეფე ასფაგურის ასულის დაქორწინებას სპარსეთის უფლისწულზე. ერისთავებმა წინადადება მოიწონეს და მოციქულები (ელჩები) წარგზავნეს სპარსეთის მეფესთან. მან ქართველთა თხოვნა დააკმაყოფილა და მისი შვიდი წლის ვაჟი მირიანი, ქართლის მეფე გახდა. მირიანი ქართველებმა ქართულად აღზარდეს და ისიც ერთგულად ჩადგა ეროვნული ინტერესების სამსახურში. რაც მთავარია მირიანი გახდა ახალი სულიერების დამამკვიდრებელი. ლეონტი მროველი წერს, „ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ და იქმნა აღმსარებელი წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა“.

„ქართლის ცხოვრებაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო მოღვაწეთა წინდახედულ დიპლომატიურ საქმიანობას.

ორიენტაციის არჩევის თვალსაზრისით, საინტერესოა VI საუკუნის შუა ხანებში განვითარებული მოვლენები. ცნობილია, რომ 554 წელს, დიდი ომიანობის დროს, ბიზანტიელებმა მოკლეს მეფე გუბაზი. კოლხმა წარჩინებულებმა მოიწვიეს საიდუმლო კრება, რომელიც აღწერილი აქვს ბერძენ მწერალს აგათია სქოლასტიკოსს. კრებაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მიმართულება: სპარსული და რომაული (ბიზანტიური). აგათიას სიტყვებით, სპარსულ ორიენტაციას ემხრობოდა აიეტი, რომაულს – ფარტაზი. მოკამათე მხარეთა არგუმენტების განხილვისას ბერძენი მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს კოლხი ორატორების განსწავლულობის მაღალ დონეს, რომ ისინი ღრმად იყვნენ ჩახედულნი ქვეყნის, როგორც საშინაო ისე საგარეო საკითხებში.

ძველი ქართველები ქართულად აგვარებდნენ ქართულ საქმეებს და თავიანთი ნააზრევი მოციქულების საშუალებით მიჰქონდათ მტერთან. სავალდებულო იყო ეპოქის მოთხოვნებით გათვალისწინებული განათლება. როცა ამ სფეროში მოვიკოჭლებდით, შედეგიც არასასურველი იყო. ამის ნათელი მაგალითია დღევანდელი საქართველო. საყველპურო ინგლისურის ცოდნა გახდა უზრუნველი ცხოვრების საწინდარი. ამ ნიშნებით ხელისუფლების წარმომადგენლები ავტომატურად ჩაჯდნენ განვითარებადი ქვეყნების სტანდარტებში და მოგზაურობენ კონტინენტიდან კონტინენტზე, არავის ეგონოს ცოდნისა და გამოცდილების შესაძენად. ერთადერთი რაც კარგად აქვთ ათვისებული, არის ტრაბახი და ენამწარობა. ინგლისურთან დაკავშირებით ჩვენს გალაღებულ პოლიტიკოსებს მოვაგონებდი: პაპუასებში ინგლისური სახელმწიფო ენად ითვლება (ავსტრალიელების წყალობით) და ბევრმაც იცის, მაგრამ პაპუასი რჩება პაპუასად, მისი აზროვნება და კულტურა მტკიცედ დგას პაპუასურ დონეზე.

საქართველოს ისტორია ომების გაბმული ჯაჭვია. უფალო ხელისუფალნო! ვიღაცის იმედით ომის დაწყება რომ არ შეიძლება, ამაზე თუ გიფიქრიათ? ქართველთა ხსენებაც არ იქნებოდა, ჩვენი წინაპრები ასე გაუაზრებლად რომ მოქცეულიყვნენ. გამარჯვებულებს არ და ვერ ასამართლებენ. რატომ ჰგონიათ ჩვენს ოქროპირ დიპლომატებს, რომ საერთაშორისო პროტესტით რუსეთის ხელისუფლება გაწითლდება. ერის მხსნელის მანტიით მოსილმა ხელისუფლებამ თავისი გაფუჭებული საქმე გამოსასწორებლად სარკოზის და ევროპელებს გადაულოცა. ჩვენს სინამდვილეში თუ გაუჩნდა ვინმეს ასეთი კითხვა: რატომ არიან მოწესრიგებულ ევროპულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ფიგურები გარეგნულად (ასაკით) საკმაოდ სოლიდურნი, ხოლო ქართველები – ახალგაზრდანი (ვითომ ევროპელებზე ჭკვიანები ვართ?). ალბათ, ამიტომ ხდება, რომ გადაწყვეტილებებს უჩვენოდ ღებულობენ.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზროვნება ტომობრივი ცნობიერების შთაბეჭდილებას სტოვებს. მემატიანის ლეონტი მროველის სიტყვებით, როდესაც ქართლის ერისთავები ფარნავაზის ძის საურმაგის წინააღმდეგ აჯანყდნენ, მთავარი მოთხოვნა ასე ჩამოაყალიბეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“.

საუკუნეების მიუხედავად ცვლილებები არ შეიმჩნევა. როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, უცხოელთა იმედით სუნთქავს და მზად არის დაიდგას მისი უღელი. დღესაც ველოდებით, „ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე“, მას მივცეთ ხარკი. ოპოზიციაც მოწყალებას ოკეანის გაღმიდან ელოდება. აქედან დასკვნა: ქართველი ერის აზრი მასაც ნაკლებ აინტერესებს.

ბოლშევიკურ ანტიამერიკულ პროპაგანდას ჩაენაცვლა ნაციონალური ანტირუსული მოძრაობა. ისტორია კვლავ დილემის წინაშე გვაყენებს, რომელია უფრო დიდი ბოროტება: რუსული თუ ამერიკული? თუ დღევანდელი მდგომარეობით ვიმსჯელებთ, არც ამერიკულს უჩანს კარგი პირი. როდის უნდა გვეყუდნოდეს ჩვენი თავი ჩვენვე?

პატრიოტიზმით შეზავებული სიყალბე, მალამოდ ედება გონდაბინდულ მასას. ტომობრივი ცნობიერების საფეხურზე გაყინული სიბნელე დარწმუნებულია, რომ სწორად შეაფასეს მისი მონაცემები, როდესაც უწოდეს ბრძენი და შეუცდომელი. შინაური მოხმარების „რეკლამა“, რუსეთი გავაშიშვლეთო, უმეცართა გულის მოსაფხანად არის გათვლილი. ევროპას (აზიასაც) ვერაფერს ვასწავლით, მან შესანიშნავად იცის ვინ-ვინ არის და ქართველ პოლიტიკოსთა რიტორიკული შეგონებანი მხოლოდ მათ ღიმილს თუ გამოიწვევს.

აგვისტოს მსგავს დღეებს ქართველმა მემატიანემ ჟამიანობა უწოდა.

აგვისტოს ტრაგედია უთანაბრდება იმ უბედურებას, რომელიც საქართველომ განიცადა XVI საუკუნეში და დაიკარგა მისი სამხრეთი ნაწილი. ღმერთმა გვაშოროს ანალოგიური მოვლენის განმეორება.

**გრანი ქავთარია**

## არჩევნები ამერიკაში

# „ობამა - მამა“, „სარა - დივა“, სოციალიზმი და ჯო მეწყალსადენე



(მეშვიდე გვერდიდან)

ისტორიული ცნობა: თუ გადავხედავთ ამერიკისთვის 4 ნოემბრის ისტორიას, აღმოვაჩენთ ორ მნიშვნელოვან ფაქტს: 1946 წელს, ზუსტად ამ დღეს, ამერიკის კონგრესში რესპუბლიკელებს უფრო მეტი ადგილი ერგოთ, ვიდრე დემოკრატებს. 1939 წელს კი რუზველტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც აშშ-ს საფრანგეთისა და ინგლისისთვის იარაღის მიყიდვა შეეძლო.

ობამას იმიჯმეიკერებმა დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ობამასგან ეპიკური კინოშედევრის გმირის სილუეტი შექმნეს. იგი თავის სიტყვას სვეტებიანი დეკორაციის ფონზე წარმოთქვამდა, თითქოს იულიუს კეისარი იყოს. ტოგაღა აკლდა. ამ ახალ ძვირადღირებულ კლიპში კი ლამის უკვე თეთრი სახლის ბინადარია. ობამას სლოგანია „ცვლილებები, რომელიც ჩვენ გვჭირდება!“, ხოლო მაკქეინისა — „ქვეყანა უპირველეს ყოვლისა!“. ეს სლოგანები, ბუნებრივია, ერთმანეთს არ გამორიცხავენ. რესპუბლიკელი კანდიდატი თავის პროგრამად აცხადებს „შესაძლებლობები ყველასთვის!“, ხოლო დემოკრატი — „უიმედობიდან იმედისკენ!“. სიტყვებს, რასაც ბილ კლინტონი თავის ცოლის მისამართით ამბობდა, კერძოდ კი — მისი გულის რჩეულის საუკეთესო პრეზიდენტად გახდომის თაობაზე, ახლა იგი ობამას გადაუმისამართებს. პროპაგანდისტური ფრაზების სიმრავლეს საზღვარი არა აქვს, თუმცა აქაც ზომიერებაა საჭირო, ვინაიდან თავად ადრესატი ამბობს, მე, ალბათ, იდეალური პრეზიდენტი ვერ ვიქნებიო.

ამ დღეებში ამერიკული ტელევიზიის ეთერი პოლიტიკური კომედიშოუებით გადაივსო, სადაც ხან თავად კანდიდატები და მათი ცოლები, ხანაც მათი ორეულები მონაწილეობენ. ბოლო „შაბათის შოუში“ თავად მაკქეინიც მივიდა, სადაც გასაყიდად წარადგინა ალესილი დანების ნაკრები იმ ქვეტექსტით, რომ მისი წინასაარჩევნო პროგრამა გადასახადების მოჭრას გულისხმობს. მეორე გადაცემის წამყვანი კი ქალაქის ქუჩებში დასეირნობდა და გამვლელ-გამოვლელებს სერიოზული სახით ეკითხებოდა მზად არიან თუ არა ისინი აირჩიონ... ნარინჯისფერი პრეზიდენტი...

მედია კანდიდატების ჯანმრთელობასა და ქონებრივ სტატისზე საუბრობს. დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული კანდიდატის წინაპართა დაავადებების გენიალოგიური ხე. CNN-ზე არჩევნების წინა დღეებში გავიდა საინტერესო სიუჟეტები ყოფილი პრეზიდენტების მენტალური ჯანმრთელობისა და დეპრესიებისადმი მიდრეკილების შესახებ. დემოკრატები რესპუბლიკელებს ადანაშაულებენ, რომ მაკქეინი ვიეტნამის შემდეგ პოსტტრავმატული სინდრომის დაავადებიდან ვერ გამოსულა, რესპუბლიკელები კი ობამას გამოცდილებას უწუნებენ.

იუმორისტულ შოუში სარა პეილინი ესკიმოსების ტანსაცმელში გამოწყობილ მოცეკვავეებს რეპის მუსიკის რითმში თავს აყოლებს. ამ თემაზე დიდი აურზაური ატყდა, დემოკრატები ბჭობდნენ, რამდენადაა მისაღები ვიცე-პრეზიდენტის ამგვარი არასერიოზული ქცევაო, არადა პარალელურად სახელგანთქმული ლესბოსელი (იგი საკუთარ ორიენტაციას დიდად აფიშირებსძ ჰელენ დეგენეროუს ყოველდღიურ შოუში დიდად არავინ დაპანიკებულა, როცა ობამამ იცეკვა და თანაც განაცხადა, რომ ცოლთან ერთად იგი უკეთესად ცეკვავს და ისიც ცხადია, რომ მაკქეინზე უკეთესად ეხერხება ეს საქმე. CNN-ის მუდმივი ავტორი ლარი კინგი კი ორშაბათის საღამოსთვის, ანუ არჩევნების წინაღამისთვის გემრიელ ლუკმას მაკქეინის მეუღლესთან ინტერვიუს ინახავს.

ამერიკა საქართველო არ არის. ჩვენთან საპრეზიდენტო კანდიდატები ერთმანეთს სამშობლოს ღალატს, ადამიანის უფლებების უხეშ შელახვას, კორუმპირებულობასა თუ დიქტატურის დამყარებას აბრალებენ. ეს საკითხები სისხლისა და საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობისაა. ამერიკელი კანდიდატები ძირითადად კი იმით არიან დაკავებული, რომ ერთმანეთის არასისხლის სამართლის სუსტი წერტილები და ამ წერტილების ნიუანსები მოიძიონ. მაგალითად: საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ეკონომიკის განვითარების, დაზღვევისა და აბორტების პრობლემა და მრავალი სხვა. ამ ჩამონათვლის მოსაძიებლად სულაც არაა საჭირო კერძო დეტექტივის დაქირავება, ჟურნალისტური გამოძიება და გადაცემა „60 წუთი“. დიალოგი მუდმივია, ხოლო დებატები აუცილებელი, თუმცა ისინი კანონმდებლობით არაა გაწერილი, მაგრამ აშშ-ში მათი ტრადიცია უწყვეტია. მუდმივი დიალოგი თუ მონოლოგი ისეთი მუხანათი რამაა, აუცილებლად წამოგაცდენინებს რაიმეს. ასე მაგალითად, მაკქეინს წამოცდა, რომ მას არ ახსოვს, 7 თუ 8 სახლი აქვს და ამგვარი ქონებრივი ამნეზია ობამამ, ბუნებრივია, აქტივში ჩაიწერა.

ამას წინათ ობამას წამოცდა სიტყვათშეთანხმება „სიმდიდრის გადანაწილება“ რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დემოკრატი სოციალიზმის იდეების მიმდევრად გამოეცხადებინათ. მერმე ჟურნალისტმა დემოკრატ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს ჯო ბაიდენს „სოციალიზმის კონტექსტიდან“ გამომდინარე კითხვა ობამას მარქსისტობის შესახებ დაუსვა, რაზეც პოტენციურ ვიცე-პრეზიდენტს არაადეკვატურად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. ყველაფერი კი ერთი უწყინარი ჯო ვულცერბახერის ანუ ჯო მეწყალსადენეს ასევე უწყინარი კითხვით დაიწყო. საქმე იმაშია, რომ ობამა გაპრეზიდენტებისას აპირებს გადასახადები გაუზარდოს იმ ადამიანებს, ვისი შემოსავალიც წელიწადში 250 000 დოლარზე მეტია, რათა, როგორც თავად ამბობს, მცირე ბიზნესმენებს დაეხმაროს. ამომრჩევლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბარაკ ობამას ჯო მეწყალსადენემ კითხვა დაუსვა: 250 000-ზე მეტი მოგების ბიზნესი რომ ვიყიდოო, დღეში ისედაც 12 საათი ვმუშაობ, მეტი რატომ უნდა გადავიხადოო? ობამამ გასაგებად ვერ აუხსნა მას, რაღაც განაცხადა სიმდიდრის გადანაწილებაზე, მცირე ბიზნესის მხარდაჭერაზე, სამაგიეროდ, მისი ეს „მარქსისტული“ ლაფსუსი რესპუბლიკელებმა სიხარულით აიტაცეს და ჯო დემოკრატების საწინააღმდეგოდ მოაქციეს. ბოლოს კი საერთოდ აღმოჩნდა, რომ ჯო არანაირი ბიზნესის ყიდვას არ აპირებს. ის კი არა, მცირე გადასახადებსაც ძლივს იხდის...

მაკქეინმა ჯოს გვარი სწორად ვერ წარმოთქვა, რაც გრძელცხვირა მედიას და დემოკრატებს არ გამორჩენიათ, ისევე როგორც არ გამორჩენიათ მაკქეინის მიერ სააკაშვილის გვარის წარმოთქმისას ქრონიკულად დაშვებული შეცდომა. „შააშკაშვილი“, ომის დროს მან რამდენჯერმე ქართველ პრეზიდენტს სწორედ ასე უწოდა. ამ შეცდომას ტელევიზია დაუღალავად აგემოვნებდა. ეს წვრილმანია, არა უშავს... მთავარია მსხვილმანი არ შეეშალოთ და საქართველოს ტკივილს „ლოკალურ-რეგიონალურის იარლიყი“ არ მიაწებონ. რადგანაც არსებობს იმის საშიშროება, რომ მსოფლიო თავს მხოლოდ ამერიკა-რუსეთის ანდა ამერიკა-ირანის „გლობალური სტატუსით“ აიტკივებს...

ის, რაც ორივე კანდიდატს აერთიანებთ — ვაშინგტონის კრიტიკაა. „მე არ ვარ ჯორჯ ბუში“ — განაცხადა მაკქეინმა. ობამამ კი კვლავ ხელზე დაიხვია. თუმცა ეს იგივე რიგის განცხადებაა დემოკრატების ლიდერმა დოინჯი რომ შემოიყაროს და თქვას - მე კლინტონი არ ვარ და მით უმეტეს ჰილარიო. თუ ჯორჯ ბუში პუტინის თვალებში სულს ხედავდა ახლა მაკქეინი — სამ ასოს — კა-გე-ბეს ამჩნევს. მაკქეინი ამომრჩეველს ჯარისკაცის შეძახილით აღვიძებს ხოლმე: „ადექით, ადექით იმისთვის, რომ ამერიკისთვის იბრძოლოთ!“. ობამა იმავეს ოღონდ სხვა რეგისტრში გაჰყვირის: „ჩვენს ცხოვრებას ამერიკაში ბედი კი არ განსაზღვრავს, არამედ ჩვენ განვსაზღვრავთ ბედს!“.

ამერიკული არჩევნები მეტნაკლებად ნიჭიერად დადგმული დრამაა. არა შექსპირის ტრაგედია, არამედ — ტრაგიკომედია. ორჯერ ახმაურდა კიდეც პრესა, როცა თითქოსდა ამერიკელი „სკინჰედები“ ობამას მოკვლას აპირებდნენო, მაგრამ ეს საინტერნეტო „ცუღლუტობა“ აღმოჩნდა. თუმცაღა წყალი კვლავ ობამას წისქვილზე მიუშვეს. ერთი კი ნამდვილად ვიცი, რომ იმისგან დამოუკიდებლად, ამერიკაში 5 ნოემბერს აშშ-ის პრეზიდენტს გულზე რომელი სამკერდე ნიშანი — სპილო თუ ვირი — ექნება დაბნეული — ერთ-ერთ კალიფორნიულ სახლში, ოჯახის ერთი წევრი მეორეს გამარჯვებას მშვიდად მიულოცავს. ვგულისხმობ რესპუბლიკელ არნოლდ შვარცენეგერსა და მის მეუღლეს დემოკრატი კენედების შთამომავალს მარია შრაივერს. საღამოს კი ამ ოჯახის ჭერქვეშ ანდა ფეშენებელური რესტორნის კედლებში ეს გამარჯვება აუცილებლად აღინიშნება და ყველაზე ხშირად გავიგონებთ ამერიკელების საყვარელ გამოთქმას — „ღმერთი ფარავდეს ამერიკას“...

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი,**
**აშშ, 3 ნოემბერი**

## პატივმიგება

# მეცნიერის სახელით დამშვენდება...

**ამ დღეებში ანდრო ღვამიჩავას სახელობის, თბილისის ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრში ჩვენი ქვეყნის გამორჩეულმა მედიკოსებმა მოიყარეს თავი: ამ კლინიკის პათომორფოლოგიურ განყოფილებას აკადემიკოს გულნარა გერსამიას სახელი მიენიჭა.**



ესაა 50-წლიანი ღვაწლის დაფასება ამ მძიმე პროფილიანი სამკურნალო დაწესებულების მთელი კოლექტივისა... რაც მთავარია იმ განყოფილების თანამშრომლებისა, სადაც ის მუშაობდა და, რაღა თქმა უნდა, დირექციისა აკადემიკოს რეზო გაგუას თავკაცობით.

თუ ადრე მაღალკვალიფიციური სპეციალისტისა და გულისხმიერი მედიკოსის ყოფნა ეიმედებოდათ პაციენტებსა და მათ პატრონებს აქ, ამიერიდან მისი მარადიული ხსოვნის შუქით გაცისკროვნებული მემორიალური დაფა შეეგებებათ, რაც მისი ხსოვნისა და არდავიწყების დასტურია; ხოლო მომავალ კოლეგებს ნათელ მაგალითად ექნებათ, თუ როგორ უნდა ილვაწოს ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა, რომ ერი მადლიერი ჰყავდეს.

დიდი ხანი არ არის, რაც გაზეთები გადავსებული იყო ღვაწლმოსილი, ღირსების ორდენისა და მრავალი ჯილდოის მფლობელის, საპატიო თბილისელის გულნარა გერსამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სრულიად საქართველო გამოეთხოვა დიდ მოქალაქეს, მომხიბვლელ მანდილოსანს, ყველა ღირსებით შემკულ პიროვნებას.

ის თავისი ყოფნით ავსებდა ჩვენს გარემოს, მისი წასვლით კი იმ შარავანდედით გავლარიბდით, რასაც გულნარა გერსამია ქვია.

**დოდო იორდანიშვილი**

## პიროვნება

***საშუალო სკოლა (ახლა რომ რატომღაც საჯაროდ მოინათლა) ოქროს მედალით დაამთავრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი — სტალინური სტიპენდიით. უნივერსიტეტს ორიოდ წელიწადში კონსერვატორიაც „მიაყოლა“ მუსიკისმცოდნეობის განხრით, ამ სფეროში გამოჩენილი სპეციალისტი დადგა და მშობლიურ სასწავლებელში დიდხანს უძღვებოდა მუსიკის ისტორიის კათედრას. ახლა კონსერვატორიის პროფესორი გახლავთ და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი თაობის მუსიკოსთა აღმზრდელი და საკუთარ ოჯახთან ერთად, უამრავი „მუსიკალური“ შვილის, შვილიშვილისა და შვილთაშვილის პატრონი.***

# სამსახეობა და რვაათეულობა ნიჭიერი კაცისა



გამოჩენილი მუსიკისმცოდნე ხომ არის და არის (ყოფილი საკავშირო მასშტაბითაც იყოძ — მოუსვენარი ბუნების, დიდი ცნობისმოყვარეობის, თანდაყოლილი ღრმა ნიჭიერებისა და ფენომენური მეხსიერების წყალობით მრავალმხრივი სპორტული ისტორიკოსიც გახდა, ჭადრაკი გინდა, ფეხბურთი თუ კალათბურთი... ფილოლოგიური განათლება კიდევ ჩინებულ კალმოსნად ჩამოყალიბებაში მიეხმარა და სამწვერა მარჯვე ჟურნალისტური კალმით აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია წარმატებით ემსახურება სამ საყვარელ „მუზას“ — მუსიკას, ჭადრაკსა და ფეხბურთს, თანაც ორენოვნად, მშობლიური ქართულითა და „უცხო“ რუსულით. სრულიად საქართველოს ვერ ვიტყვი — სადღაა, თორემ კი — მაგრამ დარჩენილ საქართველოში არაერთი არც მრავალპროფილიანი ჟურნალისტი მეგულება მეორე და არც ორენოვანი...

სხვათა შორის, ჭადრაკზე არა მარტო კარგად წერს, კარგი მოჭადრაკეც არის და იმ მუსიკოსების სიმრავლის ცნება რომ შემოვიღოთ, რომლებიც ძლიერი მოთამაშენიც იყვნენ და არიან, სერგეი პროკოფიევის, დავით ოისტრახის, მარკ ტაიმანოვისა და ჩვენი თვალსაჩინო დირიჟორის რევაზ ტაკიძის რიცხვს თამამად მიემატება გულბათ ტორაძეც და სწორედ ის გახლავთ ამ წერილის გმირი...

ახლახან პროფესორ გულბათ ტორაძეს 80 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი არაჩვეულებრივი სითბოთი თუ პატივისცემით აღნიშნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შენობის პატარა დარბაზში შეკრებილმა დედაქალაქის საზოგადოებრიობამ. იყო მხურვალე მილოცვები, იყო გულითადი სიტყვები, იყო საჩუქრები... თვით იუბილარი ჩვეული იუმორითა და ენამახვილობით არაერთხელ გაერია გამოსვლებში „ავტოშეფასებებით“, თან საჩუქრები თავადაც უხვად გასცა საკუთარი საგულისყურო წიგნების სახით. საღამო მართლაც რომ დაამშვენეს ახალგაზრდა ტალანტებმა. მკითხველს ვთხოვ დაიმახსოვროს ამომავალი (ან ეგებ უკვე ამოსულიძ ვარსკვლავების სახელები: ტყუპი და ანი და ნია სულხანიშვილები (როიალი ოთხ ხელშიძ, ანა ძიგვაშვილი (როიალიძ, არმაზ დარაშვილი (ტენორიძ, მარიკა გულორდავა (სოპრანოძ. გვერდით ანზორ ერქომაიშვილი მეჯდა და ორივე ვოკალისტზე „გამომიტყდა“ — დიდი ხანია ასეთი ბრწყინვალე ხმები არ მომისმენიაო. ბატონი ანზორი თუ აგრე „შთაიბეჭდა“, მე რაღა მომივიდოდა...

ბოლოს სათქმელად: ყველაფერთან ერთად ძვირფასი იუბილარი „საქართველოს რესპუბლიკის“ მრავალწლიანი და ერთგული მკითხველია და ასევე მრავალწლიანი, გამორჩეული ავტორი. მისი ენა-პირით იმ საღამოზე არაერთხელ გაისმა ჩვენს გაზეთზე კეთილი სიტყვა. გადაფურცლეთ საიუბილეოდ გამოცემული „გულბათ ტორაძის ბიბლიოგრაფია“ და მუსიკაზე, ფეხბურთზე, ჭადრაკზე დაწერილი მონოგრაფიების, წიგნების, საგაზეთო-საჟურნალო სტატიებისა თუ წერილების უგრძეს ნუსხაში ძალიან ბევრჯერ შეხვდებით „საქართველოს რესპუბლიკის“ ხსენებას — გაზეთებს შორის ეგებ ყველაზე ბევრჯერაც.

ძვირფას უფროს კოლეგას, აწ უკვე უხუცეს ავტორსა და შესანიშნავ პიროვნებას მრავალი წლის ჯანმრთელი სიცოცხლე და ახალი შემოქმედებითი მიღწევები ვუსურვოთ 80 წლისთავზე. სამწვერა ნერვის ანთებისაგან ღმერთმა დაიფაროს, აი სამწვერა კალამი კი კვლავაც ხშირად „ანთებოდეს“...

**თამაზ ეგანოიძე**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# სააკაშვილი: იმედი მაქვს, რომ ახალი მიუნხენი არ იქნება

*„თუ შემეკითხებით, სად იმყოფება ევროპის სინდისი, გიპასუხებთ: იგი აქ, ლიტვაშია. სწორედ თქვენ ლიტვის მცხოვრებნი იცავთ მას“, — ასე გადაუხადა მადლობა ლიტვის მცხოვრებლებს ვილნიუსში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ევროპა არ წავა ახალ „მიუნხენის ხელშეკრულებაზე“.*

**— ამჟამად სიტუაცია საქართველოში ნაწილობრივ სტაბილური გახდა. კონფლიქტის დროს თქვენ არაერთგზის აღნიშნავდით, რომ უკმაყოფილო ხართ ევროკავშირის დიდი ქვეყნებისა. დღეს როგორ**



**აფასებთ მათ მოქმედებას კონფლიქტის პერიოდში?**

— კარგია, რომ ნ.სარკოზი ჩამოვიდა. მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანას აქვს ცდუნება — ყველაფერი ეს უკანა პლანზე გადასწიოს, გამოაცხადოს მოწესრიგების ქართული გეგმა წარმატებულად და განაგრძოს გზა. ვფიქრობ, ეს იქნებოდა დიდი შეცდომა, ვინაიდან რუსეთი აგრძელებს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტის ოკუპაციას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას, განდევნა საცხოვრებელი ადგილებიდან და არ აძლევს იქ დაბრუნების საშუალებას 500 ათას ლტოლვილს. ეს სინამდვილეში უდიდესი ადამიანური ტრაგედიაა. იმედი მაქვს, რომ ევროპა არ წავა ახალ მიუნხენის ხელშეკრულებაზე. იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება. ვინაიდან ამის ნებისმიერი შემსუბუქება და აღიარება, როგორც მომხდარი ფაქტისა, ჩემი აზრით, იქნებოდა ახალი მიუნხენი.

**— რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ? როგორს ხედავთ საქართველოს მომავალს ხუთი წლის შემდეგ?**

— ჩვენ შევეცდებით თავი დავაღწიოთ რუსეთის ოკუპაციას ნებისმიერი მეთოდებით, მხოლოდ მშვიდობიანი წინააღმდეგობით. ჩვენ შევეცდებით, რომ რუსებმა დატოვონ საქართველოს ტერიტორია. ამავე დროს საქართველო განვითარდება, განავითარებს ეკონომიკას, დემოკრატიას. საქართველო განვითარდება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენ მოვახდენთ ევროპასთან ინტეგრირებას — ეს ერთმნიშვნელოვანია.

**— თავად თქვენ გჯერათ, რომ ოსები, აფხაზები და ქართველები კიდევ შეძლებენ ერთ სახელმწიფოში ცხოვრებას?**

— მათ განდევნეს 500 ათასი კაცი, ამ ტერიტორიაზე დარჩა უფრო ნაკლები — ყოფილი მოსახლეობის 15 პროცენტზე ნაკლები. უწინარეს ყოვლისა, ეს ჩვენი მოქალაქეები არიან. მეორეც, ოსების დიდი ნაწილი გაიქცა, როდესაც რუსებმა დაიკავეს ტერიტორია, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებდით. ისინი გაიქცნენ საქართველოში რუსეთის არმიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან. და უნდა ითქვას, რომ ყოფილი სეპარატისტები ჩვენ მხარეზე არიან, რუსეთმა კი დაიპყრო ჩვენი ტერიტორიის ნაწილი, სადაც ამჟამად ცხოვრობს 15 ათასზე ნაკლები კაცი.

**— თქვენ ხედავთ ერთიან საქართველოს?**

— ჩვენ არასოდეს არ ვეგუებოდით იმ აზრს, რომ ვინმემ მოაწყოს ეთნიკური წმენდა და შემდეგ დააკანონოს მისი შედეგები. ეს არ უნდა მოხდეს.

**— რა დახმარებას ელით თქვენ დღეს ევროკავშირისგან?**

— ვფიქრობ, რომ ევროპამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში. ამავე დროს არასოდეს არ მიმაჩნდა, რომ ევროპა ოდესმე დაგვეხმარება ჩვენ სამხედრო თვალსაზრისით.

**— თქვენი ვაჟიშვილები ცხოვრობენ საქართველოში. როგორ უხატავთ თქვენ მათ საქართველოს მომავალს?**

— ეს იქნება ევროპული ქვეყანა. ერთიანი და წარმატებული ეკონომიკით. და ლიბერალური.

**— რა გავლენა მოახდინა ამ კონფლიქტმა მეზობლებთან თქვენს ურთიერთობაზე?**

— ვფიქრობ, რომ ამ კონფლიქტის შესახებ რუსეთის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში მკვეთრად დასუსტდა. მათ ვერაფერი ვერ მოიგეს, მათ დააშინეს მეზობლები, მაგრამ მათი ავტორიტეტი აბსოლუტურად არ ამაღლებულა, მიმზიდველობა, თუკი რაიმე ასეთი არსებობდა, ამჟამად გაქრა. მაგრამ ეს შეეხება დღევანდელ ლიდერ პუტინს, შეიძლება, ოდესმე ეს შეიცვალოს, მაგრამ რუსეთმა ძალიან ბევრი რამ დაკარგა. და რუსეთმა გაიგო, რომ დაკარგა. ამიტომ ცდილობს იგი მანევრირებას. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეთი პოლიტიკის ფუნდამენტურად შეცვლის გარეშე იგი თავის გავლენას, ვეჭვობ, რომ დაიბრუნებს თვით უახლოეს მეზობლებს შორისაც კი.

**— როგორი გავლენა მოახდინა ომმა საქართველოს ეკონომიკაზე?**

— გავლენა ომმაც მოახდინა და კრიზისმაც. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ფეხზე დავდგებით. ჩვენთან არ ყოფილა არც ვალუტის კრახი, არც საბანკო სისტემის კრახი, არც პანიკა ინვესტორებს შორის. ამ თვალსაზრისით მე ძალიან ოპტიმისტი ვარ. ჩვენთან ყოველთვის იყო კონსერვატორული ფისკალური პოლიტიკა და ძალიან ზუსტი საზღვარი სახელმწიფოსა და ეკონომიკის როლებს შორის.

**— როგორი განწყობილება აქვს ქართველ ხალხს?**

— ვფიქრობ, ყველა საკითხში საკმაოდ ოპტიმალური. და რეალისტურიც.

**— თუ მოგისმენიათ კრიტიკა კონფლიქტის მსვლელობის დროს თქვენს მიერ არჩეული მიმართულების გამო?**

— ყოველთვის არიან ოპოზიციონერები, რომლებსაც შეუძლიათ გამოთქვან საყვედურები. მაგრამ დღეს მთავრობას მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს. ეს უფრო მეტია, ვიდრე წარსულში ყოფილა ოდესმე.

**აისტე ჟილინსკენე**

DELFI

# მშვიდობისმყოფელი ფარული აზრებით

**ყარაბაღის გაჭიანურებულ კრიზისში პროგრესის მისაღწევად კვირას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოსკოვში შეხვდა თავის კოლეგებს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ანკლავი, რომელშიც უმთავრესად სომხები ცხოვრობენ, იმყოფება აზერბაიჯანში, ხოლო 90-იანი წლების სისხლიანი კონფლიქტის შემდეგ ამ ტერიტორიაზე განლაგდა სომხეთის ჯარები. უკვე 15 წელია კონფლიქტი გაყინულია. მოსკოვი დაინტერესებულია მისი მოწესრიგებით.**

საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ დაძაბულობა ყარაბაღში გაიზარდა. „ჩვენ ვერ დაველოდებით, სანამ თავს დაგვესხმება აზერბაიჯანის ჯარი“, განაცხადა ამას წინათ პროვინციის თავდაცვის მინისტრმა მოვსეს აკოფიანმა, რომელიც სინამდვილეში არც არის თავდაცვის ნამდვილი მინისტრი. ვინაიდან მთიანი ყარაბაღი არ არის აღიარებული სუვერენულ სახელმწიფოდ. რუსეთს სურს, რომ იკისროს შუამავლის როლი მაინც. ჯერ ერთი, მოსკოვი, ქართული კონფლიქტის შედეგად ჩავარდნის შემდეგ, ცდილობს აჩვენოს თავისი თავი ნამდვილ მშვიდობისმყოფელად. მეორეც, იგი ცდილობს გააკეთოს ეს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარეობს და თავისი საქმით არის დაკავებული, ვინაიდან ვაშინგტონი მოსკოვის მთავარი კონკურენტია კავკასიაში გავლენასთან დაკავშირებით და ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს დამყარებული ნავთობითა და გაზით მდიდარ აზერბაიჯანთან. ბაქოდან თურქეთის ჯეიჰანამდე ნავთობსადენის მშენებლობის შემდეგ კასპიის ნავთობი და გაზი მიედინება დასავლეთში რუსეთის გვერდის ავლით. ამჟამად მოსკოვი ეძებს სარგებელს თავისთვის: კრემლის ხელმძღვანელი მედვედევი მხარს უჭერს ბაქოს უცვლელ პოზიციას, რომ მთიანი ყარაბაღი მომავალშიც უნდა შეადგენდეს აზერბაიჯანის საერთაშორისო-სამართლებრივ ნაწილს. ამისათვის აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა უნდა აჩვენოს მზადყოფნა, მჭიდროდ დაუკავშირდეს რუსეთს მყარი ვალდებულებებით.

ნახევრადსახელმწიფო კონცერნმა „გაზპრომმა“ მრავალჯერ განაცხადა, რომ სიამოვნებით იყიდდა გაზს აზერბაიჯანისგან — გაზს, რომელიც ბაქოს შეეძლო მიეყიდა დასავლეთი ევროპისთვის.

და სწორედ ამიტომ სომხეთი, რუსეთის ტრადიციული მოკავშირე, უნდოზლად ეკიდებოდა კვირის მოლაპარაკებას. „მოლაპარაკების ხელოვნური დაჩქარება ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით სახიფათოდ მიმაჩნია“, — აღნიშნავს სომეხი პოლიტოლოგი სტეპან გრიგორიანი. როგორც ეტყობა, ამჟამად ბაქო ამოწმებს რუსეთის სამშვიდობო ჯარების ყარაბაღში განთავსების იდეის



რეალიზაციას, მაგრამ სომხეთი ამას დაუშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის დახმარებით შეძლებს განახორციელოს საკუთარი გეგმა, რაც ამჟამად შეუძლებელია. ერევნის მთავრობას სურს, რომ ხალხმა, რომელიც ყარაბაღში ცხოვრობს, თავად მიიღოს სახალხო რეფერენდუმის დროს გადაწყვეტილება საკუთარი ბედის შესახებ. მაგრამ ძნელი საფიქრალია, რომ ბაქო ამას დაეთანხმდეს, ვინაიდან მას არ სურს მთიანი ყარაბაღის დაკარგვა. მაშასადამე, მოსკოვმა უნდა გახსნას ეს რთული კავკასიური კვანძი იარაღის გამოუყენებლად.

**ფრანკ ნინჯუეიზენი**

Süddeutsche Zeitung

# სიმართლე სამხრეთ ოსეთის შესახებ

**ახლა სხვაგვარად ალაპარაკდნენ. გავიდა ორი თვე ხანმოკლე, მაგრამ სისხლისმღვრელი ომიდან კავკასიაში, რომელშიც ბრალს დასავლელი პოლიტიკოსები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რუსებს სდებდნენ — აი, ახლა კი ბი-ბი-სიმ მოაწყო სერიოზული გამოკვლევა და აღმოაჩინა, რომ ყველაფერი ასე არ ყოფილა.**

ტიმ ხიუელის რეპორტაჟი, რომელიც ამ კვირაში გამოქვეყნდა, არა მხოლოდ წარმოაჩენს დამარწმუნებელ მასალებს იმის დასადასტურებლად, რომ დასავლეთის მიერ მხარდაჭერილმა საქართველომ 7 აგვისტოს ღამით მოაწყო აგრესია. მასში მოყვანილია აგრეთვე უტყუარი ცნობები მთელი რიგი სამხედრო დანაშაულობებისა, რომლებიც ჩაიდინა საქართველოს არმიამ სამხრეთ ოსეთის სადავო რეგიონზე თავდასხმის დროს.

ამ დანაშაულთა შორისაა — სატანკო იარაღისა და „გრადის“ ტიპის დანადგარების სროლა საცხოვრებელი სახლების სარდაფებისკენ, სადაც იმალებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა, საარტილერიო დარტყმები საცხოვრებელ კვარტალებზე, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის მიზანსწრაფული განადგურება, მათ შორის იმ ხალხისაც, რომელიც გაიქცა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალიდან.

გულდასმით შემოწმებული და დაბალანსებული რეპორტაჟი, რომელშიც მოცემულია აგრეთვე ეთნიკური წმენდის დამადასტურებელი მასალებიც, სამხრეთ ოსეთის გასამხედროებულმა ფორმირებებმა რომ მოაწყვეს, უარყოფს საქართველოს ყველა მტკიცებას იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმა დაიწყო რუსეთის წინა ღამით შეჭრის შემდეგ.

მაშინ საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ ცხინვალზე შეტევა მიზნად ისახავდა „რაიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას“, იმ რაიონისა, რომელსაც ისინი არასოდეს არ მართავდნენ. საქართველოს დაზვერვა შემდგომში ამტკიცებდა, რომ აღმოაჩინა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს მის ვერსიას რუსეთის შემოჭრის შესახებ. მაგრამ საქართველოს მოკავშირეებმაც კი უყურადღებოდ დატოვეს ეს განცხადებანი, რომლებიც აშკარად მიზნად ისახავდა საერთაშორისო არენაზე მისი შერყეული სამართლებრივი პოზიციების აღდგენას. ბუნებრივია, ადამიანი, რომელმაც უბრძანა არმიას შეჭრილიყო სამხრეთ ოსეთში — ეს კი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია — არ არის თანახმა სამხედრო დანაშაულებში ბრალდებისა.

ამჯერად დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი თანახმაა იმასთან დაკავშირებით,



რომ საქართველო იქცეოდა „უგუნურად“ და აღნიშნავს, რომ ძალიან სერიოზულად ეკიდება განცხადებებს სამხედრო დანაშაულობათა შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი ამ დროს აღიარებს, რომ საქართველოს შეტევა ცხინვალზე იყო „არასწორი რამდენიმე თვალსაზრისით“, მაგრამ მიიჩნევს, რომ დისკუსია სამხედრო დანაშაულების შესახებ „ძალიან სასარგებლო არ არის“.

საქართველოს თავდასხმის შემდეგ რუსეთის ჯარები შეიჭრნენ თვით საქართველოს ტერიტორიაზე, გაანადგურეს ის სამხედრო ობიექტები, რომლებსაც იყენებდნენ ამ შეტევისთვის — და ამ მოქმედებათა მსვლელობის დროს დახოცეს ბევრი სამოქალაქო მოსახლეობა, უწინარეს ყოვლისა გორში. ამ თვეში მათ დატოვეს ბუფერული ზონები საქართველოს ტერიტორიაზე და უკან დაიხიეს დღეისათვის ნომინალურად დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთში.

აგვისტოს კონფლიქტის დასაწყისში დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობები საკმაოდ პირდაპირი იყო, მაგრამ მალე ისინი გადაერთვნენ „ცივი ომის“ სრულმასშტაბიანი მაუწყებლობის რეჟიმზე, როდესაც რუსეთმა შეცვალა სიტუაცია თავის სასარგებლოდ და დაიწყო საქართველოს რეჟიმის დადანაშაულება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევდა მხარდაჭერას. თავდაპირველი სარწმუნო ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო ომი, აგრეთვე ცხინვალში საქართველოს არმიის მხეცობის დამადასტურებელი ცნობები უმალვე დაასამარეს და დაიწყეს იმის უარყოფა, რაც თბილისის წინააღმდეგ იყო მიმართული.

უკვე ერთი კვირის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი სპეციალური მრჩეველი დევიდ კლარკი, მაგალითად, ბრალს მდებდა მე გაზეთის ფურცლებზე „ფაქტების მნიშვნელოვან დამახინჯებაში“, ვინაიდან დავწერე, რომ ქართულმა ჯარმა გაანადგურა ცხინვალში „რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მოსახლე“.

კლარკი ამტკიცებდა, რომ „ასეთი ინფორმაციის დამოუკიდებელი დადასტურება არ არსებობს“. მაგრამ, როგორც ბი-ბი-სი იტყობინებოდა ამ კვირაში, სამართალდამცავი ორგანიზაცია ამჟამად მიიჩნევს, რომ ცხინვალში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 300-400 კაცს.

**სიუმას მილნი**

Guardian

**თვალსაზრისი**

# ადამიანებს ისე მოექეცი, როგორც ისინი გინდა, რომ მოგექცნენ შენ...

## „ერთი შვილი - არა შვილი, ორი შვილი - ვითომ შვილი, სამი შვილი - მართლა შვილი“

***ეს ხალხური ნათქვამი ისე აქტუალური, ალბათ, არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს, როდესაც დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება ქართველ ერს. მცირერიცხოვნობა, ცხადია, ყოველთვის სჭირდა მას, რაც გამოწვეული იყო ურიცხვი მტრის შემოსევებითა და მოსახლეობის განადგურებით, მაგრამ საკუთარ ხელისუფლებას რომ ასე გულმოდგინედ ენადგურებინა ახალგაზრდობა — ერის ეს რეპროდუქციული ნაწილი, ასეთი რამ ტრაგიკულ ქართულ ისტორიასაც არ ახსოვს. შიდა ქართლში ამას წინათ ჩაჟლეტილ ახალგაზრდებზე არაფერს ვამბობთ, ეს აუღიარებლობით გაშმაგებული „პრეზიდენტის“ ერთეული აქცია გახლდათ; ჩვენ მხედველობაში გვაქვს ახალგაზრდობის რეგულარული განადგურების პოლიტიკა, რომელიც არ დამცხრალა ქვეყანაში მისი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან: სახელმწიფო დაწესებულებების ამუშავების ნაცვლად მათი გაყიდვა-გასხვისებით (თითქოს მზითევში მიეღოთ ისინი) ტოტალური დაუსაქმებლობის ატმოსფეროს შექმნა და ახალგაზრდობის საზღვარგარეთ ქურდ-ბოზობისათვის გაწირვა, ადგილზე დარჩენილთავის კი ყოველგვარი პერსპექტივის დახშვა და გამორფინისტება, ქუჩებში გამოუძიებლად ჩახოცვა, მასობრივად წლობით ციხეებში გამომწყვდევა და ა.შ.***

ციხეებს ვამბობთ, თორემ რა შეიძლება ეწოდოს სააკაშვილისა და ბაჩო ახალაიას დილეგებს: „....200 ადგილზე 500-ზე მეტი პატიმარი ჰყავთ. პატიმრები დერეფნებშიც არიან განთავსებულნი. საშინელი ანტისანიტარიაა. რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, მოქმედია მხოლოდ ერთი ტუალეტი... რიგები უზომოდ დიდია. საპირფარეშოდან გამოსული იმ წუთასვე ახალ რიგს იკავებს, რომ საღამომდე მოუწიოს...“

მარკიზ დე კიუსტინი ნიკოლოზ პირველის ციხეების ხილვამ შეზარა: „ყველაფერი შეიძლება გაამართლო ლამაზი ფრაზებით და დამარწმუნებელი საბუთებით, მაგრამ რაც არ უნდა თქვან, ის რეჟიმი, რომელსაც ამგვარი საშუალებებით სჭირდება დაცვა, უაღრესად გათახსირებული რეჟიმია“.

ვერ გეტყვით, რა რეაქცია ექნებოდა გენიალურ ფრანგ რუსოლოგს, მიხეილ ნიკოლოზის ძის ციხეები რომ ეხილა, მაგრამ საქართველოსთანა მცირერიცხოვან ქვეყანაში ათეულ ათასობით პატიმრის ყოლა რომ მისი მოსახლეობის დემოგრაფიული მკვლელობის ტოლფასია, ეს უდავოა.

ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი დიდად შეშფოთებულია დემოგრაფიის კატასტროფული მდგომარეობით საქართველოში. იღუპება არა მარტო კავკასიის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით უნიკალური გენოფონდი, უნიკალური თავისი ტოლერანტობითა და პოლიტიკური წესიერებით („წესიერებაში“ აქ უწესო ხელისუფლების წინააღმდეგ ასობით ათასი პროტესტანტის მშვიდობიანი დაპირისპირება იგულისხმება, რომლის ფაქტი იძულებით აღიარა ამას წინათ თვით ამერიკელმა ემისარმა დენიელ ფრიდმაც და რასაც სააკაშვილი ქარაფშუტულად „ქარიშხალს ჭიქა წყალში“ უწოდებსძ. ხალხის ტოლერანტობა და პოლიტიკური წესიერება ის აუცილებელი თვისებებია, რომლებიც მას პოლიტიკური თვითგამორკვევისა და დემოკრატიული ხელისუფლების ღირსად ხდის. შეადარეთ რა ხდება მიტინგებზე სხვა ქვეყნებში — საფრანგეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ვითომ აფხაზეთში, ვითომ ოსეთში... — წვავენ მანქანებს, ამსხვრევენ მაღაზიების ვიტრინებს, აწყობენ გენოციდებსა და ეთნოწმენდებს, ბურთაობენ ადამიანთა მოჭრილი თავებით და ა.შ. ასეთი „მიტინგები“, ცხადია, თუ სადმე სამართალია, იმსახურებენ გარეკვას და დარბევას, ხოლო ასეთი ხალხები სახელმწიფოებრიობის გაუქმებას (მათთვის თვითგამორკვევის უფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტიაძ. მაგრამ ქართველი ხალხი, რომელსაც, ზემოხსენებული ბრბოებისაგან განსხვავებით, გენეტიკურად მიუწევს საკვირველი შემწყნარებლობისა და პოლიტიკური წესიერებისაკენ (თავსმოხვეული ხელისუფლების უწესობა ხალხის უწესობას არ ნიშნავსძ, ღირსია არა მარტო სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიისა, არამედ დემოგრაფიული თუ გენეტიკური გადარჩენისაც.

ამ თვალსაზრისით, დიდად მისასალმებელი და დროულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღირსეული მეთაურის ინიციატივა, პირადად მონათლოს და მზრუნველობა აღმოუჩინოს ქართულ მართლმადიდებლურ ოჯახში გაჩენილ ყოველ მესამე ანუ მართლა შვილს, რამდენადაც სწორედ მესამე შვილია ერის გამრავლების მთავარი ფაქტორი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის ერის რიცხოვნობის კატასტროფული კლებადობის დასაძლევად.

ამაზე მეტყველებს სამტრედიელ მევაგონეთა შრომითი კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა შეშფოთებული წერილიც, რომელიც ა.წ.24 ოქტომბრის “საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა. წერილის ავტორთა მართებული თქმით, „სამწუხაროდ, კარგა ხანია, საქართველოში დემოგრაფიული ზამთარი ჩამოწვა“ და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებლად მიაჩნიათ შექმნან სპეციალური ფონდი, რომელიც დედაეკლესიის სულიერ ცენტრში — საპატრიარქოში უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩამოყალიბდება და მესამე და მომდევნო ბავშვის გაჩენისას დედას მატერიალურად დაეხმარება. უდავოდ მოსაწონი აქტივობაა და, იმედია, ქართველი საზოგადოება სათანადო გულისხმიერებით გამოეხმაურება მას.

ისე, წესით და კანონით, ეს ეროვნული საქმე ხელისუფლებამ უნდა გამოაცხადოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად და მისი დაფინანსება იმ ოთხნახევარი მილიარდის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანოს, რომელიც აგვისტოს პროვოკაციულ ომში დაკარგული ათასობით ახალგაზრდა სიცოცხლის სანაცვლოდ უბოძეს მას. ამიტომ არის, რომ ცნობილი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი მიხეილ სააკაშვილის შეგნებაზე ამყარებს იმედს: „პირადად ჩემთვის გაუგებარია ის, რომ ჩვენი ერის დამღუპველი დაბალი შობადობის პრობლემისთვის არც ერთ პრეზიდენტსა და მთავრობას პრაქტიკულად ყურადღება არ მიუქცევია. ყველამ ვიცით, რომ ამაზე საპატრიარქომ იზრუნა. მივხედოთ ისტორიას — ყველა ჩვენი უბედურება მცირერიცხოვნობით აიხსნება. პრეზიდენტი ერის დაუვიწყარი უმნიშვნელოვანესი მოღვაწის სახელს სამუდამოდ დაიმკვიდრებს, თუ ქართულ ოჯახს ისეთი და იმდენი სახსრით უზრუნველყოფს, რომ შობადობამ რეალურად იმატოს. დარწმუნებული ვარ, გამოიძებნება წახალისებისა და უზრუნველყოფის ხერხები, რომლებიც ქართველ ერს პირისაგან მიწისა აღგვისაგან იხსნის“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 28.10.2008ძ.

უკეთუ მიხეილ სააკაშვილი ქართველი ერისკენ მობრუნდება და მის პრობლემებს გაითავისებს, ერი დაივიწყებს 7 ნოემბერსაც, არჩევნების გაყალბებებსაც, 8 აგვისტოსაც და ადრე ჩადენილ „საგმირო საქმეებსაც“, მაგრამ ეს რომ მოხდეს, ჯერ ვირი ხეზე უნდა ავიდეს.

ყველა—ყველა, მაგრამ ვინღა უნდა გაამრავლოს ერი, როცა ქვეყანაში მისი გამამრავლებელი კონტინგენტი თითქმის აღარ დარჩა?! ახალგაზრდობის ნაწილი საზღვარგარეთ გაიქცა, ნაწილი კი ციხეშია გამომწყვდეული. მეტწილად უმნიშვნელო გადაცდენისათვის მრავალწლიან პატიმრობაში მოხვედრილი ახალგაზრდობის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ერის პოტენციურ გამამრავლებელს წარმოადგენს, მოკლებულია ამ პოტენციის განხორციელების საშუალებას. ამიტომ თუ გვინდა ერის დემოგრაფიული მდგომარეობა გავაუმჯობესოთ, ამ ადამიანებსაც უნდა მივხედოთ. თუ კომპლექსურად არ მივუდექით დემოგრაფიულ პრობლემას, დროული შედეგის მიღწევა გაჭირდება (მაგრამ ვაი, რომ ქართველი ხალხის დღევანდელ მესვეურთა თავზე წაკითხული ეს შეგონება მგლის თავზე წაკითხულ სახარებას ჰგავს.

ნეტარ არიან მორწმუნენიო. მინდა მეც ნეტარი გავხდე და ვირწმუნო, რომ ბ-ნი მიხეილი ყურად იღებს ჩემს ქვემორე მოყვანილ იდეას, რომელიც ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასაც წაადგება და არც მის ბიუჯეტს დააზარალებს. ოღონდ ამისათვის სულ უბრალო რამ უნდა გააკეთოს: თავი დაანებოს ამერიკისკენ ყურებას და ევროპისკენ მიმართოს მზერა, რადგან ამერიკაში პატიმართა მდგომარეობის შესახებ კარგს ვერაფერს ისწავლის, ევროპა კი იმიტომ არის ევროპა, რომ იქ პატიმრებიც ადამიანებად განიხილებიან. მით უმეტეს, რომ, ღვთის მადლით, ცოლიც ევროპელი ჰყავს, ბელგიელ-ჰოლანდიელი. ჰოდა, გაიკითხონ ცოლ-ქმარმა, სასჯელაღსრულების როგორი ფორმებია დღეს ბელგიასა და ჰოლანდიაში. ციხეში არსებულ ჰუმანურ რეჟიმს რომ თავი დავანებოთ, პატიმრობის ერთ-ერთი ფორმაა ე.წ. „ელექტროქამრების“ სისტემა, რომლითაც საზოგადოებრივად არასაშიში დამნაშავეები საკუთარ ოჯახებში იხდიან სასჯელს. არსებობს სასჯელის მოხდის სხვა გაიოლებული ფორმებიც. ამიტომ, თუ ჰუმანურ ევროპასთან ინტეგრაცია გვინდა, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანური უნდა გავხადოთ ჩვენი სასჯელაღსრულების სისტემა, მით უმეტეს, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენი დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტასაც.

ამ თვალსაზრისით, აუცილებელი და გადაუდებელია, რომ პატიმართათვის დაწესდეს ადამიანური სისტემა, როდესაც პატიმარს საშუალება ექნება, თვეში ერთი დღე, მეუღლესთან ერთად გაატაროს ოჯახში (საზოგადოებრივად არასაშიში დამნაშავეებისათვისძ ან ციხეში გამოყოფილ სპეციალურ ოთახში (საშიში დამნაშავეებისათვისძ.

რატომ უნდა დაისაჯონ პატიმართა მეუღლეები და მათი ჯერარშობილი ნაშიერნი?! რატომ უნდა დაისაჯოს ერის გენოფონდი?! მით უმეტეს, რომ ეს მეუღლეთა ურთიერთობის აკრძალვა ანტიჰუმანური და ველური ქმედებაა. უახლესი მეცნიერული მონაცემებით დადგენილია, რომ სექსუალური ცხოვრება ისევე აუცილებელია ადამიანური არსებისათვის, როგორც ჭამა-სმა, და ადამიანის იზოლაცია ისევე არ ნიშნავს მისთვის მეუღლესთან სექსუალური ცხოვრების აკრძალვას, როგორც ჭამა-სმის აკრძალვას. დაბოლოს, ასეთი ჰუმანური გადაწყვეტილება დიდად გაზრდის ევროპაში ქართული სახელმწიფოს შელახულ ავტორიტეტს და სულ მალე იგი მისაბაძი მაგალითი გახდება მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის.

მე, ცხადია, ვითვალისწინებ, რომ ამ იდეამ შესაძლოა უცებ შეაცბუნოს ბატონები მიხეილ სააკაშვილი და ბაჩო ახალაია, რამდენადაც ვერ წარმოუდგენიათ, რაღა უნდა აკეთონ უდილეგებოდ და უპატიმრებოდ, მაგრამ, თუ გულისხმასა ჰყოფენ, რომ ერთი დრო არავის შერჩება და, ადრე თუ გვიან თვითონაც გარდუვალად ციხეში აღმოჩნდებიან, მადლობელი დარჩებიან ამ იდეის პატრონის.

ამიტომ ამბობს კანტი, ქრისტეს კვალდაკვალ: ადამიანებს ისე მოექეცი, როგორც ისინი გინდა, რომ მოგექცნენ შენ. სწორედ ამას გულისხმობს ადამიანური სისტემა და კანონი.

**ომარ ხახაშვილი.**
**ბელგიის მოქალაქე**

**ბევრის მომსწრე და მნახველი**

# ჯერ დაუნგრიეს, მერე უშენებენ...

**გორი. წმინდა წყლის დასახლება. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქალაქის ეს ნაწილი სწრაფად გაშენდა. ჯერ მარტო ე.წ. „ ვოლოგდის უბნის“ საცხოვრებელ სახლებში (ამ ოცდაათიოდე წლის წინათ რუსეთში, ვოლოგდაში, მომუშავე გორის № 3 სამშენებლო ტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა რომ მიიღეს) ასობით ოჯახი ჩასახლდა, გაიხსნა საბავშვო ბაღები, სკოლები და მაღაზიები, აშენდა კეთილმოწყობილი საფეხბურთო სტადიონი, სპორტული ნაგებობები. წმინდა წყლის დასახლება ცხოვრების დღევანდელი ტემპებით ცხოვრობს და საქმიანობს.**

აი, აქ, კარალეთისკენ (ადრე ვწერდით: ცხინვალისკენძ მიმავალ გზაზე, ტრასის მარჯვენა მხარეს, ვრცელ, მოშიშვლებულ მინდორში 24 სექტემბერს პირველი ექსკავატორები და სხვა სამშენებლო მექანიზმები გამოჩნდნენ. დაჰკრეს ციცხვი და მიწას და საცხოვრებელი სახლის პირველი საძირკველიც გაიჭრა.

დღეს აქ მთელი დაბაა გადაჭიმული. შენდება, მაგრამ რა შენდება! საშუალოდ ყოველდღიურად 600 კაცი ტრიალებს ხარაჩოებზე. აგვისტოს მოვლენების დროს რუსი ოკუპანტებისა და ოსი ბანდიტების მიერ თავიანთი მამაპაპური საცხოვრისიდან აყრილი და დევნილი ხალხი ზამთრის დადგომამდე ახალ ბინებში უნდა შეასახლონ.

— მშენებლობის ტემპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს სავსებით რეალურია, — მეუბნება „კარალეთი-480“ პროექტის გენერალური მენეჯერი ომარ მელაძე, — დაბაში თითოეული ოჯახისთვის 160 სახლი შენდება. სახლის სასარგებლო ფართობი 52 კვადრატული მეტრია. ბეტონის ფუნდამენტი და სამშენებლო ბლოკი საიმედო გარანტიაა ზედაშენის ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვის. შემდგომში, როცა დევნილები თავიანთ სოფლებში, კერაზე დაბრუნდებიან, ეს სახლები მუდმივ სარგებლობაში შეუნარჩუნდებათ. ახლა დაბის ყველა სახლის მშენებლობა დამთავრებულია და მიმდინარეობს სახურავების გადახურვა. დაბის ტერიტორიაზე გაყვანილია ცენტრალური კანალიზაციისა და სასმელი წყლის ქსელი, ჩაწყობილია გარე განათების ბოძები, ელექტრიფიცირებულია საცხოვრებელი სახლების 60 პროცენტი, გარე და შიდა ლესვა ჩაუტარდა სახლების ნახევარზე მეტს, ჩაიდგა მეტალოპლასტმასის ფანჯრები.

**— საიდან მოიყვანეთ მუშები?**

— ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, მეტწილად, თავად დევნილები. აგერ, შოთა და გიორგი დედანაშვილები, მეღვრეკისიდან რომ ბედად გამოასწრეს, მლესავებად მუშაობენ, გოჩა არსენიძე ფციდან მოვიდა, კარალეთელები არიან კალატოზი დავით გიუნაშვილი, დურგალი ლევან ქალიაშვილი, მექანიზატორი კობა შაყულაშვილი და სხვები.



ვემშვიდობებით მასპინძლებს იმ იმედით, რომ ახლო მომავალში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, ამჯერად, დაბის საზეიმო გახსნაზე.

**გურამ ვაშაკიძე**

ვულოცავთ პოეტს

# „გარამ" იშოვნა გარა...

**ორმოცდარვა წლის წინათ, 1960 წელს, თბილისში რომ ჩამოვედი სტუდბილეთის „მოსაპოვებლად" და, ერთ დღეს, რუსთაველზე წიგნების მაღაზიაში შევიარე, თაროზე დავლანდე მომცრო წიგნი (უფრო წიგნაკი): ვახტანგ ჯავახაძე, „საყვარელი ქარები"...** უმალ გვარმა მიიქცია ჩემი ყურადღება – ჩვენებურმა, ქუთაისურმა... შევიძინე. ლექსები აღმოჩნდა, თანაც ყველა უსათაურო. ესაო, ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნიაო – გვამცნობდა წინასიტყვაობა, სადაც, სხვათა შორის, ისიც ეწერა, ავტორი ქუთაისშია დაბადებული და გაზრდილიო... ლექსები ბავშვობიდან მიყვარდა, თანაც ქუთაისელი კაცი აღმოჩნდა ავტორი და ბოლომდე ჩავიკითხე კრებული. ეს იყო სრულიად უჩვეულო, ფორმითა და შინაარსით ნოვატორული პოეზია, ამონათქვამი უნიჭიერესი ავტორის მიერ, რომელიც, მერე და მერე, თავისი თაობის, ცნობილი „სამოციანელების" წინა რიგებში ჩადგა. რამდენიმე ლექსი დღემდე მახსოვს ამ კრებულიდან. აი, ერთ-ერთი:

**ალისფერი, ჩალისფერი,**
**შეიღება კაბადონი,**
**შემოდგომა მოვიდა –**
**ჩემო პატარა ქალბატონო,**
**ჩემო პატარა დედოფალო,**
**ჩემო სენიორიტა.**
**კვლავაც მოვა გაზაფხული,**
**ყვავილებით დადაფნული,**
**კვლავ გვირილებს მოგიტან –**
**ჩემო პატარა ქალბატონო,**
**ჩემო პატარა დედოფალო,**
**ჩემო სენიორიტა.**

ეს უჩვეულობა, აგერ 50 წელიწადია, თან „დაჰყვება" ვახტანგ ჯავახაძის ლექსებს და პოეზიის მოყვარულიც, არ ვაჭარბებ, მოუთმენლად ელოდება მათ ლიტერატურულ პრესაში. ველოდები მეც, ბედნიერება მქონდა ერთი-ორჯერ, წერილიც დამეწერა მათ ავტორზე, როგორც პოეტზე, გამომცემელზე, საზოგადო მოღვაწეზე... ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს კეთილგანწყობით, ცხადია, საუბარში ქუთაისსაც ვახსენებთ, რომელთანაც ბევრი რამ აკავშირებს ბატონ ვახტანგს.



**სადაც შემხვდება ქუთაისის**
**მატარებელი,**
**როცა შემხვდება ქუთაისის**
**მატარებელი,**
**ვერვინ გამასწრებს ქუთაისის**
**მატარებლისკენ,**
**ვერვინ მიმასწრებს ქუთაისის**
**მატარებელთან,**
**ვერვინ ამასწრებს ქუთაისის**
**მატარებელზე,**
**ვერვინ შემასწრებს ქუთაისის**
**მატარებელში,**
**ვერც ჩამომიყვანს ქუთაისის**
**მატარებლიდან,**
**თუკი შემხვდება ქუთაისის**
**მატარებელი,**
**როცა შემხვდება ქუთაისის**
**მატარებელი,**
**სადაც შემხვდება ქუთაისის**
**მატარებელი.**

თავისი ნიჭის დამფასებელთ შესანიშნავ ლექსებს კი სთავაზობს ბატონი ვახტანგი, თუმცა არც ისე ხშირად, საქმე ის არის, რომ იგი, კარგა ხანია, გალაკტიონის სამყაროზეა „გადართული", იკვლევს გენიალური პოეტის უმდიდრეს მემკვიდრეობას, „პოეტების მეფის" ტრაგიკული ცხოვრებისა და სიკვდილის ისტორიას და პირველად 1983 წელს გამოსცა კიდეც ჭეშმარიტად უნიკალური ნაშრომი – **„უცნობი"**, რამაც ისეთი პოპულარობა მოუტანა ავტორს, რომ ერთხელ ბესიკ ხარანაულს ხუმრობით უთქვამს, აწი შენ ყველა დაგივიწყებს, როგორც პოეტს და იქნები „უცნობის" ავტორიო... წიგნს, მართლაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგალითად, ტარიელ ჭანტურიამ მას „უცნაური რომანი" უწოდა, თენგიზ აბულაძეს გალაკტიონზე ფილმის გადასაღებად უბიძგა, თუმცა ვერ მოასწრო დიდმა კინორეჟისორმა იდეის განხორციელება, ვახტანგ ჯავახაძე წარადგინეს რუსთაველის პრემიაზე, მაგრამ, მთელმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ იცის, როგორ უსინდისოდ „გააშავეს" იგი...

ამ „რომანის" დაწერის იდეას აქვს თავისი წინაისტორია: ვახტანგ ჯავახაძე მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში" და ბედნიერება ჰქონდა ყოფილიყო გალაკტიონის უკანასკნელი „რჩეულის" (რომლის გამოცემასაც ვერ მოესწრო პოეტი) შემდგენელი და რედაქტორი, მუშაობის პროცესში იგი, ცხადია, ხშირად ხვდებოდა ავტორს, დაუგროვდა უამრავი ჩანაწერი, რამაც უბიძგა, გასცნობოდა პოეტის დანატოვარ არქივს და წიგნზე ემუშავა.

...დაიწერა „უცნობი", მაგრამ „მნათობში", ნურას უკაცრავად, ვერ მოხერხდა დაბეჭდვა. ადგა რეზო ჭეიშვილი და მისი მთავარი რედაქტორობით ქუთაისში გამომავალ ჟურნალ „განთიადში" დაბეჭდა ეს უნიკალური ნაწარმოები.

და გამოვიდა და გამოვიდა ცალკე წიგნებად, უკვე რამდენჯერ გამოვიდა „უცნობი", თანაც ყოველთვის ახალ-ახალი მასალებით შევსებული, ჩამოძერწილი, ჩამოქნილი, ლაპირდარული სტილით ნაწერი, უნიკალური საარქივო მასალებით სავსე, **შარშანდელი გამოცემა კი „გალაკტიონი – მხატვრის" გრაფიკულმა ნამუშევრებმაც დაამშვენა. სწორედ ამ გამოცემისთვის, რამდენიმე დღის წინათ ვახტანგ ჯავახაძეს დედაქალაქის საკრებულოსა და პირადად საკრებულოს თავმჯდომარის, მწერალ ზაალ სამადაშვილის ძალისხმევით დაარსებული პრესტიჟული ლიტერატურული კონკურსის – „გალას" პრემია მიენიჭა ნომინაციაში „სამაგიდო წიგნი".**

რა თქმა უნდა, ბევრს გაუხარდებოდა ეს ფაქტი, რამეთუ პრემია ღირსეულს მიენიჭა – „გალა" ერგო გალას უტყუარ ბიოგრაფს, შესანიშნავ პოეტს, მამულიშვილს...

გამიხარდა მეც, ჰოდა, ეს გამოხმაურებაც ამ სიხარულმა დამაწერინა.

ალალ იყოს, ბატონო ვახტანგ!

შენ, ნიჟო ჩემო!

# მოამზადეთ ვარდები ნინოსთვის!



**შემოვიდა ჯანო თითირაშვილი – ქართული საესტრადო მუსიკის მოამაგე, შესანიშნავი კომპოზიტორი, 25 წელიწადია საესტრადო ანსამბლ „იმედის" დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი. გაგვაცნო თანმხლები – ცქრიალა ნინო მუჯირიშვილი, თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე, – ესაო, გენაცვალეთ, ჩვენი ლაურეატი გოგონააო, ჩვენს ანსამბლში მღერისო, საბავშვო სიმღერების საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა მაკედონიის ქალაქ პრილეპში და 36 ქვეყნის ფინალისტთა შორის ჩვენი ნინო უმაღლესი ჯილდოს – მფლობელი გახდაო...**

ვეფერებით, ვესიყვარულებით ნორჩ მომღერალს, დამორცხვებულია ნინო... ისევ მისი პედაგოგი განაგრძობს საუბარს: – „იმედი" ერთ-ერთი სტაჟიანი ანსამბლია, მასში თბილისის სხვადასხვა სკოლის ნიჭიერი მოსაწავლეებია გაერთიანებულიო, აქ დაფრთიანდნენ დღეს უკვე ცნობილი მომღერლები თემურ თათარაშვილი, ნატო მეტონიძე და სხვებიო, – გვეუბნება ბატონი ჯანო. ნინო მუჯირიშვილს ფესტივალზე ორი მუსიკალური ნაწარმოები შეუსრულებია, ამათგან, ერთ-ერთი, თავისი პედაგოგის სიმღერა „ნანა", რომელიც ძალზე მოსწონებიათ ჟიურის წევრებს და მსმენელს. ფესტივალის შემდეგ ნორჩი მომღერალი, რომელსაც მიწვევები არ უკვირს და რამდენიმე პრესტიჟული ფესტივალის ლაურეატიცაა, სერბეთში, პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში მიუწვევიათ.

**– რით გამოირჩევა, მაინც, ჩვენი ნორჩი მომღერალი?** – ვეკითხები ბატონ ჯანოს.

– უნიკალური ხმით, სისადავით... ერთიც უნდა გითხრათ: ფესტივალზე იმდენად მოეწონათ ქართული საესტრადო ვოკალური სკოლა, რომ პეტერბურგელებმა, მაგალითად, მასტერ-კლასის წაყვანა შემოგვთავაზეს.







გვემშვიდობებიან პედაგოგი და შეგირდი... კეთილ ღიმილს გვიტოვებს ნინო...

ხვალ, შეიძლება, სულ სხვა გზით წარიმართოს მისი ცხოვრება, მაგრამ ნორჩი მომღერალი უკვე ისე შეეჩვია მოზიმზიმე საკონცერტო დარბაზებს, მაყურებლის ტაშისცემასა და შექებას, თანაც დალოცვილ სცენას ისეთი ანდამატი აქვს, ადვილად ვერავინ თმობს, ჰოდა, ველოდოთ ესტრადის ახალ „ვარსკვლავს" – ნინო მუჯირიშვილს.

18 ნოემბერს იგი სერბეთში მიემგზავრება. მოამზადეთ ვარდები ნინოსთვის!

**სურათებზე: ნინო მუჯირიშვილი თავის პედაგოგთან, კომპოზიტორ ჯანო თითირაშვილთან და პრიზთან ერთად; ნორჩი მომღერლის მონაგარი ფესტივალზე – ქალაქის მერიის და პირველი ადგილის დიპლომები.**

მეგობრის ნაჩუქარი წიგნი

# ადამიანური სევდის ფასი




**ამ დროებას რა ვუთხრა, თორემ მამუკა ვაშაკიძის ნოველებისა და ჩანახატების პირველი წიგნი დიდი ტირაჟით უნდა გამოეცათ, ქვეყანას წაეკითხა და ნიჭიერი პროზაიკოსის დაბადების მოწმე გამხდარიყო.**

არა უშავს... ვიცით კოლეგებმა, ვიცით მეგობრებმა, ასე თუ ისე, იცის ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ მამუკას მახვილი თვალის, მხატვრული ალღოს, თავისთავადი სათქმელის ფასი. ჰოდა, კარგი წიგნი იყოს, თორემ როგორმე მკითხველი მოიძებნება, ხელიდან ხელში გადავა...

ჩვენი მამუკა ფიქრის, სევდის კაცია, რაც ამ მომცრო კრებულს თავიდან ბოლომდე გასდევს. მისი ფიქრი და სევდა კი მამა-პაპის ძირსა და ფესვს, სამშობლოს გაუნელებელ ჭირ ვარამს, გარდაცვლილ ახლობელთა ნათელ ხსოვნას დასტრიალებს, მკითხველსაც თანაზიარს ხდის და აკი, ამიტომაც დაურქმევია კრებულისთვის ავტორს **„გაჩუქებული სევდა"**. სევდა, რომელიც ყველასია – დაუვიწყარი წინაპრის გამო, ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული მშობლის ხსოვნის (წიგნი მამის ხსოვნას ეძღვნება) გამო, სოფლად გატარებული უზრუნველი ბავშვობის მოგონებების გამო... დიახ, ეს ხომ ჩვენი სევდაცაა, მით უმეტეს, როდესაც ცხოვრების ნაშუადღევი დგება.

მამუკა ვაშაკიძე ცოტას წერს, არც წიგნის გამოსაცემად ურბენია, აგერ-აგერ ორმოცდაათს უახლოვდება და ეს კრებულიც ახლობლებისა და მეგობრების შეგულიანებით გამოსცა. ცოტას წერს, თუმცა, როგორც იტყვიან, ლაზათიანად...

ლაზათი არ მოჰკლებოდეს, ჩემო მამუკა შენს კაცობასა და შენს ნაწერს! ეს ერთი და სხვა მრავალი!

**P. S. მამუკა ვაშაკიძის ნიჭიერება განა მარტო ქართულ სიტყვასთან ურთიერთობაში ჩანს. იგი შესანიშნავი მხატვარიცაა, რაც კრებულში მიმობნეული გრაფიკული ნამუშევრებითაც ჩანს. თუმცა, მხატვრობაზე სხვა დროს, ალბათ, გამოფენას რომ გამართავს, მერე...**

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

## კალათბურთი

# მინაშვილის ბენეფისი



**სუპერლიგის III ტური ფავორიტების – „ავიაშენისა“ და თსუ-ს ცენტრალურმა შეხვედრამ დაამშვენა.**

პრინციპულ მეტოქეთა მძაფრი დუელი ავიატორთა ფორვარდის ვახტანგ მინაშვილის ბენეფისად იქცა, რომელმაც პარტნიორებს მთლიანი მონაგრის მესამედი – 30 ქულა შეაშველა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათ გამარჯვებაში – 91:85. აღსანიშნავია, რომ ლევან მოსეშვილის შეგირდებმა ამ წარმატებას მყარი საფუძველი პირველი პერიოდის მოგებით ჩაუყარეს – 29:23. სწორედ მაშინ მიითვალა მინაშვილმა 14 ქულა. ერთადერთი მომენტი, როცა სტუდენტებმა ძმები ბარბაქაძეების ძალისხმევით გარდატეხა შეიტანეს ბრძოლის ხასიათში და ორიოდე წუთით დაწინაურდნენ – 65:63, მესამე მეოთხედს უკავშირდება, თუმცა ეს მხოლოდ ეპიზოდი აღმოჩნდა.

**ყველაზე შედეგიანები:** მინაშვილი – 30, ნიკოლაძე, ირაკლი ბერიშვილი – 17-17 ქულა („ავიაშენი“-ძ; შანიძე, ხეცურიანი – 16-16 ქულა (თსუ-ძ.

თბილისის „დინამომ“ ყოჩაღად დაიწყო მატჩი გათამაშების ამბიციური დებიუტანტის – სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდის წინააღმდეგ – 21-16 სასტარტო პერიოდის შემდეგ, რაც „თეთრ-ლურჯთა“ გამთამაშებელ სიგუას დამსახურება გახლდათ – მან სამი სამქულიანი ჩააგდო. თუმცა მას შემდეგ, რაც სარბიელზე ჩაჩიბაია გამოჩნდა, აგრარიკოსებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს ქვეყნის უძველესი კლუბი და უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე – 84:63. გამარჯვებულთა სნაიპერმა მიხეილ ბერიშვილმა ამჯერად 25 ქულა მოაგროვა.

**დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „ენერჯი ინვესტი“ – შსს 91:65, „ბათუმი“ – „მაქაბი“ 87:65. ისვენებდა ნტდ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ენერჯი ინვესტი“, ნტდ (2-2 თამაშიდან)ძ, სსსუ, „ავიამშენი – 2-2, „ბათუმი“ (2 თამაშიდან)ძ, თსუ, შსს, „დინამო“ – 1-1, „მაქაბი“ – 0 მოგება.

**9 ნოემბერს ითამაშებენ**: „მაქაბი“ – სსსუ, შსს – „ბათუმი“, თსუ – „ენერჯი ინვესტი“, „დინამო“ – ნტდ. ისვენებს „ავიამშენი“.

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**XX ეროვნული ჩემპიონატი. IX ტური.** „დინამო“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:2, „ზესტაფონი“ – „გაგრა“ 3:0, „ლოკომოტივი“ – „სიონი“ – 0:1, „მესხეთი“ – „ბორჯომი“ 2:2, „ოლიმპი“ – „ცხინვალი“ 1:0. ისვენებდნენ „მგლები“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ლოკომოტივი“ – 18, „ვიტ ჯორჯია“ – 17, „ზესტაფონი“ – 14, „დინამო“ – 13, „სიონი“, „მგლები“ – 12-12, „ბორჯომი“ – 10, „მესხეთი“ – 9, „ოლიმპი“, „გაგრა“ – 8-8, „ცხინვალი“ – 3 ქულა.

**შემდეგი ტურნირი:** „ლოკომოტივი“ – „ოლიმპი“, „მგლები“ – „დინამო“, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“, „ცხინვალი“ – „ზესტაფონი“ (8 ნოემბერს)ძ, „გაგრა“ – „მესხეთი“ (9 ნოემბერს)ძ.

* * *

**იტალია. X ტური.** „მილანი“ – „ნაპოლი“ 1:0, „უდინეზე“ – „ჯენოა“ 2:2, „რეჯინა“ – „ინტერი“ 2:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მილანი“ – 22, „უდინეზე“, „ინტერი“ – 21-21 ქულა.

**ბომბარდირი:** ჯილარდინო („ფიორენტინა“-ძ – 7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ლეჩე“ – „მილანი“, „ინტერი“ – „უდინეზე“.

**ესპანეთი. IX ტური.** „მალაგა“ – „ბარსელონა“ 1:4, „ბილბაო“ – „ვილიარეალი“ 1:4, „ალმერია“ – „რეალი“ 1:1, „ვალენსია“ – „რასინგი“ 2:4.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ – 22, „ვილიარეალი“ – 21, „რეალი“, „ვალენსია“ – 20-20 ქულა.

**ბომბარდირი:** ვილია („ვალენსია“) – 10 გოლი.

**შემდეგი ტური**: „ბარსელონა“ – „ვილიადოლიდი“, „ვილიარეალი“ – „ალმერია“, „რეალი“ – „მალაგა“, „ხეტაფე“ – „ვალენსია“.

**ინგლისი. XI ტური.** „ჩელსი“ – „სანდერლენდი“ 5:0, „ტოტენჰემი“ – „ლივერპული“ 2:1, „მანჩესტერი“ – „ჰალი“ 4:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული“ – 26-26 , „მანჩესტერი“ – 21 ქულა.

**ბომბარდირები:** ანელკა („ჩელსი“-ძ, ზაკი („უიგანი“-ძ – 8-8 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბლექბერნი“ – „ჩელსი“, „ლივერპული“ – „ვესტ ბრომვიჩი“, „არსენალი“ – „მანჩესტერი“.

**გერმანია. XI ტური.** „ჰოფენჰაიმი“ – „კარლსრუე“ 4:1, „ლევერკუზენი“ – „ვოლფსბურგი“ 2:0, „ბაიერნი“ – „ბილეფელდი“ 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი**: „ჰოფენჰაიმი“ – 25, „ლევერკუზენი“ – 24, „ბაიერნი“ – 21 ქულა.

**ბომბარდირი:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“-ძ – 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჰერტა“ – „ჰოფენჰაიმი“, „;კარლსრუე“ – „ლევერკუზენი“, „შალკე“ – „ბაიერნი“.

**საფრანგეთი. XII ტური.** „ლიონი“ – „ლემანი“ 2:0, „მარსელი“ – „სენტ ეტიენი“ 3:1, „ნანსი“ – „ბორდო“ 1:0, „ტულუზა“ – „კაენი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 27, „მარსელი“ – 23, „ბორდო“, „ტულუზა“ – 21-21 ქულა.

**რუსეთი. XXVII ტური.** ყაზანის „რუბინმა“ რამენსკოეში 2:1 მოუგო „სატურნს“ და ვადამდე გახდა ქვეყნის ჩემპიონი. სხვებთან ერთად ოქროს მედალოსნები გახდნენ დავით კვირკველია, ლაშა სალუქვაძე და ნუკრი რევიშვილი.

## ძიუდო

### მეჩაიჟებს „გლადიატორიც“ ემსხვერპლა



**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც, სამწუხაროდ, საქართველოს გუნდები არ მონაწილეობდნენ, სამაგიეროდ, ჩვენმა ფალავნებმა „ჩაიქურსფორის“ შემადგენლობაში იასპარეზეს. ერთბაშად თერთმეტი ძიუდოისტი აღმოჩნდა რიზეს კლუბში. ესენი არიან: ნესტორ ხერგიანი, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი გუგავა, ლაშა გუჯეჯიანი, გიორგი ყიზილაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი და ვახტანგ ხოსიტაშვილი.**

მეოთხედფინალში „ჩაიქურმა“ მოსკოვის „სამბო-70“ დაამარცხა 4:3 და ნახევარფინალში მოქმედი ჩემპიონის – სანკტ-პეტერბურგის „იავარა-ნევას“ მძლეველ გერმანელ „აბენსბერგს“ დაუპირისპირდა. 6 ორთაბრძოლის შემდეგ ანგარიში თანაბარი (3:3ძ იყო. გადამწყვეტ მე-7 შეხვედრაში ლაშა გუჯეჯიანმა ანდრეას ტიორლიცას აჯობა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა. აქ რიზელთა მეტოქე გახლდათ ნალჩიკის „გლადიატორი“, რომელმაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში ფრანგულ „ლევალუას“ მოუგო ილიას ილიადისის (ჯარჯი ზვიადაურიძ დახმარებით.

დაძაბული გამოდგა გადამწყვეტი პაექრობა. ჩვენმა ბიჭებმა აქაც იყოჩაღეს – 4:3 დაამარცხეს ჩრდილოელი მეზობლების კლუბი და „ჩაიქურს“ მთავარი პრიზი მოაპოვებინეს.

## მოზურთალსა მოედანი

# ეს მინიფეხბურთია!

**სპორტის სათამაშო სახეობები გორის უმაღლეს სასწავლებლებში პოპულარობით ვერ დაიკვეხნის. საითაც გაიხედავ, ყველგან ტატამია გაშლილი. ამიტომ მინიფეხბურთში სტუდენტურმა ტურნირმა, რომელიც ამ დღეებში გორის უნივერსიტეტისა და ქალაქის რვა საფეხბურთო მოედნებზე გაიმართა, უამრავი მაყურებელი მიიზიდა.**

ასპარეზობა მიეძღვნა სეოკ-ის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი გივი ხაჩიძის ხსოვნას.

გორის უნივერსიტეტისა და მასში შემავალი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებისაგან შემდგარმა 14 საკურსო გუნდმა შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაითამაშეს და ნახევარფინალში გამარჯვებულები – უნივერსიტეტის განათლებისა და საბუნებისმეტყველო სპეციალობის მე-3 კურსისა და ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 1-ლი კურის გუნდები ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ.

შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა და მესამეკურსელთა გამარჯვებით დასრულდა – 8:4.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან უნივერსიტეტის სპორტული ცენტრის ხელმძღვანელი სოსო ვაშაკიძე, ცენტრის სპეციალისტები – სსრკ დამსახურებული მწვრთნელი გურამ პაპიტაშვილი და ვახტანგ კვალნიძე. აღნიშვნის ღირსია განათლებისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი პროფესორი მზია ზანგალაძე, რომელიც სტუდენტური სპორტის განვითარებისათვის ბევრი სასიკეთო საქმის მოთავეა.

**გურამ ვაშაკიძე**

## „ფორმულა – 1“

### ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორი



**თუმცა, ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე „ბრაზილიის გრან-პრი“ მშობლიური „კედლების“ დასხმარებით ფერარელმა ფელიპე მასამ გაიმარჯვა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ჩემპიონატში გამარჯვებისთვის.** ის მოიპოვა ამ დღეს არცთუ ბრწყინვალედ მოასპარეზე ლუისი ჰემილტონმა „მაკლარენიდან“. მან ბოლო წრეზე აუცილებელი მეხუთე პოზიციიდან მეექვსეზე გადაინაცვლა, მაგრამ წვიმის გამო „შეფერხებულმა“ „ტოიოტას“ მრბოლმა ტიმო გლოკმა საშუალება მისცა 23 წლის პილოტს წინ გაჭრილიყო, და ამ ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გამხდარიყო.

მეორე სებასტიან ფოტელი იყო, მესამე – ფერნანდო ალონსო, მეოთხე – კიმი რაიკონენი...

კონსტრუქტორთა პრიზზე კი გამარჯვებული მაინც „ფერარი“ გამოვიდა.

## ინტერნეტიდან

### ანანდი მაინც ჩემპიონია!

**მართალია, მექსიკაში ინდოელი დიდოსტატის ვიშვათან ანანდის მსოფლიო ჩემპიონის „ტახტზე ასვლისას“, კრამნიკის მხოლოდ მისი კიბის მეორე საფეხური შერჩა, მაგრამ მაინც მოიპოვა ჩემპიონთან მატჩ-რევანშის უფლება, და აი, როგორც უკვე რამდენიმეჯერ გაცნობეთ, ბონში გაიმართა ამ უბრძნესი თამაშის ორი რაინდის ორთაბრძოლა.**





ამთავითვე აღსანიშნავია, რომ ინდოელმა დიდოსტატმა ბრწყინვალედ იასპარეზა და უკვე მეშვიდე პარტიისათვის დიდი უპირატესობაც მოიპოვა. არც დანარჩენ პარტიებში უთამაშია ურიგოდ. კრამნიკმა მხოლოდ მეათე პარტიაში შეძლო „კუდის გაქნევა“. მეთერთმეტე პარტია კი ისევ ყაიმით დამთავრდა, ანგარიში გახდა 6,5:4,5 ანანდის სასარგებლოდ და მსოფლიო ჩემპიონმა ვადამდე გაინაღდა აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. ისე, რომ მე-12, დასკვნითი პარტიის გათამაშება საჭირო აღარ დარჩა.

ანანდის სამომავლო გეგმებიდან მთავარია ბულგარელი ვესელინ ტოპალოვისა და მსოფლიო თასის მფლობელ, ამერიკელ გატა კამსკის მატჩში გამარჯვებულთან შეხვედრა.

### ვინაა დამნაშავე?

**ჟურნალ „პლეიბოის“ ბრაზილიური ვარიანტის ერთ-ერთი უკანასკნელი ნომერი დაამშვენა ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრების მოთამაშის დენილსონის ყოფილმა საცოლემ ლეტიცია კარლოსმა ამ ათი წლის წინათ, 1998 წელს დენილსონი „სან-პაულუდან“ სევილიის „ბეტისში“ რომ გადავიდა, ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო მსოფლიოში.** ბოლო ხანებში ბრაზილიური მასმედია ლეტიციას უკავშირებდა „სან-პაულუს“ თავდამსხმელს რიჩარლისონს, რომელსაც ადრე ყვითელი პრესა ჰომოსექსუალობას აბრალებდა. თუმცა კარლოსისა და დენილსონის განშორება, როგორც ამბობენ, ქალიშვილის მეტად პიკანტური ფოტოსესიის ბრალი იყო. სხვა ვერსიით კი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა ქალიშვილმა თავად შეწყვიტა ურთიერთობა ფეხბურთელთან, რადგან ის 21 წლის ბრაზილიელ ფეხბურთელ ქალთან ლაიზა ანდრეულთან კავშირში დაადანაშაულა. თანაც ამას წინათ ლაიზამ თავისი ეროტიკული ფოტოებით ჟურნალი Sexy დაამშვენა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინათ ბრაზილიაში აგორდა დიდი სკანდალი, როდესაც ფეხბურთში გვერდით მსაჯმა ანა პაულა დი ოლივეიესამ გახდილმა გადაიღო ფოტოები „პლეიბოისთვის“, მაშინ პაულას მსაჯობაც კი აუკრძალეს.



◎ ოკუპაციის მსხვერპლნი

# ისე დავსისხლიანდი, ველარავინ მცნობდა

## მჯერა, სიმართლის დროც დადგება

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი. №6 საბავშვო ბაღი. აქაც ორივე კორპუსი შიდა ქართლიდან იძულებით დევნილი მოსახლეობითაა სავსე. ძირითადად დიდი ლიახვის ხეობის სოფლებიდან და ახალგორის რაიონიდან არიან. ამ ადამიანებს საკუთარ სახლში ცხოვრების უფლება წაართვეს. ნაცარტუტად უქციეს თაობათა საუკუნოობით ნაშენი სამკვიდრო. ახლა მხოლოდ იმედით ცოცხლობენ...**

მათზე ზრუნავენ, მაგრამ მაინც ბევრი ელემენტარული რამ აკლიათ. ისინი კარგად ცხოვრობდნენ, არაფერი აკლდათ. ახლა სამშობლოს განსაცდელი საკუთარ ჯვრად იტვირთეს. ამასაც გაუძლებენ...

გაუძლებენ, რადგან ომი მათთვის აგვისტოში არ დაწყებულა. ორი ათეული წელიწადია, ამ ომში არიან – წუთის სამშვიდობოზე, ჩახმახის სასხლეტზე... მოსახდენი კი უკვე მოხდა!

ქურთელმა **ომარ ბასიშვილმა** თბილისში 16 აგვისტოს ჩამოაღწია. ექვსი დღე და ღამე ფეხით იარა. ეს ამ ადამიანის ცხოვრების გოლგოთაა. საკუთარი თვალით იხილა სიშმაგე და დაუნდობლობა ტირანიისა. ვერავინ წარმოიდგენდა ამგვარ სისასტიკეს...

დაქცეულ ქართლზე, რომლის „ჭირსა ვერვინ მოსთვლის“, მაინც თავშეკავებით და დინჯად და დაგვწეოდა კასეტური ბომბების ნამსხვრევები. ჭამის სურვილი დაკარგული გვქონდა. გამოშვებული, დამფრთხალი საქონელი ბღაოდა. მეცოდებოდა პირუტყვი და როგორც კი დროს ვიხელთებდი, თივას ვუყრიდი... ირგვლივ ცოდვის კალო ტრიალებდა.

**– თქვენ დაჭრილიც იყავით?..**

– დიახ. დამწყვდეული პირუტყვი უნდა გამომეშვა და ამ



გვესაუბრება კაცი, რომელიც ცოცხალი აღარ ეგონათ თავის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, რომელიც ისე დაიჭრა ბომბის ნამსხვრევებისაგან, რომ ახლობლებმა ველარ იცნეს.. და მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა...

გამოაღწია და გვიამბობს:

– არც ბომბდამშენებიდან, არც არტილერიიდან ცეცხლს არ გვაკლებდნენ. განსაკუთრებით ვიბომბებოდით სოფელ ანძისიდან, სოფელ მონასტრიდან. თითქმის ყოველი 50 მეტრის რადიუსში სკდებოდა კასეტური ბომბები. კოშმარი იყო 7, 8, 9, 10 აგვისტოს დღეები. მხოლოდ მაშინ ყუჩდებოდნენ რუსი ოკუპანტები და ოსი სეპარატისტები, როცა რუსეთის ფედერაციის მძიმე ტექნიკა როკის გვირაბიდან ჩვენი, ქართული სოფლების გავლით ცხინვალისკენ და გორისკენ მიემართებოდა. დაბომბვისას კი ჩემი ბიძაშვილის კობა ბასიშვილის სარდაფში ვიმალებოდით. თითქმის მაშინვე დაცხრილული და ჩამონგრეული იყო მეზობლების სახლები. გამოსვლა მინდოდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო: ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდროს ჩემს წინ ჩამოვარდა ბომბი. სახლის კედლის ნამსხვრევებმა სახე და კიდურები დამიზიანა. ისე დავსისხლიანდი და დავლურჯდი, ველარავინ მცნობდა. იმ დღეს მაღლობიდან ვხედავდი, როგორ იწვოდა სოფელ ქემერტის ერთი უბანი. ეს იყო 9 აგვისტოს.

**– როდის და როგორ გამოაღწიეთ ცეცხლმოდებული ხეობიდან?**

– 11 აგვისტოს გადავწყვიტეთ წამოსვლა. ათიოდე კაცი ვიქნებოდით დარჩენილი: მე, კობა, როზა, ლალი და ალიბეგ ბასიშვილები, გრიშა და ნოდარ ხაჭაპურიძეები თავიანთი ოჯახებით... მთელი დღე ვიარეთ ფეხით, ვიარეთ წვერიახოს მთაზე და ჩავედით სოფელ დიცში. გორის რაიონის ეს სოფელიც ხალხისგან იყო დაცლილი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ როცა წვერიახოს გზას შევუდექით, ერთმა რუსულმა ტანკმა, რომელსაც წითელი ჯვარი ჰქონდა, გაგვიჩერა და რუსმა სამხედრომ გაგვაფრთხილა, რომ არსაით არ გადაგვეხვია და მხოლოდ გზაზე გვევლო. ასევე გაგვაჩერეს რუსმა სამშვიდობოებმა ერედვის სიახლოვეს.

**– როგორ დაგხვდათ ერედვი?**

– უარესს ვერც წარმოიდგენთ. უბანი, რომელშიც გამოვიარეთ, გადამწვარ-გადაბუგული იყო. ავერიდეთ ოსების მიერ დაკავებულ გზას სოფელ დიცში და მინდვრებზე გადმოვიარეთ. 13 აგვისტოს ტყვიავში უკვე რუსული ჯავშანტექნიკა იყო შესული და მოძრაობდნენ გორის მიმართულებით. ამიტომ გვერდი ავუარეთ ტყვიავის ცენტრალურ ტრასას და ისევ მინდვრებით განვაგრძეთ სვლა. ტირძნისიდან ძევერამდე ასე ვიარეთ. ვნახეთ, თუ როგორ იდგნენ ყოველ 500 მეტრში ძევერასთან რუსი სამხედროები. ძლივს ჩამოვაღწიეთ გორამდე, რომელიც დაბომბილი დაგვხვდა. ბედად, რკინიგზა მუშაობდა და მისი საშუალებით ჩამოვედით თბილისამდე.

**– დღევანდელი გადასახედიდან რა გახსენდებათ ყველაზე მწარედ?**

– ყველაფერი, რაც მოხდა, საშინელება იყო. ღმერთმა ქნას, ამას მალე დაესვას წერტილი. მაგრამ ვფიქრობ და დღემდე ვერ ამიხსნია, რატომ არ გაგვაფრთხილეს ხეობის მცხოვრებნი ან ადგილობრივმა, ან ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ? სასწაულმა გვიხსნა, თორემ როგორ გადავრჩით... სტიქიური უბედურების ადგილიდან ხდება მოსახლეობის ევაკუაცია და ჩვენი ხალხი საკუთარი ძალებით რომ არ გამოსულიყო, განწირული იყო... ხომ შეიძლებოდა გავეფრთხილებინეთ ვინმეს საშიშროების შესახებ? ვფიქრობ, ისიც შეიძლებოდა, რომ ჯავის ხიდი აეფეთქებინათ, კლდე ჩამოეშალათ და ერთი დღით მაინც შეეჩერებინათ რუსეთის ფედერაციის საარტილერიო ცეცხლი. ის ერთი დღე საკმარისი იქნებოდა ხალხის გამოსაყვანად...

**– წვერიახოდან კარგად მოჩანს ცხინვალი. როგორ გამოიყურებოდა ქალაქი?**

– გზიდან ვხედავდით, რომ ერთდროულად იბომბებოდა ცხინვალი და თამარაშენი. ვხედავდით, როგორ ეკიდა ცეცხლი ყველაფერს... ჩემი თვალით დავინახე, ჩვენს უკან მომავალ ქალებს როგორ ესროლეს ჭურვები დაბლა მფრინავი თვითმფრინავებიდან, მაგრამ ისინი გადარჩნენ. ესენი იყვნენ კახნიაშვილები სოფელ კეხვიდან.

**– როგორ ფიქრობთ, რაიმე იმედი თუ გაქვთ, რომ დავბრუნდებით ჩვენს სოფლებში?**

– იმედი გვაქვს. ახლა სხვა დროა, ყველამ ხმა აღიმაღლა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, მოსახდენიც მოხდა. ადრე თუ გვიან ალბათ, მაინც გარდუვალი იყო. ბევრი ვითმინეთ. კიდევ მოვითმენთ, ოღონდ ჩვენმა შვილებმა ნორმალურ ქვეყანაში იცხოვრონ...

**ლია ჭიღლაძე**

**განცხადება**

**2008 წლის 19 ნოემბერს 14 საათზე, ჭიათურაში, ბარათაშვილის ქ. №46-ში ტარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოდის შპს „მეტალოინვესტის“ ქონება:** 9 ტონა 22 მმ არმატურა, რომლის საწყისი გასაყიდი ღირებულება განისაზღვრება შპს „მეტალოინვესტის“ დავალიანების შესაბამისად და შეადგენს 63 446,71 ლარს. განცხადებები მიიღება 2008 წლის 19 ნოემბრის 13 საათამდე. მონაწილეობის მისაღები საგარანტიო თანხაა ქონების საერთო ღირებულების 2 პროცენტი.

**შპს „მეტალოინვესტის“ გაკოტრების მმართველი ტარიელ შარაბიძე**

**ტ. 898 11-91-39.**

**განცხადება**

**2008 წლის 25 ნოემბერს დღის 14 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ნიკოს“ აქციონერთა საერთო კრება მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ჩიხი №3ა.**

**დღის წესრიგი:**

მსხვილი აქციონერების შენატანების უკან ნატურით გამოტანის საკითხი.

დასწრება სავალდებულოა.

**სს „ნიკოს“ დირექცია**

◎ მშვიდობა კავკასიას!



ვევედროთ უფალს...

# ქართველები, რუსები და აფხაზები ერთად ლოცულობენ

**გასულ კვირას თბილისში ჩატარდა ღვთაებრივი ლიტურგია მშვიდობისათვის კავკასიაში, სადაც ერთად ლოცულობდნენ მართლმადიდებელი ქართველები, აფხაზები და რუსები, რომლებიც მშვიდობიანად ცხოვრობენ საქართველოს კურთხეულ მიწაზე და ახლა შეშფოთებულნი არიან დაძაბულობის ესკალაციით კავკასიაში და ძმათამკვლელი ომის პროვოცირებით.**

ეს ლიტურგია რუსულ მგალობელთა გუნდთან ერთად წარმართა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმა მამა კონსტანტინემ (კოლუაშვილმა). ის ამავდროულად ხელმძღვანელობს კავშირს „მშვიდობის მისია კავკასიაში“, რომელიც აერთიანებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა.

– კეთილი ნების ადამიანები, რომელთა მოღვაწეობაც მიმართულია ახლო და შორეულ მეზობლებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის აღდგენისკენ, საკმაოდ არიან ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, – აცხადებს მამა კონსტანტინე, – და მათ არსებობას უნდა მივესალმოთ, როცა ისინი იბრძვიან ძალადობის, ხალხთა შორის მტრობის წინააღმდეგ... და აუტანელია, როცა ზოგიერთი გარეშე და შინაური ძალები ცდილობენ ჩვენ მრავალტანჯულ ქვეყანაში მცხოვრებთა შორის კავკასიური ერთობის, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ კეთილმეზობლობის, ურთიერთდახმარების წესების დარღვევას...

სიმბოლურია, რომ ლოცვა აღევლინა სწორედ იმ ტაძარში, რომელიც აიგო 100 წელზე მეტი ხნის წინათ. საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო ობიექტი მაშინ ეკლესიის გამგებლობაში იყო, საავადმყოფო-მონასტრის ტერიტორიაზე განლაგებული იყო წითელი ჯვრის ლაზარეთი, რომელიც ააშენა ნიკოლოზ II დედამ მარია თევდორეს ასულმა. ავადმყოფებს მონაზვნები უვლიდნენ.

ამჟამად მრევლმა მოაწესრიგა და აღადგინა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია, რომელშიც უკვე მეორე წელია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით რეგულარულად ტარდება წირვა-ლოცვები. ამ ტაძრის აღდგენაში, ისევე როგორც სხვა მრავალ კეთილ საქმეებში ქართველებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებნი, და მათ შორის არ არსებობს არავითარი მტრობა და ზიზღი, არამედ ვლინდება მეგობრობა და ურთიერთდახმარება, რაც უადვილებს მათ ყოველგვარი გასაჭირის გადატანას... ახლანდელი დაძაბულობა ქვეყანაში შემოაქვს ულმრთო პოლიტიკოსებსა და სხვა მტრებს.

როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აცხადებს, საქართველოში არ იქნება მშვიდობა სამართლიანობის გარეშე და საქართველო ვერასდროს ვერ შეურიგდება თავისი ისტორიული მიწების დაკარგვას. ის ფაქტი, რომ ორი ერთმორწმუნე ქვეყანა ასე მწვავედ დაუპირისპირდა ერთმანეთს, იწვევს სინანულს ორივე ქვეყნის ქრისტიანთა შორის, მაგრამ ეს კონფლიქტი არავითარ შემთხვევაში არ არის წარმოქმნილი რელიგიური მიზეზებით.

ლიტურგიის სხვადასხვა ეროვნების მონაწილენი ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ დაძაბულობის შემოტანა და ძმათაკვლის პროვოცირება – სატანისტური ძალების ნამოქმედარია, მაგრამ მათ ოინებზე მართლმადიდებლური მრევლი არ წამოეგება. მსოფლიოს გადაარჩენს მოყვასის ქრისტიანული სიყვარული.



მამა კონსტანტინე (კოლუაშვილი) და ადა მარშანია

როგორც ღვთისმსახურების ერთ-ერთმა მონაწილემ – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ადა მარშანიამ თქვა, ეს შესანიშნავი მოვლენა ძალიან საგულისხმოა ახლანდელ სიტუაციაში და მამა კონსტანტინე იმსახურებს მხარდაჭერასა და წახალისებას.

– დღევანდელი ერთობლივი ლოცვა ქართველთა, აფხაზთა და რუსთა, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთ გუმბათქვეშ ვევედროთ უფალს მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის, – ქადაგებს მამა კონსტანტინე.

– უფალო, შეგვიწყალე!

**მამია ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

სანთელი

# ზეზვა ღულუნიშვილი

ერთხელ კიდევ მწარე ტკივილივით გაიელვა ჩვენს გონებაში პოეტის ცნობილმა სტრიქონმა – „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“. მოულოდნელად ჩვენგან წასული მამულიშვილობის, კაცურკაცობის, მეგობრობის ეტალონი ზეზვა ღულუნიშვილი მართლაც დააკლდა ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, ქალაქ თბილისსა და მთელ საქართველოს.

ზეზვა ღულუნიშვილი გამორჩეული პიროვნება იყო, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, ადამიანებისადმი უშურველი სითბოთი განწყობილი, ნიჭით, ღირსებით, პატიოსნებით, სიკეთით სავსე, ყველას დამხმარე და მხარში მდგომი, ერთგული, უღალატო, ჭირსა და ლხინში საიმედო კაცი. ის იყო მთელი თბილისის კოლორიტი, ყველასათვის სასურველი პიროვნება, თბილი და კომუნიკაბელური ადამიანი. იმდენი ახლო მეგობარი ჰყავდა მედიკოსთა, მეცნიერთა, ლიტერატორთა, ხელოვანთა, პოლიტიკოსთა შორის, რომ ამ სამწუხარო ნეკროლოგზე ხელის მომწერებს გაზეთის მთელი ნომერიც ვერ დაიტევდა.

საკუთარი ნიჭით, ფართო თვალსაწიერით, მაღალი კვალიფიკაციით ზეზვა ყოველთვის იდგა ქართული ეროვნული მედიცინის პირველ რიგში, იყო მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს კურორტთა საბჭოს თავმჯდომარე და უანგარო მოამაგე, ინტელექტით ცნობილი პარლამენტარი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე, სადაც წლების მანძილზე იღვწოდა ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხისათვის საჭირო კანონების მისაღებად. ასეთი მაღალი პოსტების მიუხედავად, იგი რჩებოდა თავმდაბალ, სამაგალითო, სახელმოხვეჭილ თბილისელ კაცად.



ზეზვა ღულუნიშვილი იყო ღრმა განათლებით, დიდი ინტელიგენტური ბუნებით, ქართული ვაჟკაცური თვისებებით ცნობილი ადამიანი, ჭეშმარიტი ლიდერი, მან ისეთი სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა, მარტო ერთს კი არა, ას კაცსაც ეყოფოდა. ხალასი იუმორით, საამაყო ღირსებით, შინაგანი სითბოთი და მომხიბლავი კეთილშობილებით დალდასმულ ადამიანს ოჯახის, მეგობრების გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია, სიცოცხლის ბოლო დღეც მეგობრებთან გაატარა. ის არასოდეს ყოფილა კარჩაკეტილი თანამდებობის პირი, მეგობრებთან სუფრაზე ყოფნა და საუკეთესო ქართული ტრადიციები ძალიან უყვარდა, იყო ბრწყინვალე თამადა, ყოველთვის სასურველი სტუმარი, ასობით სახელოვანი ქართველის საყვარული ძმა და მეგობარი. მისი მოწოდება მედიცინა რომ არ ყოფილიყო, უეჭველად დიდი პოეტი იქნებოდა, წერდა მშვენიერ ლექსებს, ხშირად მეგობრებს ლექსად მიმართავდა, ქართულ ხელოვნებაშიც დატოვა საუკეთესო კვალი.

ასეთი მეგობარი, ასეთი პიროვნება დავკარგეთ უდროოდ, ასეთი მეუღლე, მამა და ბაბუა წავიდა ამ ცოდვილი ქვეყნიდან, სხვა სამყაროს შეუერთდა საქართველოს საამაყო შვილი, თუმცა ზეზვა ღულუნიშვილმა ისეთი სახელი, სიყვარული, სიკეთე და აღიარება დატოვა, რომ ასობით წლის მანძილზე შუქურასავით წარუძღვება წინ მის შთამომავლობას, მისი სახელისა და ცხოვრების გამგრძელებლებს.

უახლოესი მეგობრები

# ჩვენი ზეზვა

ვისაც ერთხელ მაინც ჰყავდა ნანახი ზეზვა ღულუნიშვილი, დიდი ხნით დაამახსოვრდებოდა იგი თავის კოლორიტული პიროვნებით, მისთვის დამახასიათებელი იუმორით, ხელგაშლილობითა და უჩვეულო თამადობით.



ზეზვას პიროვნებაზე სიტყვის თქმა დიახაც აუცილებელია – ის ხომ ცოცხლობდა ყოველი დღით, საათით, წამით, ურთიერთმონატრებით, სიყვარულით, ყოველთვის თავიდან ფეხადგმული ძმობით, მეგობრობით. თავისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში ზეზვა უანგაროდ ემსახურებოდა სამედიცინო დარგს და მის აღმავლობასა თუ წარუმატებლობას გულით განიცდიდა. თავის დროზე ის გულმოდგინედ შეეხო კურორტებთან დაკავშირებულ პრობლემებს და მთელი ძალით იღვწოდა საქართველოში საკურორტო-სანატორიული მკურნალობის შემდგომი სრულყოფისათვის – სწორედ მისი თაოსნობით განხორციელდა სასიკეთო ცვლილებები ამ სფეროში.

მთელი გულდაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ღულუნიშვილების ოჯახი მუდამ გამოირჩეოდა საოცარი სტუმართმოყვარეობით და ყველანი ჯეროვანი პატივით სარგებლობდნენ ამ ჭერქვეშ. ნეტავ იმ წარსულ დღეებს ჩვენი მყუდრო საღამოებით, მოწესრიგებული სევდა-სიხარულით, სალი იუმორით რომ გვიდარებდა უამინდობას. მადლობა უფალს, რომ ჭეშმარიტად ამ ალალმა ურთიერთობამ მოგვცა უფლება ჩვენი ერთმანეთის ბიოგრაფიაში დაგვესადგურებინა მყუდრო ადგილი.

რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და ამიტომაც გასაგებია, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ჩაღვენთოს მომავლის საქმეში თავისი შრომა-მოღვაწეობის თუნდ ერთი წვეთი. ამ მხრივ ზეზვა ღულუნიშვილის ცხოვრება-საქმიანობა ნამდვილად სამაგალითოა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზეზვა ყოველთვის იმედოვნებდა, რომ იცოცხლებდა ჩვენს გულებში და ეს ხომ მართლაც ასეა, ის ცოცხლობს, რამეთუ „ცხოვრების დასასრული თვით სიცოცხლემ აკურთხა“.

გასაოცარია ის, რომ ზეზვას სიყვარულით სავსე გულმა უღალატა, თანაც შემოდგომაზე (ეს დრო მას ძალიან უყვარდა), როცა მისი ნათელი სული ფოთოლთცვენას შეეხმიანა.

კიდევ ერთი ნაღდი კაცი, ჭეშმარიტი თბილისელი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დარდი, გულისტკივილი და სევდანარევი, თვალცრემლიანი სადღეგრძელოები.

ჩვენ გვწამს სულის უკვდავების და გვჯერა, რომ თბილისის ქუჩებს შემორჩება ზეზვა ღულუნიშვილის კეთილშობილების, ვაჟკაცობის, განსწავლულობის, იუმორის, სიყვარულისა და კარგი ადამიანობის კვალი.

ნათელში ამყოფოს უფალმა, ამინ!

ახლო მეგობრები:

მინდია უჩანეიშვილი, გურამ ფარულავა, სოსო მაჭარაშვილი, ივა ბერაძე, კოკი კეკელიძე, გივი მარგველაშვილი, მერაბ ჩხატარაშვილი, მურმან გიორგაძე, ვალერი ასათიანი, გია სოსელია, რამაზ კუტუბიძე, დათო ვაჭარაძე, რამაზ ყურაშვილი, თამაზ ნიკოლაიშვილი, ვოვა უგრეხელიძე, ნიკო ჯადუგიშვილი, მერაბ მახარაძე.

---

მეუღლე მანანა ზოდელავა, შვილები გიგა, ნინიკო ღულუნიშვილები, რძალი ქეთი ბაქრაძე, შვილიშვილები ზეზვა, ნიკო ღულუნიშვილები, მარინა, ვანიკო ზოდელავები, რძალი მაია ნიკოლაძე, მძახლები მაია ერისთავი ოჯახით, მიშა ბაქრაძე ოჯახით, ბიძაშვილები და დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზეზვა ღულუნიშვილი

პანაშვიდი 4, 5 XI, 16 სთ. ატენის ქ. №16. დაკრძალვა 6 XI, 15 სთ. ვაკის სამების ტაძარი.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, პიროვნული ხიბლით, მეგობრობისა და თანადგომის უნარით გამორჩეული კოლორიტული თბილისელი, ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორი და გულშემატკივარი

ზეზვა ღულუნიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

არმაზ, იზოლდა, ნანა, ნინო სანებლიძეები, გურამ თეთრაშვილი, გივი ჩეჩელაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ზეზვა ღულუნიშვილი

და დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს.

---

ნუგზარ, მანანა, ნათია, გიორგი ფოფხაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ზეზვა ღულუნიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს.

---



ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, მადონა მგელაძე, ლია ლომიძე, ლეილა სადრაძე, მედიკო მეზვრიშვილი, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ღირსეული პიროვნებისა და მეგობრის, ამაგდარი მამულიშვილის

ზეზვა ღულუნიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მანანა ზოდელავას და თინა ჟვანიას ოჯახებს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის, ჩვენო ზეზვა, ქართული მიწა და ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

---

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, მიშა ოსაძე, სოსო (რეზო) ყიფიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზეზვა ღულუნიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

იოსებ ხარატიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე

ზეზვა ღულუნიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გოგუცა, მურმან გიორგაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ოჯახის უახლოესი მეგობარი, უბრწყინვალესი ადამიანი, ბატონი

ზეზვა ღულუნიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ყოფილი სახელმწიფო კონცერნ „საქკურორტის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი

ზეზვა ღულუნიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლალი და მერაბ ჩხატარაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი

ზეზვა ღულუნიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლევან სურგულაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

ვაჟა ჩხაიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ვაჟა ჩხაიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ავთანდილ ციგრიაშვილი ოჯახით იუწყება მეგობრის, დიდებული ვაჟკაცისა და მამულიშვილის

ერნაზ კომლაძის

გარდაცვალებას.

---

ავთანდილ ციგრიაშვილი ოჯახით იუწყება

ლუიზა კიპაროიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბადრი ბერაია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

მანტურ ყურუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს, ნათესავებსა და ყველა ახლობელს.

---

გახსენება

# გიორგი (გიო) გაჩეჩილაძე



ორმოცი დღე გახდება 5 ნოემბერს შენი ტრაგიკულად დაღუპვიდან, ავტოავარიის მსხვერპლი გახდა შენი სითბოთი და სიყვარულით სავსე სიცოცხლე. უშენობამ ყველაფერი გააფერმკრთალა. ვერ ვეგუებით იმ მწუხარებასა და ტკივილს, რომელიც შენ დაგვიტოვე, ვუყურებთ შენს სურათს, საიდანაც ღიმილი გადმოდის, შენი თვალებიდან კი – სითბო. შენი მონატრება უსაზღვროა, ყველას ტკივილიანი კვალი დაუტოვე გულში. ბიძები, დეიდები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ყველა განიცდის შენს დაკარგვას, გიო!

შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, რადგან უკვდავება ადგას ჭირისუფლად.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ნათესავები

## ქართული ტრაგედია



## 2007 წლის 7 ნოემბერი




## წკეპლიკა

# სად იხდის და სად იწმენდს...

**ახლახან გროზნოში გახსნილა დაღუპული ჩეჩნეთის პრეზიდენტის ახმატ კადიროვის სახელობის მეჩეთი – ევროპაში ყველაზე დიდი: იქ ერთდროულად 10 ათას კაცს შეუძლია თურმე ლოცვა.**

შუა ოქტომბერში ჩეჩნეთს რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი ესტუმრა და სხვადასხვა „სადარბაზო" ობიექტებთან ერთად ახლად გახსნილი მეჩეთიც მოინახულა. იქ შესვლის წინ ბატონ ვლადიმერს ბოთინკები გაუხდია და მისი ეს დელიკატურობა და ტრადიციების პატივისცემა მუსულმან თანმხლებთ დიდად დაუფასებიათ.

...რა დასანანია და მეტიც – სამწუხარო, რომ ინტელიგენტმა რუსეთის ექს-პრეზიდენტმა თავის დიდ ქვეყანასთან ერთად ასეთივე პატივისმიგება ვერ გამოიჩინა საქართველოს ისტორიის, კულტურის, ისტორიული და კულტურული ძეგლების, თუ გნებავთ, ტრადიციებისვე მიმართ და ფაქტობრივად ფეხები შეაწმინდა (თუ შეახოცაძ უძველეს და წმინდა ქართულ მიწას – ამას წინათ, აგვისტოში...

**თამაზ ებანოიძე**

## ი ყ ი დ ე ბ ა

### ელიტური, ორსახლიანი აგარაკი ქოშიგორაზე



პირველი სახლი ერთსართულიანია. მასში არის სასადილო, სამზარეულო, ბუხარი, სანკვანძი, საუნა, საშხაპე, აუზი, სარდაფები, აერარიუმი.

მეორე, სამსართულიან სახლში არის 2 აბაზანა, 2 სასადილო დარბაზი, 2 სამზარეულო, 2 ბუხარი, 3 სანკვანძი, 5 საძინებელი, 6 აივანი, წყლის გამაცხელებლები. საერთო ფართობი – 250 კვ.მ.

ყველა კარ-ფანჯარა რკინისა და ჟალუზებისაა.

აგარაკს აქვს კაპიტალური ა/ფ.

1700 კვმ. ეზო შემოღობილია მავთულბადით და ბეტონის ფილებით, არის 4 მეტრი სიმაღლის ვერცხლისფერი და სხვა ნაძვები, შეტანილია ათობით მანქანა მიწა და ნაკელი, გაშენებულია ხეხილის ბაღი (კივი, უნაბი, გარგარი, ქლიავი, ბალი, ალუბალი და სხვა, ტალავერი ვაზითძ. აგარაკს აქვს სარწყავი სისტემა, კანალიზაცია, ნატახტრის უნიკალური წყალი, სარეზერვოდ არტეზიული ჭაა, ბამბუკის ფანჩატური მაგიდა-სკამებით, მისასვლელი გზა ახლახან მოასფალტდა. ფ. 450000 დოლარი. 23-37-37, 22-33-57 ყიფიანი.

## ინფორმაცია

# ოქრუაშვილის პარტიას ოფისს ართმევენ

**ირაკლი ოქრუაშვილის პარტია ხელისუფლების მხრიდან ათონელის ქუჩაზე მდებარე ოფისის შესაძლო ჩამორთმევას აპროტესტებს. მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ ამ საკითხზე გუშინ სახალხო დამცველის ოფისში, სოზარ სუბართან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

ბესელია მიიჩნევს, რომ ხელისუფლება პარტიის მიმართ ანგარიშსწორებას აგრძელებს, რისი დასტურიცაა პროკურატურის მოთხოვნა ათონელის №27-ში მდებარე ოფისის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ბესელიას თქმით, პროკურატურამ ამ მოთხოვნით სასამართლოს რამდენიმე დღის წინათ მიმართა.

– ოფისის მესაკუთრეებმა სასამართლოსგან ოფიციალურად მიიღეს შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში შეტანილია პროკურატურის სარჩელი შენობის ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრეზიდენტის განცხადებები დემოკრატიის ახალი ტალღის დაწყების შესახებ არის მხოლოდ პიარი და სხვა არაფერი. რეალურად ქვეყანაში საკუთრების უფლების ხელყოფა გრძელდება, – განაცხადა ბესელიამ და დასძინა, რომ ხელისუფლების მცდელობა ჩამოართვას კუთვნილი ქონება კანონიერ მესაკუთრეებს, არის როგორც შიდა კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ნორმების დარღვევა.

იგი დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს კომპეტენციის ფარგლებში მოახდინონ რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე.

ოქრუაშვილის პარტიის ოფისის საკითხი შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმაც, რომლებმაც შესაბამის ორგანოებს რამდენიმე რეკომენდაციითაც მიმართა და შენობაზე ყადაღის მოხსნა მოითხოვა, თუმცა სუბარის მოთხოვნას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98–65–87; 899 32–85–76.

## ყურადღება!

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ვაკანსიების დასაკავებლად – აკადემიის ნამდვილი წევრი – 10 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებს. განცხადებების მიღების ვადაა 30 ნოემბრამდე. ტელ: 899630476.

## კადრი



## ანეკდოტები

– ბებო, ვინ არის ეს, როგორც გაზეთში წერია „ჰუმანიტარული წყობის ჭკუის მქონე ხალხი?"

– არც კი ვიცი, როგორ აგიხსნა, შვილო... წინათ მათ სულელებს ეძახდნენ...

* * *

– ამიწონეთ, თუ შეიძლება ეს ქათამი.

გამყიდველი ქათამს სასწორზე დებს:



– 22 ლარი და 70 თეთრი.

– რამდენი? რა ღირს თქვენთან ერთი კილოგრამი?

გამყიდველი დამხმარე მუშას გასძახის:

– მიხო, რა ღირს ჩვენთან ქათამი?

* * *

– როდესაც მივლინებიდან ბრუნდები, სად შეიხედავ ხოლმე პირველად – საძინებელში? – ეკითხება პეტკა ძმაკაცს.

– რა თქმა უნდა.

– და მაშინვე ცოლს შეუძვრები საწოლში?

– არა, ჯერ კარადაში შევიხედავ.

– აა, გასაგებია! საყვარელი, არა?

– რა საყვარელი, რას ამბობ, ვის უნდა ზინკა! ნაღდი საფრთხობელაა!

– მაშ ვერ გავიგე...

– უბრალოდ კარადაში არყის ბოთლი მაქვს დამალული.

* * *

მიმდინარეობს შეჯიბრება კარატეში. შემოვიდა პირველი სპორტსმენი, ხელის ერთი დარტყმით ორი აგური გატეხა.

– გველების სკოლა!

შემოდის მეორე. სამი აგური გატეხა.

– ბიზონის სკოლა.

– გამოდის მესამე. თავით გატეხა ათი აგური!

– უმაღლესი პარტიული სკოლა!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.